

# ანა ფირცხალაშვილი ულრის ჰაბენლოხი

პოლიტიკური პარტიების აკრძალვა  
საქართველოში და გერმანიაში

კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების, ფანგდებისა და  
პროცედურების შედარებით სამართლებრივი კვლევა



# პოლიტიკური პარტიების აკრძალვა საქართველოსა და გერმანიაში

კონსტიტუციურ-სამართლებრივი  
წინაპირობების, ფარგლებისა და  
პროცედურების შედარებითსამართლებრივი  
კვლევა

ანა ფირცხალაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, სწავრო  
სამართლის მიმართულებით

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს  
ყოფილი (პენსიონირებული) პრეზიდენტი, საქსონიის  
მინის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი  
მოსამართლე





Deutsch-Georgische

**ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG**

ISSN 2587-5191 (ბეჭდური)

ISSN 2667-9817 (ონლაინ)

© ანა ფირცხალაშვილი, 2026

© ულრის ჰაგენლოხი, 2026

© შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის რედაქცია,  
2026

[www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge)



## სარჩევი:

წინასიტყვაობა.....	8
<b>I. სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში და გერმანიაში .....</b>	<b>9</b>
1. კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოში....	10
a) სამართლებრივი საფუძვლები .....	10
b) სამართლებრივი შეფასების მასშტაბი.....	12
aa) კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება.....	12
bb) პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლის კონსტიტუციურობა ....	13
2. კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეგულაციები გერმანიაში .....	15
<b>II. სამართლებრივი მდგომარეობა და პარტიათა აკრძალვის მნიშვნელობა ევროპაში .....</b>	<b>17</b>
<b>B. კონსტიტუციურ-პოლიტიკური ასპექტები და მათი სამართლებრივი შედეგები.....</b>	<b>19</b>
<b>I. პარტიის აკრძალვის კონსტიტუციურ-პოლიტიკური შეფასება.....</b>	<b>19</b>
1. პოლიტიკური გამოცდილება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ...	20
2. პარტიის აკრძალვა versus პოლიტიკური შეხედულებების ბრძოლა .....	21
<b>II. პარტიის აკრძალვის სამართლებრივი შედეგები და მისი კონსტიტუციურ-პოლიტიკური ამბივალენტურობა.....</b>	<b>24</b>
1. კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ვალდებულება .....	24
2. აკრძალვის პროცედურის სამართლებრივი ფორმირება და პარტიის აკრძალვის შედეგები .....	26
a) საქართველო.....	26
b) გერმანია .....	28
3. მიმოხილვა: საქართველოში მიმდინარე პარტიების აკრძალვის შესახებ. 30	
a) პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული პარტიის აკრძალვის განცხადება/სარჩელი .....	30
b) ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მიერ ინიცირებული განაცხადები/სარჩელები.....	33
4. განაცხადის წარდგენის უფლებამოსილი სუბიექტების დისკრეცია.....	35
5. პარტიის აკრძალვის მიზანშეწონილობა .....	36
6. შედეგები საკონსტიტუციო სასამართლოს შემოწმების კომპეტენციისთვის.....	37
<b>C. პარტიების და პარტიული მრავალფეროვნების მნიშვნელობა დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში .....</b>	<b>38</b>
<b>I. პარტიების თავისუფლების კონსტიტუციურ-პოლიტიკური ფუნქციები .</b>	<b>38</b>

<b>II. პარტიებისა და მრავალპარტიული სისტემის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა .....</b>	<b>38</b>
<b>II. პარტიის აკრძალვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შედეგები.....</b>	<b>41</b>
1. პარტიების განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და პარტიის აკრძალვა .....	41
2. პარტიის აკრძალვის შედეგები, მისი განსაკუთრებული ზეგავლენა მრავალპარტიულ სისტემაზე .....	43
<b>D. პარტიის აკრძალვის წინაპირობები.....</b>	<b>45</b>
<b>I. ზოგადი განმარტების კრიტერიუმები .....</b>	<b>45</b>
<b>II. პარტიის აკრძალვით დაცული სამართლებრივი სიკეთე.....</b>	<b>45</b>
<b>1. თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის დაცვა გერმანულ სამართალში.....</b>	<b>45</b>
2. ქართული სამართალი.....	52
a) კონსტიტუციური წყობილების დაცვა ქართულ სამართალში.....	52
b) ჩარევის სამართლებრივი შემადგენლობის დამატებითი საფუძვლები ქართულ სამართალში .....	53
<b>III. რესტრიქტიული (ვინრო) განმარტების კონკრეტული შედეგები.....</b>	<b>54</b>
1. გერმანული სამართალი.....	54
a) თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვა და გაუქმება .....	54
b) კონსტიტუციის სანინაალმდეგო მიზნები და მხარდამჭერთა ქცევის პარტიასთან დაკავშირება .....	56
c) თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლა .....	60
d) საფრთხის აღმოფხვრის წინაპირობები.....	64
a) პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა .....	67
b) პარტიის შექმნის აკრძალვა .....	69
c) მოქმედი პოლიტიკური პარტიების აკრძალვა .....	71
aa) ძალადობა .....	71
(1) ძალადობრივი ქმედების არაკონსტიტუციურობა .....	72
(2) ძალადობის ცნების განმარტება.....	73
bb) სახელმწიფო გადატრიალება / შეიარაღებული ფორმირებები.....	76
cc) სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.....	79
(1) დაცული სამართლებრივი სიკეთე.....	79
(2) დამრღვევი ქმედება .....	80
dd) ეროვნული, ეთნიკური, კუთხური, რელიგიური ან სოციალური	

შუღლის გაცვივება .....	83
<b>E. თანაზომიერების შემონმების ტესტი.....</b>	<b>85</b>
I. გერმანული სამართალი.....	85
II. ქართული სამართალი .....	87
<b>F. სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი პროცედურული მონყობა ..</b>	<b>91</b>
I. ზოგადი პროცედურული პრინციპები .....	91
II. პროცედურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.....	93
<b>G. შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.....</b>	<b>96</b>
I. ECHR-ის შეფასების სტანდარტი და ECHR-ის მოქმედება ეროვნულ საკონსტიტუციო სამართალზე .....	96
II. შედეგები ეროვნული სამართლისთვის .....	98
დასკვნა .....	109

## **პოლიტიკური პარტიების აკრძალვა საქართველოსა და გერმანიაში**

**კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების,  
ფარგლებისა და პროცედურების  
შედარებითსამართლებრივი კვლევა**

### **წინასიტყვაობა**

პოლიტიკური პარტიების აკრძალვის საკითხი თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე და სამართლებრივად რთულ პრობლემას წარმოადგენს. ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული წესრიგის არსებით ელემენტს ქმნიან, რადგან უზრუნველყოფენ ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებასა და მის ინსტიტუციურ გამოხატვას. მეორე მხრივ კი, კონსტიტუციურ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დაიცვას თავისუფალი და დემოკრატიული წყობილება იმ პოლიტიკური ძალებისგან, რომლებიც თავად ამ წესრიგის გაუქმებას, მორღვევას ან მის შერყევას ისახავენ მიზნად. სწორედ ამ ურთიერთდაპირისპირების წერტილში მდებარეობს პარტიის აკრძალვის ინსტიტუტი.

ბოლო წლებში აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს როგორც საქართველოში, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პოლარიზაციის, საპარლამენტო გამოძიებისა და პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების ფონზე, პარტიის აკრძალვის კონსტიტუციური ფარგლების, პროცედურული გარანტიებისა და მატერიალური წინაპირობების გააზრება განსაკუთრებულ მნიშვნე-

ლობას იძენს. ამავე დროს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი სასამართლო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) სტანდარტები ქმნიან მნიშვნელოვან შედარებით-სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია.

ნაშრომის მიზანია პოლიტიკური პარტიების აკრძალვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ანალიზი საქართველოსა და გერმანიის მაგალითზე. კვლევა მიზნად ისახავს პასუხის გაცემას კითხვაზე, რა პირობებში შეიძლება ჩაითვალოს პარტიის აკრძალვა დემოკრატიული წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ და თანაზომიერ ღონისძიებად და სად გადის ზღვარი დემოკრატიის დაცვასა და პოლიტიკური პლურალიზმის გაუმართლებელ შეზღუდვას შორის.

კვლევა ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ კვლევის მეთოდს. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს კონსტიტუცია და მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, გერმანიის ძირითადი კანონი და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნები და ECtHR-ის იურისპრუდენცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიის აკრძალვის როგორც საგამონაკლისო ინსტრუმენტის, ვინრო (რესტრიქტიულ) განმარტებას, „პოტენციურობის“ პრინციპს, სახელმწიფო ჩარევის თანაზომიერებასა და სამართლიანი პროცესის გარანტიებს.

## **I. სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში და გერმანიაში**

როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, პრინციპულად ითვალისწინებს კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნების მქონე პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესაძლებლობას.

## 1. კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოში

### ა) სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრულია:

მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება

1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

2. პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განუხრებლად მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა.

3. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს

ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.

4. პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის<sup>1</sup> 36-ე მუხლის მიხედვით:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან

---

<sup>1</sup> სტატიაში მოხსნიებული იქნება როგორც „პარტიების შესახებ კანონი“.

რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის გაცხადებული მიზანი ან/და საქმიანობის არსი (მათ შორის, პერსონალური შემადგენლობა ან/და შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილი პარტიული სიის შემადგენლობა) არსებითად იმეორებს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს (მათ შორის, პერსონალურ შემადგენლობას).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონში 2025 წლის მაისსა<sup>2</sup> და 2025 წლის ოქტომბერში<sup>3</sup> შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც პოლიტიკური პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებული დავის წარმოება (ქართულ სამართალში გერმანულისგან განსხვავებით იწოდება „კონსტიტუციური სარჩელის“ წარმოებად იწოდება<sup>4</sup>) სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისთვის განესაზღვრა ცხრათვიანი მაქსიმალური ვადა, საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან.<sup>5</sup>

ამასთანავე, პარტიების შესახებ კანონში დაემატა ახალი მუხლი, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს დამატებითი სამართლებრივი შედეგები, მათ შორის, მაგალითად, მანდატის დაკარგვა ან პასიური საარჩევნო უფლების

<sup>2</sup> დღეს მდგომარეობით ძალაშია

<sup>3</sup> ძალაში შევა 2026 წლის 2 მარტს

<sup>4</sup> გერმანულ სამართალში პარტიათა აკრძალვა ორგანოთა შორის დავის წარმოების ფარგლებში *Organstreitverfahren* განიხილება

<sup>5</sup> ამ ცვლილებებამდე ორგანული კანონი ითვალისწინებდა ცხრათვიან ვადას განმწესრიგებელი მოსმენის ჩატარებისთვის. თუმცა, თუ რა ვადაში უნდა მიეღო საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, კანონით განსაზღვრული არ იყო.

შეზღუდვა. აღნიშნულის დეტალებთან დაკავშირებით იხ. B. II. 2. ქვეთავში წარმოდგენილი განმარტებები.

### **b) სამართლებრივი შეფასების მასშტაბი**

კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით პარტიის აკრძალვისთვის აუცილებელი სამართლებრივი შემადგენლობის წინაპირობების განსაზღვრა გადატანილია პარტიების შესახებ კანონში, ანუ მარტივი კანონმდებლობის დონეზე, თუმცა ორგანული კანონის დონეზე, რომელიც იმაზე მაღლა დგას ვიდრე ჩვეულებრივი კანონი. ამის შედეგად, პარტიის აკრძალვის წარმოების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს ეკისრება ასევე ინციდენტურად შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ჩვეულებრივი სამართლის ნორმები კონსტიტუციის მოთხოვნებს.

### **aa) კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება**

კონსტიტუციურმა შემქმნელმა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში პარტიის შექმნისა და მისი საქმიანობისთვის სამართლებრივი ჩარჩოები ნათლად და ამომწურავად განსაზღვრა. თუმცა კონსტიტუციაში პარტიის აკრძალვის წინაპირობები ამომწურავად არ არის დადგენილი. კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი არც ტექსტობრივად და არც სისტემურად არ მოიცავს 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებულ მატერიალურ ნიშნებს. იგი პარტიის აკრძალვის მოწესრიგებას, არა მხოლოდ პროცედურული, არამედ მატერიალური წინაპირობების კუთხითაც, კანონმდებელს გადასცემს.

ასეთი დიფერენცირება შინაარსობრივადაც გამართლებულია, ვინაიდან პარტიების სახელმწიფოებრივი თავისუფლებისა და გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებების შეზღუდვა გაცილებით უფრო ინტენსიურია იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე მოქმედი და პოლიტიკურ პროცესებში „წარმატებით“ მონაწილე პარტია

იძულებით გამოეთიშება პოლიტიკურ სივრცეს, ვიდრე მაშინ, როდესაც თავიდანვე არ ხდება კონსტიტუციის სანინაალმდეგო პარტიის დაარსება. არსებული პარტიის აკრძალვა, პარტიის პოლიტიკური „წონის“ მიხედვით, პირდაპირ გავლენას ახდენს არსებულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე: შეიძლება დაიშალოს ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურები, გართულდეს პოლიტიკური და საპარლამენტო ოპოზიციური საქმიანობა და შედეგად, არჩეულმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა ნაწილობრივ დაკარგონ საკუთარი წარმომადგენლობითი ფუნქცია.

კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად მოქმედ სახელმწიფოში, სადაც არ ხდება პარტიათა აკრძალვის ბოროტად გამოყენება, და კონსტიტუციის სანინაალმდეგო პარტიის შექმნა თავიდანვე აღიკვეთება, მაშინ პარტიების სახელმწიფოებრივ თავისუფლებასა და კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებებში ჩარევა მნიშვნელოვანია, თუმცა იგი ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე უკვე მოქმედი პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შემთხვევაში.

კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი რა თქმა უნდა განსაზღვრავს კანონმდებლის შესაძლებლობებს პარტიის აკრძალვის რეგულირებისას, რათა კანონმდებელმა ძირითადად ამ ნორმით დადგენილი გარე ჩარჩოების ფარგლებში უნდა იმოქმედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი შედეგი დადგებოდა: კონსტიტუციით დასაშვებად მიჩნეული პარტია შეიძლება უბრალო კანონით პრაქტიკულად რეგისტრაციისთანავე ისევ აიკრძალოს. გარდა ამისა, წარმოიშობოდა ღირებულებითი წინააღმდეგობა, თუ უკვე მოქმედი, კონსტიტუციის სანინაალმდეგო პარტიის აკრძალვისთვის, მიუხედავად უფრო მაღალი ჩარევის ინტენსივობისა, ნაკლები მოთხოვნები იარსებებდა, ვიდრე ასეთი პარტიის შექმნის აკრძალვისთვის.

**bb) პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლის კონსტიტუციურობა**

პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლი მისი ამჟამინდელი რედაქციით აკმაყოფილებს კონსტიტუციის მოთხოვნებს, ვინაიდან იგი

უზრუნველყოფს პარტიის შექმნის წინაპირობებსა და აკრძალვის საფუძვლებს შორის არსებით პარალელებს და, ამდენად, არ სცდება იმ მოქმედების ჩარჩოებს, რომლებიც კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და კონსტიტუციის 4-ე მუხლით არის განსაზღვრული.

მართალია, კონსტიტუციის შემქმნელი კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის ტექსტის ფარგლებს მიღმაც უშვებს პარტიის აკრძალვას იმ შემთხვევაშიც, თუ პარტია ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირებას, თუმცა ეს არ წარმოადგენს კონსტიტუციით დადგენილი მოქმედების ჩარჩოების გადაჭარბებას. ერთი მხრივ, ჩარევის წინაპირობების ამგვარი „გაფართოება“ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობრივად შეცვლას ითვალისწინებს წინაპირობად, (იხ. ამასთან დაკავშირებით **D. III. 2. c) bb**)). ხოლო მეორე მხრივ, შეიარაღებული ფორმირებების შექმნა კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპების ისეთი ხასიათის საშიშროებებთან არის დაკავშირებული, რომ აღნიშნული აკრძალვის საფუძველი უკვე კონსტიტუციის 4-ე მუხლიდან იღებს გარკვეულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლეგიტიმაციას. ეს მით უფრო მართებულია, რამდენადაც კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავად. შეიარაღებული ფორმირების შექმნა მოითხოვს უკვე არსებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას და, შესაბამისად, ჩვეულებრივ ვერ განხორციელდება პარტიის შექმნის საწყის ეტაპზე, რომელიც ორგანული კანონით განსაზღვრული შედარებით მოკლე ვადების ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

კონსტიტუციის 3-ე მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული პრინციპების (თავისუფლება, თანასწორობა, გამჭვირვალობა და პარტიის შიდა დემოკრატია) დარღვევა, აკრძალვის საფუძვლების<sup>6</sup> ამომწურავი ხასიათის გათვალისწინებით, პარტიის აკრძალვას არ ამართლებს.

---

<sup>6</sup> იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 524

ღია რჩება საკითხი, შეიძლება თუ არა გამონაკლისის სახით განიხილებოდეს კონსტიტუციიდან იმანენტურად გამომდინარე პარტიის აკრძალვა იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველად ქვეყნის მასშტაბით მოქმედი პარტია მისი შექმნის შემდეგ გარდაიქმნება მხოლოდ რეგიონულ ან ტერიტორიულად მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებად და, შესაბამისად, ამ ფორმით მისი შექმნა კონსტიტუციურად დაუშვებელი იქნებოდა.

## 2. კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეგულაციები გერმანიაში

1919 წლის გერმანიის რაიხის კონსტიტუცია პარტიის აკრძალვას არ იცნობდა. თუმცა, ნაცისტური მმართველობის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონში შემოღებულ იქნა პარტიის აკრძალვის ინსტიტუტი.<sup>7</sup> გარდა ამისა, 2017 წლიდან კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მყოფი (*verfassungswidrige*) პარტიები გამორიცხულია სახელმწიფო დაფინანსებიდან.<sup>8</sup>

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 21-ე მუხლში აღნიშნულია:

**(2)** პარტიები, რომლებიც თავიანთი მიზნების ან მათი მხარდამჭერთა ქცევის მიხედვით ისწრაფვიან თავისუფალი და დემოკრატიუ-

---

<sup>7</sup> იხ. დეტალურად: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 514 ff.

<sup>8</sup> პარტიების შესახებ გერმანიის კანონის §§ 18 და შემდგომი მუხლების შესაბამისად, პარტიები იღებენ სახელმწიფო სახსრებს ნაწილობრივი დაფინანსების სახით. ეს დაფინანსება, ერთი მხრივ, განისაზღვრება იმ ხმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც პარტიამ მიიღო შესაბამისი ბოლო ევროპარლამენტის, ფედერალური პარლამენტის (*Bundestag*) და მინის პარლამენტის (*Landtag*) არჩევნებში. მეორე მხრივ, გათვალისწინებულია პარტიის წევრთა და მანდატის მქონე პირების შენატანების, აგრეთვე კანონიერად მიღებული შემონირობების მოცულობა.

ლი კონსტიტუციური წესრიგის შელახვის ან გაუქმებისკენ, ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის საფრთხის შექმნისკენ, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიჩნევიან.

**(3)** პარტიები, რომლებიც თავიანთი მიზნების ან მათი მხარდამჭერთა ქცევის მიხედვით მიმართულნი არიან თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების შელახვის ან გაუქმებისკენ, ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის საფრთხის შექმნისკენ, გამორიცხულნი არიან სახელმწიფო დაფინანსებიდან. თუ ამგვარი რამ დადგინდება, ამ პარტიებსა და მათთვის განუვალ შემონირობებს ამასთანავე ეკარგებათ საგადასახადო შეღავათები.

**(4)** მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციის წინააღმდეგობის საკითხზე, აგრეთვე მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო დაფინანსებიდან გამორიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

**(5)** დამატებითი დეტალები რეგულირდება ფედერალური კანონებით.

პარტიის აკრძალვის პროცედურა რეგულირდება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 43-ე მუხლით.<sup>9</sup> გარდა ამისა, პარტიების შესახებ კანონის 33-ე მუხლში გათვალისწინებულია ე.წ. შემცვლელი (Ersatz-) ორგანიზაციების აკრძალვა.<sup>10</sup>

---

<sup>9</sup> § 43 BVerfGG

(1) განაცხადი იმის თაობაზე, არის თუ არა პარტია კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ (ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ან გამორიცხულია თუ არა იგი სახელმწიფო დაფინანსებიდან (ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი), შეიძლება წარდგენილ იქნეს ბუნდესტაგის, ბუნდესრატის ან ფედერალური მთავრობის მიერ.

სახელმწიფო დაფინანსებიდან გამორიცხვის შესახებ განაცხადი შეიძლება დამხმარე მექანიზმად, წარდგენილ იქნეს იმ განაცხადთან ერთად, რომელიც შეეხება პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნობის საკითხს.

<sup>10</sup> § 33 პარტიების შესახებ გერმანიის კანონი:

## II. სამართლებრივი მდგომარეობა და პარტიათა აკრძალვის მნიშვნელობა ევროპაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დღემდე ორი პარტიის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო: კერძოდ, 1952 წელს ნაციონალსოციალისტური იდეოლოგიის მქონე სოციალისტური რაიხის პარტიის (SRP) მიმართ და 1956 წელს სტალინისტური გერმანიის კომუნისტური პარტიის (KPD) მიმართ. 2003 წელს გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის (NPD) წინააღმდეგ აღძრული პარტიის აკრძალვის პროცედურა ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმის არსებით განხილვამდე შეწყვიტა საპროცესო დაბრკოლების არსებობის გამო. NPD-ის წინააღმდეგ დაწყებულ მეორე პარტიის აკრძალვის წარმოებაში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წელს დაადგინა, რომ NPD მართლაც ემსახურებოდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნებს, რომლებიც მიმართული იყო არსებული თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების გაუქმებისკენ. თუმცა, სასამართლომ ვერ დაადგინა კონკრეტული გარემოებები, რომლებიც შესაძლებლად წარმოაჩენდა, რომ NPD-ის ქმედებები პრაქტიკულ წარმატებას მიაღწევდა. ამ მიზეზით, კონსტიტუციური<sup>11</sup> განაცხადი უარყოფილ იქნა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებული საქმეები არ განუხილავს. თუმცა, 2016 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა პოლიტიკური

---

(1) აკრძალულია ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 46-ე მუხლის საფუძველზე აკრძალული პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მისწრაფებებს მის ნაცვლად განაგრძობენ (ე.წ. შემცვლელი ორგანიზაცია - Ersatzorganisation), აგრეთვე არსებული, აკრძალული ორგანიზაციების შემცვლელ ორგანიზაციებად არსებობის გაგრძელება

<sup>11</sup> იხ. მოკლე მიმოხილვა:

<https://www.bmi.bund.de/DE/themen/verfassung/parteienrecht/partieverbot/partieverbot-node.html>

დისკუსია, ვინაიდან პრორუსულმა პარტია “ცენტრისტები” საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქართველ ამომრჩევლებს დაჰპირდა „რუსულ პენსიებს“ და საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების განლაგებას.

როგორც მაშინდელმა მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება“, ისე ოპოზიციურმა პარტიამ „ნაციონალური მოძრაობა“ განაცხადეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანდნენ კონსტიტუციური სარჩელს პარტიის აკრძალვის პროცესის დასაწყებად და მის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნობის მოთხოვნით. თუმცა, აღნიშნულამდე საქმე არ მისულა, რადგან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარტიის უკვე განხორციელებული რეგისტრაცია ფორმალური (არა შინაარსობრივი) მიზეზების გამო გააუქმა მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ პარტიას არ ჰყავდა უფლებამოსილი (ავტორიზებული) ხელმძღვანელობა.<sup>12</sup>

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში 1945 წლიდან 2024 წლამდე დაახლოებით 150 პარტიის აკრძალვა დაფიქსირდა. რაოდენობრივად ყველაზე დიდი წილი მოდის რუსეთზე, სადაც მხოლოდ 2007- 2022 წლებში საერთო ჯამში 53 პარტია იქნა აკრძალული. შემდეგ მოდის თურქეთი - 23 აკრძალვით, და უკრაინა - 17 აკრძალვით, სადაც ძირითადი აკრძალვები 2022 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის ომის შემდეგ განხორციელდა.<sup>13</sup>

რუსეთსა და თურქეთში პარტიების აკრძალვის განსაკუთრებით მაღალი რაოდენობის მიზეზებზე, აგრეთვე შესაძლო დასკვნებზე - მაგალითად, პარტიების აკრძალვის რაოდენობასა და სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის ხარისხს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე - აქ ფორმატის გამო უფრო დეტალურად ვერ

---

<sup>12</sup> იხ. მოკლე ინფორმაცია: <https://civil.ge/ka/archives/155276>

<sup>13</sup> მონაცემები: Nils Meyer-Ohlendorf, Zweischneidiges Schwert, Journal für Internationale Politik und Gesellschaft, vom 19.12.2024, <https://www.ipg-journal.de/rubriken/demokratie-und-gesellschaft/artikel/zweischneidiges-schwert-1-7972/>

იქნება განხილული. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში პარტიების აკრძალვა შედარებით იშვიათად გვხვდება. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გამოცხადებული პარტიების აკრძალვების უმრავლესობა შეეხება მცირე და პოლიტიკურად უმნიშვნელო პარტიებს ან მილიტანტურ დაჯგუფებებს, რომლებიც გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, ნაწილობრივ, უფრო მეტად გაერთიანებულად (ასოციაციებად) იქნებოდნენ შესაფასებელი. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უახლეს ისტორიაში პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი, სავარაუდოდ, იყო ბასკურ-ნაციონალისტური პარტიის Herri Batasuna-ს აკრძალვა.<sup>14</sup>

## **B. კონსტიტუციურ-პოლიტიკური ასპექტები და მათი სამართლებრივი შედეგები**

### **I. პარტიის აკრძალვის კონსტიტუციურ-პოლიტიკური შეფასება**

პარტიების აკრძალვა წარმოადგენს ორმხრივ მახვილს.<sup>15</sup> ერთი მხრივ, მას შეუძლია დაიცვას დემოკრატია მისი მტრებისგან; მეორე მხრივ კი, დემოკრატიის დასუსტების პროცესში მყოფ სახელმწიფოში (იმ შემთხვევაში, თუ თავად კონსტიტუციურ-სასამართლო დაცვის მექანიზმებიც ვერ ფუნქციონირებს ეფექტიანად) შესაძლოა იქცეს კიდევ ამ დემოკრატიის დასასრულის გამომწვევ ფაქტორად.

ამასთან, პარტიების აკრძალვამ, მით უფრო მისი რეპრესიული ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება კონფლიქტში შევიდეს რო-

<sup>14</sup> იხ: EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., §§ 85 ff.;

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-93475%22%5D%7D>

<sup>15</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn 145; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 586, abgedruckt in Abschnitt D. III. 1. d)

გორც პარტიების კონსტიტუციური-სამართლებრივი თავისუფლების პრინციპთან<sup>16</sup>, ისე კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა თავისუფლებებთან.

## 1. პოლიტიკური გამოცდილება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში

პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებული პოლიტიკური გამოცდილება სხვადასხვაგვარია.

ბასკურ-ნაციონალისტური პარტიის **Herri Batasuna**-ს აკრძალვამ ხელი შეუწყო ბასკეთის რეგიონში კონფლიქტის დეესკალაციას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **ETA**-ს ტერორისტული საქმიანობის დასრულებაში.<sup>17</sup> ამის საპირისპიროდ, არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თურქეთში პარტია **AKP** თავისი წინამორბედი პარტიების აკრძალვისა და ასევე მის წინააღმდეგ წარმოებული აკრძალვის პროცესების<sup>18</sup> შედეგად, პირიქით, გაძლიერდა. ამ პარტიის მხარდამჭერებმა აკრძალვის პროცედურიდან, ყოველ შემთხვევაში ტენდენციურად, გამოიტანეს დასკვნა, რომ თურქეთის მართლმსაჯულება მიკერძოებული იყო.<sup>19</sup>

---

<sup>16</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn. 160 ff. und Rn. 401 ff.; BVerfG, Urteil vom 24. Januar 2023 - 2 BvF 2/18 - BVerfGE 165, 206, Rn. 108 ff.

<sup>17</sup> Nils Meyer-Ohlendorf, Zweischneidiges Schwert, Journal für Internationale Politik und Gesellschaft, vom 19.12.2024, <https://www.ipg-journal.de/rubriken/demokratie-und-gesellschaft/artikel/zweischneidiges-schwert-1-7972/>

<sup>18</sup> დამატებით იხ. ევროკავშირის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის განყოფილების ანგარიში.: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2008/406976/EXPO-DROI\\_NT\(2008\)406976\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2008/406976/EXPO-DROI_NT(2008)406976_EN.pdf)

<sup>19</sup> O'Donohue, Andrew; Tecimer, Cem: Why Party Bans Often Don't Work: How an Attempt to Ban Turkey's AKP Backfired, VerfBlog, 2024/4/06, <https://verfassungsblog.de/why-party-bans-often-dont-work/>, DOI: 10.59704/d216e52d4dc747f7; Nils Meyer-Ohlendorf, Zweischneidiges Schwert, Journal für Internationale Politik und Gesellschaft, vom 19.12.2024,

ანალოგიურად, ბელგიაშიც ყოფილი ულტრა მემარჯვენე პარტიის **Vlaams Blok**-ის პარტიულ-პოლიტიკური გავლენის სახელმწიფოებრივი ზომებით შეზღუდვის მცდელობა ამ პარტიის მხარდამჭერებმა უსამართლო თავდასხმად აღიქვეს და ამან ვერ შეუშალა ხელი ამ „მემკვიდრე პარტიის“ შემდგომ პოლიტიკურ აღმავლობას.<sup>20</sup>

მსგავსი კონსტიტუციურ-პოლიტიკური დისკუსიები არსებობს გერმანიაშიც, კერძოდ, იმ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით, პოლიტიკურად ექსტრემისტული პარტიების წინააღმდეგ აკრძალვის პროცედურების წარმოება (რომლის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნებიც აქ ნაგულისხმევად მიიჩნევა) რამდენად არის ეფექტიანი საშუალება, არა მხოლოდ კონსტიტუციურ-სამართლებრივად, არამედ ასევე კონსტიტუციურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

## **2. პარტიის აკრძალვა versus პოლიტიკური შეხედულებების ბრძოლა**

პარტიის აკრძალვის ძირითადი კონსტიტუციურ-პოლიტიკური პრობლემატიკა მდგომარეობს შემდეგში:

– თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი ეფუძნება ღია პოლიტიკურ დისკურსს და არგუმენტების ძალას და არა აკრძალვებს პოლიტიკური შეხედულებების ბრძოლაში. შესაბამისად, პარტიის აკრძალვა წარმოადგენს გარკვეულწილად უცხო ელემენტს ისეთ პოლიტიკურ დებატებში, რომლებიც არსებითად მიმართულია არა აკრძალვის, არამედ არგუმენტების და თავისუფალი შინაგანი რწმენის ფორმირებისკენ.

---

<https://www.ipg-journal.de/rubriken/demokratie-und-gesellschaft/artikel/zweischneidiges-schwert-1-7972/>

<sup>20</sup> Schlund, Parteiverbote sind keine Allzweckwaffe, Die Zeit vom 11. November 2024, <https://www.zeit.de/gesellschaft/zeitgeschehen/2024-11/rechtsextreme-parteien-europa-afd-verbot-eu>

– პარტიების აკრძალვით, დემოკრატიულ საზოგადოებაში ვერ ხერხდება ვერც მოქალაქეთა კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებების შეცვლა (მიუხედავად საქართველოს პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის და გერმანიის პარტიების შესახებ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისი საკანონმდებლო აკრძალვებისა) და ვერც აკრძალული პარციების შემცველი ორგანიზაციების ჩამოყალიბების ეფექტიანად აღკვეთა.<sup>21</sup> ამასთან, არ შეიძლება გამოირიცხოს სოლიდარობის ეფექტების წარმოშობის საფრთხე და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავება.

– თუმცა, პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საფრთხე მდგომარეობს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაში, ანუ მისი თავდაპირველი მიზნის განზრახ დამახინჯებაში.

პარტიის აკრძალვის რეგულაციების შემუშავებისას კანონმდებლები აშკარად გამოდიოდნენ იმ ვითარებიდან, როდესაც აკრძალვის წარმოებისას განმცხადებლები/მოსარჩელები წარმოადგენენ თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის, მეზობელი დემოკრატიის (*wehrhafte Demokratie*) მცველების, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები მოსამართლეები დამოუკიდებლად მოქმედებენ. თუმცა ისტორია აჩვენებს, რომ ეს წინაპირობები მუდმივად გარანტირებული არ არის. არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულ მომენტში პოლიტიკური ჩარჩო პირობები საპირისპიროდ შეიცვალოს. ასეთ შემთხვევაში ჩნდება საფრთხე, რომ პარტიის აკრძალვა ბოროტად იქნას გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში ჩნდება საფრთხე, რომ პარტიის აკრძალვა გამოყენებული იქნება პოლიტიკური წინააღმდეგობის დასაძლევად, რომელიც მიმართულია იმ დემოკრატიის დემონტაჟისთვის, რომელსაც

---

<sup>21</sup> შდრ. კონსტიტუციურ-პოლიტიკურ შედეგებსა და სხვა სახელმწიფოებში დაგროვილ გამოცდილებასთან დაკავშირებით, მათ შორის, მითითებულ წყაროებს: *Das Parteiverbot in Deutschland und Europa*, <https://verfassungsblog.de/category/debates/das-partieverbot-in-deutschland-und-europa>

შესაძლოა თავად აკრძალვის ინიციატორების ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებიც კი ახორციელებდნენ.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი:

ისეთ სახელმწიფოში, სადაც არსებითად შენარჩუნებულია სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის სტრუქტურები, პოლიტიკურ შეხედულებათა ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ არგუმენტებს და არა რეპრესიულ ზომებს. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პარტიის აკრძალვა შეიძლება წარმოადგენდეს დამატებით საშუალებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კონსტიტუციის საწინააღმდეგო ძალების მიმართ მეტრძოლი დემოკრატიის პოზიციის გამოხატვა. თუმცა იგი თავისთავად არ წარმოადგენს ყველაზე ეფექტიან საშუალებას და, მით უმეტეს, არ უნდა ჩაანაცვლოს არგუმენტების ძალა პოლიტიკურ დისკურსში.

ისეთ სახელმწიფოში კი, სადაც პოლიტიკური პასუხისმგებლობის მატარებელი სუბიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით კი თუ კონსტიტუციური ორგანოები, გადაუხვევენ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს გზას, პარტიის აკრძალვა იქცევა უკიდურესად სახიფათო ინსტრუმენტად, რომელიც გამოიყენება საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების გასამყარებლად და თვით მოსარჩელების მიერ შექმნილი კონსტიტუციის საწინააღმდეგო მდგომარეობის გასამყარებლად, პოლიტიკიდან არასასურველი პოლიტიკური პარტიების გამორიცხვის გზით.

ეს არ ნიშნავს, რომ პარტიების აკრძალვა, აღნიშნული ბოროტად გამოყენების საფრთხის გამო იმთავითვე უნდა შეფასდეს განსაკუთრებული ეჭვით. თუმცა, მნიშვნელოვანია რომ საერთო შეფასებისას და პარტიათა აკრძალვის რეპრესიულ ხასიათიდან გამომდინარე, აღნიშნული რისკი იქნეს სათანადოდ აღიარებული და შეფასებული. რადგან გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციურ-პოლიტიკური თვალსაზრისით არსებობს როგორც არგუმენტები მის სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ, რომელთა ურთიერთშეწონვა კონკრეტულ კონტექსტზეა დამოკიდებული. სწორედ ეს ორმხრივი ხასიათი არის მიზეზი იმისა, რომ არაერთმა დასავლურმა

დემოკრატიაში საკუთარ კონსტიტუციებში საერთოდ უარი თქვა პარტიის აკრძალვის ინსტრუმენტზე.<sup>22</sup>

## II. პარტიის აკრძალვის სამართლებრივი შედეგები და მისი კონსტიტუციურ-პოლიტიკური ამბივალენტურობა

პარტიის აკრძალვის ეს ამბივალენტურობა მხოლოდ კონსტიტუციურ-პოლიტიკური ხასიათის არ არის, არამედ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზეც აისახება.

### 1. კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ვალდებულება

ეჭვგარეშეა, რომ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებს ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი და დაუპირისპირდნენ მის დამანგრეველ ტენდენციებს. ეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულება თავდაცვითობისკენ, ან, როგორც ამას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უწოდებს, „მებრძოლი დემოკრატის“ ( *streitbare Demokratie* ) პრინციპი<sup>23</sup> პირველ რიგში გულისხმობს კონსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლას. ამასთანავე, პარტიის აკრძალვა, მიუხედავად მისი რეპრესიული ხასიათისა და

---

<sup>22</sup> ევროპის საბჭოს ნეერ სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ მითითებულია ვენეციის კომისიის 2000 წლის 10 იანვრის ანგარიშში წარმოდგენილ (თუმცა უკვე გარკვეულწილად მოძველებულ) შემაჯამებელ მიმოხილვაზე, რომელიც პარტიულ-სამართლებრივ საკითხებს ეხება.

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-INF\(2000\)001-e; Appendix I, Seite 15 ff.](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-INF(2000)001-e; Appendix I, Seite 15 ff.); იხ. ასევე: Loladze, B., Macharadze, Z., Phirtskhalashvili A., *Constitutional Justice*, 2023, Seiten 600 ff.

<sup>23</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193 ff., Rn. 22 und Rn. 153 ff.; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 606; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 516

მისი სადავო მიზანშეწონილობისა, მიზნად არ ისახავს დემოკრატიის შეზღუდვას, არამედ, პირიქით, დემოკრატიისა და ხალხის სუვერენიტეტის გაძლიერებას.<sup>24</sup> პარტიის აკრძალვის მიზანი, მისი ორმხრივი ხასიათის მიუხედავად, არის იმ რისკებთან გამკლავება, რომლებიც კონსტიტუციის საწინააღმდეგო ტენდენციის მქონე პარტიათა არსებობიდან და მისი ორგანიზაციული გავლენის შესაძლებლობებიდან მომდინარეობს.<sup>25</sup>

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს:<sup>26</sup>

„თავისუფალი და დემოკრატიული წესრიგის გრძელვადიანი დამკვიდრების მიზნით, ძირითადი კანონი არ ისახავს მიზნად უზრუნველყოს ის თავისუფლება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თავისუფალი დემოკრატიის წინაპირობების გაუქმება და მინიჭებული თავისუფლების ბოროტად გამოყენება ამ წესრიგის მოსაშლელად. შესაბამისად, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი მიმართულია იმ ფუნდამენტური ღირებულებების დაცვისკენ, რომლებიც აუცილებელია მოქალაქეთა მშვიდობიანი და დემოკრატიული თანაცხოვრებისთვის.“

იგივე პრინციპები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც პარტიის მისწრაფებები მიმართული არ არის თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების შელახვისკენ, არამედ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან დამოუკიდებლობის ხელყოფისკენ. ასეთ შემთხვევაში, კონსტიტუციასთან შეუთავსებელი ფორმით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თავად კონსტიტუციური სახელმწიფოებრივი წყობილების არსებობა (საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტთან და საქართველოს პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით დეტალურად იხ. D. III. 2.).

<sup>24</sup> vgl. BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193 ff., Rn. 220, abgedruckt in Abschnitt C. III. 1.

<sup>25</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Leitsatz 1

<sup>26</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 515

## 2. აკრძალვის პროცედურის სამართლებრივი ფორმირება და პარტიის აკრძალვის შედეგები

### a) საქართველო

კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას. 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა არსებითი ცვლილებები შეიტანა ამ უფლებამოსილებაში. კომპეტენციის დამდგენ ნორმაში აისახა მოსარჩელეთა ჩამონათვალი. (იხ. ქვემოთ A. I. a)) ახალმა რედაქციამ აღარ გაითვალისწინა პოლიტიკური პარტიის შექმნის კონსტიტუციურობის შემოწმება. თუმცა ამავდროულად, კომპეტენცია გაფართოვდა იმ კუთხით, რომ მას დაემატა პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

როდესაც სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობას, მოპასუხეა შესაბამისი პარტია, ხოლო თუ სარჩელი პარტიის შექმნის კონსტიტუციურობას უკავშირდება, მოპასუხეა პარტია და მისი მარეგისტრირებელი ორგანო. აღსანიშნავია, რომ 35-ე მუხლი, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მსგავსად, ითვალისწინებს პარტიის როგორც საქმიანობის, ასევე შექმნის კონსტიტუციურობის კონტროლს.

მოსარჩელეზეა დამოკიდებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები და მისი შემცირება. მის ხელშია სამართალწარმოების გაგრძელების ბედიც - სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა იწვევს საქმის შეწყვეტას.<sup>27</sup> როგორც ვხედავთ, აქ უპირატესობა დისპოზიციურობის პრინციპს ენიჭება, რაც არაა გამართლებული, რადგანაც ამ კომპეტენციის უმთავრესი მიზანი - კონსტიტუციის დაცვა ობიექტური ხასიათისაა. გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამო-

---

<sup>27</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ყალიბებული მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის დაშვების საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. როდესაც სასამართლო არსებითად განსახილველად იღებს საქმეს, იგულისხმება, რომ მან დაადასტურა საჯარო ინტერესის არსებობა და მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნაზე მოსარჩელის უარისა, ბოლომდე უნდა მიიყვანოს სამართალწარმოება.<sup>28</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობას და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს. აქ ძირითადი გასარკვევი სწორედ პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობაა. მასზეა დამოკიდებული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა. აღნიშნული კომპეტენცია მას 2025 წლის შემოდგომაზე კიდევ უფრო გაუფართოვდა.<sup>29</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონში ახალი (2025 წლის 15 ოქტომბრის) ცვლილებების მიხედვით პარტიის აკრძალვაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არამხოლოდ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის აკრძალვას, ანუ მისი რეგისტრაციის გაუქმებას, არამედ თანამდევი შედეგების წარმოშობას:

<sup>28</sup> ამ მიზეზით, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ნაწილობრივ გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონსტიტუციური სარჩელის/განაცხადის უკან წაღების შემთხვევაში, ორგანოთა შორის დავის წარმოების კონტრადიქტორული ხასიათის მიუხედავად, კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს წარმოების გაგრძელების საკითხი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. vgl. BVerfG, Beschluss vom 29. November 2023 - 2 BvH 1/21 - juris Rn. 1 f.; BVerfG, Beschluss vom 20. September 2021 - 2 BvE 5/21 - juris Rn. 6; BVerfG, Beschluss vom 22. Juni 2021 - 2 BvE 10/20 - BVerfGE 158, 209, Rn. 2

<sup>29</sup> 2025 წლის 16 ოქტომბრის ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ

1. შესაბამის პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული სათანადო პირისთვის პოლიტიკური პარტიის შექმნის, პოლიტიკური პარტიის წევრობის, პოლიტიკური პარტიის ორგანოს წევრობის, პოლიტიკურ პარტიაში პარტიული თანამდებობის დაკავების, საყოველთაო არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის, საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს წევრის ან არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების შექმნის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავების, პოლიტიკური თანამდებობის დაკავებისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების აკრძალვას, თუ ამას ითხოვდა მოსარჩელე და ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

2. შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობას, თუ მოსარჩელე ითხოვდა, რომ საქართველოს პარლამენტის ეს წევრი დაქვემდებარებოდა უფლებამოსილების შეწყვეტას, და ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

3. შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას, თუ ამას ითხოვდა მოსარჩელე და ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

4. შესაბამისი პოლიტიკური პარტიის მიერ საყოველთაო არჩევნებში წარდგენილი პარტიული სიიდან პირის ამორიცხვას, თუ ამას ითხოვდა მოსარჩელე და ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა.“

## **b) გერმანია**

გერმანიაში დეპუტატი ფედერალური საარჩევნო კანონის<sup>30</sup> 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის დეტალური რეგულაციის შესაბამისად კარ-

---

<sup>30</sup> § 46 ფედერალური საარჩევნო კანონი

(4) თუ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი

გავს მანდატს, თუ იგი არჩეულია კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოცხადებული პარტიის სიით. შესაბამისად, საქართველოსგან განსხვავებით, არ არის საჭირო მანდატის დაკარგვის შესახებ ინდივიდუალური კონსტიტუციურ-სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

დამატებითი დეტალების, მათ შორის კანონმდებლობის დონეზე ასეთი რეგულაციის კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით, მითითებულია გერმანიის ბუნდესტაგის სამეცნიერო სამსახურის მიერ მომზადებულ ანალიზზე.<sup>31</sup>

---

კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე პარტიას ან პარტიის ქვეორგანიზაციას კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოაცხადებს, დეპუტატები კარგავენ გერმანიის ბუნდესტაგის წევრობას, ხოლო მათი შემცვლელები კი მანდატზე პრეტენზიის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღნიშნულ პარტიას ან მის ქვეორგანიზაციას ეკუთვნოდათ კონსტიტუციური სარჩელის/განაცხადის წარდგენასა (§ 43 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი) და გადაწყვეტილების გამოცხადებას (§ 46 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი) შორის პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ ის დეპუტატები, რომლებმაც პირველი წინადადების საფუძველზე დაკარგეს წევრობა, არჩეულნი იყვნენ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, შესაბამის ოლქებში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები ხელახლა ტარდება § 44-ის მე-2–მე-4 პუნქტების ანალოგიური გამოყენებით; ამასთან, დეპუტატებს, რომლებმაც პირველი წინადადების საფუძველზე დაკარგეს წევრობა, არ აქვთ უფლება კანდიდატებად წარდგენისა.

იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატები, რომლებმაც პირველი წინადადების საფუძველზე დაკარგეს წევრობა, არჩეულნი იყვნენ იმ პარტიის ან მისი ქვეორგანიზაციის მიწის სიით, რომელიც კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ იქნა გამოცხადებული, შესაბამისი მანდატები ვაკანტურად რჩება.

სხვა დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება § 48-ის პირველი პუნქტი

<sup>31</sup> კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნობის დადგენის შემდეგ მანდატის დაკარგვის საკითხზე:

<https://www.bundestag.de/resource/blob/992656/e2118ff6af8cbed18227e8e39cec6806/WD-3-003-24-pdf>

### **3. მიმოხილვა: საქართველოში მიმდინარე პარტიების აკრძალვის შესახებ**

#### **a) პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული პარტიის აკრძალვის განცხადება/სარჩელი**

2025 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა კონსტიტუციური სარჩელი ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის არაკონსტიტუციურად ცნობისა და მათი აკრძალვის შესახებ, საქმის ნომრით N1912, სახელწოდებით: საქართველოს პარლამენტის წევრების (სულ 88 წევრის) კონსტიტუციური სარჩელი პოლიტიკური პარტიების („ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“, „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“) საქმიანობის კონსტიტუციურობისა და აკრძალვის საკითხზე.<sup>32</sup>

დეპუტატთა შეფასებით (მმართველი პარტიის 88 დეპუტატი), აკრძალვის წარმოებაში მოქცეული პოლიტიკური პარტიების საქმიანობა მიმართულია კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და მისი ძალადობრივი შეცვლისკენ, აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისკენ. განმცხადებლები ითხოვენ აღნიშნული პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოცხადებას, პარტიების აკრძალვას და მათი რეგისტრაციის გაუქმებას. აკრძალვის აუცილებლობის დასაბუთების მიზნით განმცხადებლები ეყრდნობიან საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ანგარიშს და მასში მოცემულ შეფასებას.

1912-ე კონსტიტუციური სარჩელში ავტორები, I.3.1. თავში, 2003-2012 წლების პერიოდის შეფასებისას, სახელმწიფო მმართველობის არსის სრული უგულებელყოფით, ერთმანეთთან აიგივებენ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა,

---

<sup>32</sup> იხ. სარჩელი: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=18680> კონსტიტუციური სარჩელის N 1912

ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური პარტიის, თუნდაც, საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი პარტიის ფუნქციებსა და სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მხედველობაშია მისაღები, რომ პარტიას, როგორც იურიდიულ პირს, მთავრობის ქმედებებზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც წესი ვერ დაეკისრება, განსაკუთრებით საპრეზიდენტო მმართველობის დროს, ვინაიდან, მთავრობა მოქმედებს როგორც სახელმწიფო ორგანო და არა როგორც პარტიული სტრუქტურა.

სარჩელის მიხედვით: „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლების ფლობის პერიოდში (2004-2012 წლებში) შექმნა და განავითარა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა წამებისა და მათ მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სისტემა, იმავე პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩაიდინა ძალადობრივი, წამების შემცველი ან/და ადამიანის უფლებების სხვაგვარად ხელმყოფი მრავალი ქმედება და ამ მხრივ აშკარა არაკონსტიტუციური საქმიანობა განახორციელა, რაც გასცილდა ერთეული შემთხვევების ფარგლებს და რამაც სისტემური და სისტემატური ხასიათი მიიღო. ყოველივე ეს დასტურდება 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში[20] (შემდგომ – დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა) ასახული ფაქტებითა და მტკიცებულებებით, აგრეთვე სხვა სათანადო წყაროებით. საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების სისტემური და სისტემატური ხელყოფის პრაქტიკის არსებობა, რომელიც 2004-2012 წლებში განხორციელდა, დაადგინა და დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც, რაც მის სხვადასხვა გადაწყვეტილებაშია ასახული. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლების ფლობის პერიოდში (2004-2012 წლებში) შექმნა და განავითარა მკვლევობებისა და სხვაგვარი ძალადობის სისტემა, იმავე პერიოდში ჩაიდინა

ძალადობრივი, წამების შემცველი ან/და ადამიანის სიცოცხლის ხელმყოფი მრავალი ქმედება და ამ მხრივ აშკარა არაკონსტიტუციური საქმიანობა განახორციელა, რაც გასცილდა ერთეული შემთხვევების ფარგლებს და რამაც სისტემური და სისტემატური ხასიათი მიიღო. ყოველივე ეს დასტურდება დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში ასახული ფაქტებითა და მტკიცებულებებით, აგრეთვე სხვა სათანადო წყაროებით.

სარჩელის ამავე ნაწილის მიხედვით: „პოლიტიკური პარტიის საქმიანობა დემოკრატიის პრინციპების დაცვასთან პირდაპირ და მჭიდროდ დაკავშირებულია. აქედან კი გამომდინარეობს პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ვალდებულება, უსაფუძვლოდ არ უარყოს და აღიაროს საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ორგანოებისა და თანამდებობის პირების ლეგიტიმურობა, რაზე უარის თქმაც არჩევნების დისკრედიტაცია და ხალხის ნებისა და დემოკრატიის მიზანმიმართული უარყოფაა“. სარჩელის მიხედვით, აღნიშნული სამივე პარტიის მიმართ ითვლება როგორც საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებულ საბოტაჟი.

კონსტიტუციური სარჩელის I.4.1. თავი შეეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებულ საკითხებს და მასში აღნიშნულია, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლების ფლობის პერიოდში (2004-2012 წლებში) საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ჩაიდინა არაერთი ქმედება და ამ მხრივ, აშკარა არაკონსტიტუციური საქმიანობა განახორციელა, რამაც დააზიანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის პერსპექტივა და ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და საოკუპაციო ძალის მიერ ოკუპაციასთან მიმართებით პოლიტიკური პოზიციების გამყარებას. ყოველივე ეს დასტურდება დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში ასახული ფაქტებითა და მტკიცებულებებით, აგრეთვე სხვა სათანადო წყაროებით.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, აღნიშნული მოვლენების

კულმინაციას 2008 წლის აგვისტო წარმოადგენდა, როდესაც საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ შექმნა ნიადაგი ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ძალის შესაჭრელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ასკვნის, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2004 წლიდან გეგმაზომიერად და თანამიმდევრულად განახორციელა რიგი ქმედებები და ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას.

### **b) ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მიერ ინიცირებული განაცხადები/სარჩელები**

თავის მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა „გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2025 წლის 10 ნოემბერს<sup>33</sup> და არაკონსტიტუციურად მიიჩნევს იმ ნორმატიულ აქტებს რომელთა საფუძველზეც არის მომზადებული „ქართული ოცნების 88 დეპუტატის“ კონსტიტუციური სარჩელი<sup>34</sup>. იგი ფორმალურად და მატერიალურად არაკონსტიტუციურად მიიჩნევს როგორც საგამოძიებო კომისიის შექმნას, ისე იმ შემდგომ საპარლამენტო ღონისძიებებს, რომელთა საფუძველზეც პარტიის აკრძალვის პროცედურა მომზადდა. ამ საპარლამენტო საგამოძიებო პროცედურის კონსტიტუციურობის დარღვევისა და საბოლოო ანგარიშში მოცემული პოლიტიკური შეფასებების დაუშვებლობის გამო, მისი აზრით, პარტიის აკრძალვაზე მიმართული ორგანოთა დავა ფაქტობრივ საფუძველს არის მოკლებული.

ძირითად სამართლებრივ არგუმენტებს, რომელსაც მოსარჩელე ეყრდნობა, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნაში გაკეთებული პოლიტიკური შეფასებები წარმოადგენენ. სამართლებრივ

<sup>33</sup> <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=18865> სარჩელის ნომერი N1915

<sup>34</sup> 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი; 2. საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 5 თებერვლის #240-IIIმს-XIმპ დადგენილება; 3. საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 3 სექტემბრის #958-IVმს-XIმპ დადგენილება.

ვი პარლამენტის საგამოძიებო კომისია საპარლამენტო კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს. იგი ვერ იქნება ოპოზიციური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციურობის შეფასების საშუალება. ვენეციის კომისიამ აზრით, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიები წარმოადგენენ იმ მექანიზმს, რომელსაც, ჩვეულებრივ, როგორც პარლამენტის „კონტროლის“, „მეთვალყურეობის“ ან „ზედამხედველობის“ ფუნქციად მოიხსენიებენ და რომლის არსიც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ზედამხედველობასა და შემონახვაში გამოიხატება. კომისიის პოზიციის თანახმად, ამგვარი ზედამხედველობის მთავარ მიზანს დემოკრატიული პოლიტიკური ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, მთავრობისა და ადმინისტრაციის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება წარმოადგენს.<sup>35</sup>

ვენეციის კომისიის თანახმად, პარლამენტის საგამოძიებო კომისიები ატარებენ პოლიტიკური ხასიათის პროცესს, რომელიც არსებითად განსხვავდება სამართალწარმოებისგან. ამგვარი კომისიების ფუნქცია არ არის და მათ არ უნდა მისცენ საკუთარ თავს იმის უფლება, რომ შეაფასონ ან გადაწყვიტონ, მაგალითად, შესაბამისი პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი - ეს მხოლოდ პროკურატურისა და სასამართლოების კომპეტენციაა.<sup>36</sup>

პოლიტიკურმა პარტიებმა - გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ 2025 წლის 15 დეკემბერს<sup>37</sup> და მანამდე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხის-

---

<sup>35</sup> AMICUS CURIAE BRIEF in the case of Rywin v. Poland (Applications Nos 6091/06, 4047/07, 4070/07) pending before THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS (ON PARLIAMENTARY COMMITTEES OF INQUIRY). Strasbourg, 25 March 2014, CDL-AD(2014)013 - § 7

<sup>36</sup> იქვე. § 16

<sup>37</sup> <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=19107> სარჩელის ნომერი N1927.

ვის, თავისუფლებისთვის!“ 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ შეიტანეს სარჩელები,<sup>38</sup> რომლითაც ის არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ პარტიათა კანონით რამდენიმე ნორმას

#### 4. განაცხადის წარდგენის უფლებამოსილი სუბიექტების დისკრეცია

პარტიის აკრძალვის ზემოაღნიშნული ამბივალენტურობის შედეგად, განაცხადის წარდგენის უფლებამოსილ კონსტიტუციურ ორგანოებს ეკისრებათ დისკრეცია, დაიწყონ თუ არა რეალურად პარტიის აკრძალვაზე მიმართული წარმოება, ან თავი შეიკავონ მისი ინიცირებისგან.<sup>39</sup>

ეს მით უფრო მართებულია, რამდენადაც პარტიის აკრძალვის მექანიზმი თავისთავად უპირისპირდება პოლიტიკური შეხედულებების თავისუფლებას.<sup>40</sup> კონფლიქტური კონსტიტუციური მიზნების აწონვისას შეიძლება არსებობდეს სერიოზული საფუძვლები, რომ პოლიტიკური შეხედულებების თავისუფლებას მიენიჭოს უპირატესობა.<sup>41</sup>

ვინაიდან აქ საქმე გვაქვს პოლიტიკურ და არა სამართლებრივად სავალდებულო დისკრეციულ გადაწყვეტილებასთან, სახელმწიფო

---

<sup>38</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სარჩელის ნომერი N1907 იხ. ვებ გვერდზე <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=18670>

<sup>39</sup> BVerfG, Beschluss vom 29. Oktober 1975 - 2 BvE 1/75 - BVerfGE 40, 287, Rn. 17; Burghart in: Leibholz/Rinck/Mellinghoff, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, 96. Lieferung, 10/2025, Art. 21 GG, Rn. 372 f.

<sup>40</sup> Burghart in: Leibholz/Rinck/Mellinghoff, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, 96. Lieferung, 10/2025, Art. 21 GG, Rn. 292 ff.

<sup>41</sup> Burghart in: Leibholz/Rinck/Mellinghoff, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, 96. Lieferung, 10/2025, Art. 21 GG, Rn. 372 f.

ორგანოებს უფლება აქვთ პარტიის აკრძალვის წარმოების დანყების დადებითი და უარყოფითი მხარეები საჯაროდ განიხილონ. ეს ასევე მოიცავს შესაძლო სოლიდარობის ეფექტებს. ასეთი დისკუსიის და ანონ-დანონის პროცესში დაუშვებელია შემთხვევა, როდესაც დისკუსია აშკარად მიზნად ისახავს კონკრეტული პარტიის მიზანმიმართულ დაზიანებას.<sup>42</sup>

## 5. პარტიის აკრძალვის მიზანშეწონილობა

საქართველოსა და გერმანიის კონსტიტუციის შემქმნელებმა პარტიის აკრძალვის დაშვებით პრინციპის დონეზე აღიარეს მისი ლეგიტიმურობა და მიზანშეწონილობა. ამგვარად, პარტიის აკრძალვა განიხილება როგორც დასაშვები საშუალება კონსტიტუციური ნყობილებისთვის სერიოზული საფრთხეებისგან დასაცავად.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, აღნიშნავს:<sup>43</sup>

ამგვარად, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი წარმოადგენს კონსტიტუციურ-პოლიტიკურ დონეზე გაცნობიერებული ნების გამოხატვას, რომელიც მიმართულია თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წესრიგის ერთგვარი ზღვარის პრობლემის გადაწყვეტისკენ. იგი ასახავს იმ კონსტიტუციის შემქმნელის გამოცდილებას, რომელმაც კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ველარ ჩათვალა შესაძლებლად სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პრინციპის ზუსტად განხორციელება პოლიტიკური პარტიების მიმართ და ამავდროს წარმოადგენს, ამ გაგებით მეტრძოლი დემოკრატიის აღიარებას. (შდრ. BVerfGE 5, 85 139).

---

<sup>42</sup> BVerfG, Beschluss vom 20. Februar 2013 - 2 BvE 11/12 - BVerfGE 133, 100, Rn. 23

<sup>43</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 516

## 6. შედეგები საკონსტიტუციო სასამართლოს შემოწმების კომპეტენციისთვის

კონსტიტუციით წინასწარ განსაზღვრულ ამ შეფასებას, (როგორც ამას თავად გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უწოდებს) „თავისუფალი და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ზღვარზე მყოფ პრობლემატიკას“<sup>44</sup>, ვალდებულნი არიან დაემორჩილონ სხვა სახელმწიფო ხელისუფლებებიც, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოც. სწორედ ამიტომ, ზემოთ ციტირებულ მონაკვეთში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არ განახორციელა საკუთარი დამოუკიდებელი შეფასება პარტიის აკრძალვის კონსტიტუციურ-პოლიტიკურ სასარგებლო და სანინააღმდეგო მხარეებზე, არამედ იმ ფორმულირებით მან „ვერ ჩათვალა ეს შესაძლებლად“ მიუთითა იმ კონსტიტუციურ-პოლიტიკურ შეფასებაზე, რომელიც თვით კონსტიტუციის შემქმნელის მიერ არის განხორციელებული და სავალდებულოა სხვა სახელმწიფო ხელისუფლებებისთვისაც.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს შემოწმების კომპეტენცია შემოიფარგლება იმით, დაადგინოს, არსებობს თუ არა პარტიის აკრძალვისთვის აუცილებელი სამართლებრივი წინაპირობები და ამართლებს თუ არა არსებული საფრთხის დონე პარტიის აკრძალვას (ამის შესახებ უფრო დეტალურად იხ. D). ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის ლიაობის კონსტიტუციური საფუძვლები, გამომხატვის თავისუფლება<sup>45</sup> და პარტიების თავისუფლება,<sup>46</sup> აგრეთვე, აქედან გამომდინარე დემოკრატიის შემზღვეველი<sup>47</sup> ხასიათის მქონე პარტიის აკრძალვის გამონაკლისური ბუნება<sup>48</sup> (ამის შესახებ იხ. D)

<sup>44</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193 ff., Rn. 220, abgedruckt in Abschnitt C. III. 1.

<sup>45</sup> Art. 17 Nr. 1 der Verfassung Georgiens; Art. 5 Abs. 1 Satz 1 GG

<sup>46</sup> Art. 23 Nr. 1 der Verfassung Georgiens; Art. 21 Abs. 1 GG

<sup>47</sup> vgl. BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 524, abgedruckt in Abschnitt D. II. 1.

<sup>48</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193 ff., Rn. 221, abgedruckt in Abschnitt D. III. 1.; im Detail: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 -

და ECHR-ის მოქმედება ეროვნულ სამართალზე (ამის შესახებ იხ. G).

## **C. პარტიების და პარტიული მრავალფეროვნების მნიშვნელობა დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში**

### **I. პარტიების თავისუფლების კონსტიტუციურ-პოლიტიკური ფუნქციები**

პოლიტიკური პარტიები დემოკრატიის საყრდენ ბოძს წარმოადგენენ, ვინაიდან ისინი მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებაში, ასრულებენ შუამავლის როლს მოქალაქეებსა და პარლამენტს შორის და ზოგადად პოლიტიკაში საკონტროლო ფუნქცია ახორციელებენ.

პარტიები აყალიბებენ პოლიტიკურ პროგრამებს, წარადგენენ კანდიდატებს არჩევნებში და ამ გზით უზრუნველყოფენ საპარლამენტო დემოკრატიის ფუნქციონირებას. ისინი წარმოადგენენ პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის პლატფორმას და ინტერესების კონცენტრაციის გზით აძლიერებენ პოლიტიკური არგუმენტაციის წონას.<sup>49</sup> (აღნიშნულ საკითხებზე უფრო ზუსტად იხ. D. III. 2. a).

### **II. პარტიებისა და მრავალპარტიული სისტემის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა**

ამ მაღალი კონსტიტუციურ-პოლიტიკური მნიშვნელობის პარალელურად, პარტიებს, და განსაკუთრებით კი მრავალპარტიულ სისტემას, გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრი-

---

2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20 ff., Rn. 523 ff., abgedruckt in Abschnitt D. II. 1.

<sup>49</sup> შდრ. პოლიტოლოგიური თვალსაზრისით შემაჯამებლად: *პარტიების როლი და ფუნქციები გერმანიის დემოკრატიაში*. Niedermayer, Bundeszentrale für politische Bildung, <https://www.bpb.de/themen/parteien/parteien-in-deutschland/42035/die-rolle-und-funktionen-von-parteien-in-der-deutschen-demokratie/>

ვი ფუნქცია. ასეთი სისტემის გარეშე წარმომადგენლობით საპარლამენტო დემოკრატია კარგავს ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტს.

ამ იდეას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შემდეგნაირად ამყარებს:<sup>50</sup>

**პარაგრაფი N212:** დემოკრატიული სისტემისთვის, ძირითადი კანონის გაგებით, აუცილებელია ყველა მოქალაქის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში. დემოკრატიაში პოლიტიკური ნების ფორმირება მიმდინარეობს ხალხიდან სახელმწიფო ორგანოებისკენ და არა პირიქით. თავისუფლებისა და თანასწორობის დემოკრატიული პოსტულატები მოითხოვს ყველა მოქალაქის თანასწორი თანამონაწილეობის შესაძლებლობების არსებობას. ამ მონაწილეობის უზრუნველყოფის თვით ინსტრუმენტები კი, როგორცაა მრავალპარტიული სისტემა, პარტიების შესაძლებლობათა თანასწორობა და ოპოზიციის შექმნისა და განხორციელების უფლება, თვით უფლებასთნა შედარებით დამხმარე (მეორეხარისხოვან) ხასიათს ატარებს (...).

**პარაგრაფი N213:** ძირითადი კანონის გაგებით დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს, მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების თანასწორობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება უმრავლესობის პრინციპი (...). ამასთან, დემოკრატიულმა პროცესმა უნდა დაუტოვოს სივრცე იმას, რომ უმცირესობას ჰქონდეს შესაძლებლობა „ხვალინდელ უმრავლესობად იქცეს” (შდრ. BVerfGE 5, 85 <198 და მომდევნო>; ...; 144, 20 <196, აბზ. 517>; ...). დემოკრატიული თანასწორობა მოითხოვს, რომ ყოველ არჩევნებში როგორც უმრავლესობას, ისე უმცირესობას თავიდანვე ჰქონდეთ არსებითად თანაბარი შანსები ამომრჩეველთა ხმებისთვის კონკურენციაში. ...

**პარაგრაფი N214:** იმის წინაპირობას, რომ ამომრჩეველებმა შეძლონ საკუთარი გადაწყვეტილების ჩამოყალიბება და მიღება აზრის

<sup>50</sup> Auszug aus: BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193 ff.

ფორმირების თავისუფალ და ღია პროცესში, თანამედროვე საპარლამენტო დემოკრატიაში წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების არსებობა (...). ისინი, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულნი არიან აქტიური მოქალაქეები ნებაყოფლობით გააერთიანონ პოლიტიკურად აქტიურ ერთეულებად, სახელმწიფო ორგანოებში პოლიტიკური ნების ფორმირებაში მონაწილეობის მიზნით, და ამ გზით მათ მისცენ ეფექტიანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა სახელმწიფოებრივ პროცესებზე (...). ამ უკანასკნელს, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება პარტიებს კონსტიტუციურ დავალებად პირდაპირ მიუთითებს ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებაში მონაწილეობაზე.

**პარაგრაფი N215:** ამასთან, მხოლოდ მრავალპარტიულ სისტემაში არის შესაძლებელი განსხვავებული შეხედულებების იმგვარი ორგანიზება, რომ არჩევნებზე ამომრჩევლებისთვის ნამდვილი ალტერნატივები იყოს ხელმისაწვდომი. იმავდროულად აუცილებელია არსებობდეს ახალი პარტიების შექმნის შესაძლებლობა, რათა ახალ პოლიტიკურ იდეებს მიეცეთ შანსი, ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში ეფექტიანად ჩაერთონ (...). პარტიის შექმნის ამ კონსტიტუციურად გარანტირებული თავისუფლებიდან, აგრეთვე პარტიებისა და მრავალპარტიული სისტემის დემოკრატიისთვის არსებითი მნიშვნელობიდან, უშუალოდ გამომდინარეობს ყველა პარტიის შესაძლებლობათა თანასწორობის პრინციპი. დემოკრატია ვერ ფუნქციონირებს იმ შემთხვევაში, თუ პარტიები საბაზისოდ თანაბარ სამართლებრივ პირობებში ვერ შედიან საარჩევნო ბრძოლაში (...). მხოლოდ ამ საფუძველზე შეუძლიათ მათ შეასრულონ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაკისრებული კონსტიტუციური დავალება.

## II. პარტიის აკრძალვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შედეგები

პოლიტიკური პარტიების ზემოთ აღწერილი ფუნქციიდან გამომდინარეობს, რომ პარტიის აკრძალვის შედეგად, სახელმწიფო ჩარევის გზით (და არა პოლიტიკური შეხედულებათა ბრძოლის შედეგად ამომრჩეველთა პოტენციური მხარდაჭერის დაკარგვით) „პოლიტიკური სივრციდან ამოღებულია“ ისეთი ორგანიზაციული ერთეული, რომელსაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის რანგი გააჩნია.

### 1. პარტიების განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და პარტიის აკრძალვა

პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესისა და მისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში რეალიზაციისთვის, მათი ცენტრალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, წარმომადგენლობით-საპარლამენტო დემოკრატიაში პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი. საქართველოსა და გერმანიის კონსტიტუციის შემქმნელთა თვალსაზრისით, ამ პოლიტიკური პარტიების „კონსტიტუციონალიზაციის“ ერთგვარ კორექტივად განიხილებოდა პარტიის აკრძალვის ინსტრუმენტი. მისი მიზანი იყო თავიდან აეცილებინა ის მდგომარეობა, როდესაც კონსტიტუციის სანინააღმდეგო პარტიები კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის რანგს დაიკავებდნენ და ამასთანავე სახელმწიფო რეაგირების გარეშე დარჩებოდნენ.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს:<sup>51</sup>

**პარაგრაფი N219:** (1) ძირითადი კანონის გადაწყვეტილება წარმომადგენლობით-საპარლამენტო დემოკრატიის მოდელის სასარგებლოდ კონსტიტუციის შემქმნელმა დააკავშირა პოლიტიკურ პა-

<sup>51</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193

რტიებისთვის საკუთარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას. ამით პარტიები კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის რანგში იქნა აყვანილი (...) და აღიარებული როგორც კონსტიტუციური ცხოვრების აუცილებელი „ფაქტორი“ (...). პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციონალიზაციის პროცესის ნაწილს წარმოადგენდა ასევე პარტიის აკრძალვის შესაძლებლობის კონსტიტუციური დაფიქსირება (...). ეს გამოხატავს კონსტიტუციის შემქმნელის მისწრაფებას, შეექმნა სტრუქტურული წინაპირობები, რათა თავიდან აეცილებინა ნაციონალსოციალიზმის კატასტროფის გამეორება და პარტიული სისტემის ისეთი განვითარება, როგორც ადგილი ჰქონდა ვაიმარის რესპუბლიკის ბოლო ფაზაში (...). ამით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებით გარანტირებული პარტიების თავისუფლება არ იქნას ბოროტად გამოყენებული თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის (შდრ. BVerfGE 144, 20 <195, აბზ. 514>).

**პარაგრაფი N220:** ამ პოზიციას წინააღმდეგობას არ უქმნის პოლიტიკური ნების ხალხისგან სახელმწიფო ორგანოებისკენ თავისუფალ და ღია ფორმირებაზე დაფუძნებული კონსტიტუციური მიდგომა (ძირითადი კანონის 20-ე მუხლის მე-2 პუნქტი) პირიქით, თავისუფალი და დემოკრატიული წესრიგის გრძელვადიანი უზრუნველყოფის მიზნით, ძირითადი კანონი არ იცავს ისეთ თავისუფლებას, რომელიც თავისუფალი დემოკრატიის წინაპირობების გაუქმებას ან კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების ბოროტად გამოყენებას ემსახურება ამ წესრიგის მოსაშლელად (შდრ. BVerfGE 144, 20 <195, აბზ. 515>). ამ კონტექსტში ძირითადი კანონი ისწრაფვის ბალანსისკენ - ერთი მხრივ, ყველა პოლიტიკური შეხედულების მიმართ ტოლერანტობასა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი წესრიგის ფუნდამენტური და ხელშეუვალი ძირითადი ღირებულებებისადმი ერთგულებას შორის. ამ გაგებით, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პარტიის აკრძალვა წარმოადგენს თავისუფალი, დემოკრატიული და სამარ-

თლებრივი სახელმწიფოს ზღვარზე მყოფი პრობლემის გადაწყვეტისკენ მიმართულ კონსტიტუციურ-პოლიტიკურ ნებას. მასში ასახულია როგორც კონსტიტუციის შემქმნელის ისტორიული გამოცდილება, ისე „მებრძოლი დემოკრატიის“ კონცეფციისადმი ერთგულება (...). პარტიის აკრძალვა ეფუძნება იმ გაგებას, რომ პოლიტიკური ნების ფორმირებაში თანასწორი მონაწილეობა, როგორც დემოკრატიული მმართველობის ბირთვი, წინასწარ, იმთავითვე მოითხოვს თავისუფალი წესრიგის არსებობას. პოლიტიკური პარტია ისწრაფვის ამ წესრიგის გაუქმებისკენ, მისი აკრძალვა არ ისახავს მიზნად თავისუფლების შეზღუდვას, არამედ მიმართულია დემოკრატიისა და ხალხის სუვერენიტეტის დაცვისკენ. შესაბამისად, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე პარტიის აკრძალვა არ არღვევს დემოკრატიის პრინციპს ძირითადი კანონის 20-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების გაგებით, არამედ აკონკრეტებს და ავითარებს მას (...).

## **2. პარტიის აკრძალვის შედეგები, მისი განსაკუთრებული ზეგავლენა მრავალპარტიულ სისტემაზე**

პარტიის აკრძალვის შედეგად პოლიტიკური პარტიები კარგავენ ძირითად ფუნქციებს. ეს განსაკუთრებით მძიმე შედეგებს იწვევს საზოგადოებრივი ერთიანობის და თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის არსებობისთვის მაშინ, როდესაც აკრძალვა ეხება მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონის მქონე პარტიას ან ერთდროულად რამდენიმე პარტიას, და ამასთანავე როდესაც პარტიის აკრძალვის რეალური მიზანი წარმოადგენს არასასურველი პოლიტიკური ოპონენტის ჩამოშორებას. ასეთ ვითარებაში პარტიის აკრძალვამ შეიძლება ურთიერთდამხმარე და მრავალფეროვანი „ფერადი პარტიული ლანდშაფტი“ გარდაქმნას პოლიტიკურ მონოკულტურად, სადაც მხოლოდ მოქმედი ხელისუფლების მიერ „დაშვებული“ პარტიები არსებობენ როგორც მოჩვენებითი პოლიტიკური კონკურენტები. ამგვარი წინასწარი სელექციის შედეგად, რომელიც პოლიტიკურ ძალებს პირობითად „კეთილსა“ და

„ბოროტად“ ყოფს, დარჩენილი პარტიები ველარ ასახავენ მოქალაქეთა პოლიტიკური შეხედულებების რეალურ სპექტრს.

ერთის მხრივ, ეს იწვევს იმას, რომ პარლამენტი და სხვა კონსტიტუციური ორგანოები აღარ წარმოადგენენ მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ანარეკლს. შედეგად, პარლამენტმა შეიძლება დაკარგოს თავისი წარმომადგენლობითი ფუნქცია, ხოლო იმ კონსტიტუციური ორგანოების ლეგიტიმურობა, რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას პარლამენტიდან იღებენ (და საბოლოოდ, სხვა საჯარო ხელისუფლების მატარებელთა ლეგიტიმურობაც), სულ უფრო სუსტ საფუძველზე დადგეს. უკიდურეს შემთხვევებში შესაძლოა შეიქმნას მდგომარეობა, როდესაც დემოკრატიის დაცვის მოჩვენებითი საბურველის ქვეშ დემოკრატია ფაქტობრივად გაუქმდება ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ცენტრალური ელემენტები მნიშვნელოვნად დასუსტდეს.

მეორე მხრივ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ პარტიების აკრძალვა საზოგადოებრივ ერთიანობას ავტომატურად არ აძლიერებს. პირველ ეტაპზე ეს იწვევს იმას, რომ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ველარ პოულობს საკუთარ პოლიტიკურ წარმომადგენლობას. რაც უფრო დიდი პოლიტიკური წონა ჰქონდათ აკრძალულ პარტიებს და რაც უფრო ნაკლები რეალური ალტერნატივა რჩება ამომრჩევლებისთვის მოქმედი სისტემის პირობებში ჩამოყალიბებული პარტიული მონოკულტურის ფონზე, მით უფრო მაღალია მეორე ეტაპზე იმის რისკი, რომ გაიზარდოს საზოგადოებაში სახელმწიფოს მიმართ გაუცხოება და მოიმატოს პოლარიზებას. ამის შემდგომი შედეგები კი შეიძლება იყოს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პარალიზება აპათიის გზით, ისე შიდა დაძაბულობების გაძლიერება.

## **D. პარტიის აკრძალვის წინაპირობები**

### **I. ზოგადი განმარტების კრიტერიუმები**

როგორც უკვე აღინიშნა, პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებული ნორმების განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონსტიტუციის ფუნდამენტური გადაწყვეტილება პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის შესახებ, გამოსატვის თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლის 1-ლი პუნქტი; ძირითადი კანონის 5-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება) და პარტიების თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი; ძირითადი კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), აგრეთვე აქედან გამომდინარე პარტიის აკრძალვის საგამონაკლისო ხასიათი.

პარტიის აკრძალვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარევას როგორც პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის ღიაობაში, ისე პარტიების თავისუფლებაში, რის გამოც საჭიროა მისი ვიწრო (რესტრიქციული) განმარტება.<sup>52</sup> ეს ეხება როგორც დაცული სფეროს დადგენას, ანუ დაცული სამართლებრივი სიკეთის მოცულობას (გერმანიაში- თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი; საქართველოში- კონსტიტუციური წყობილება; ამის შესახებ ქვემოთ), ისე იმ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ამ სამართლებრივ სიკეთეში კონსტიტუციასთან შეუთავსებელი ჩარევის დასადგენად, აგრეთვე საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობას (დეტალურად იხ. D. III. 1. d)).

### **II. პარტიის აკრძალვით დაცული სამართლებრივი სიკეთე**

#### **1. თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის დაცვა გერმანულ სამართალში**

თავისუფლების უფლებებსა და დემოკრატიის პრინციპს შორის დაპირისპირება მოითხოვს, რომ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-

<sup>52</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn. 221, abgedruckt in Abschnitt D, III. 1; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 523 ff., abgedruckt in Abschnitt D. II. 1.

2 პუნქტით გათვალისწინებული პარტიის აკრძალვა უნდა იცავდეს იმ რამდენიმე, ძირითად პრინციპს, რომლებიც თავისუფალ, კონსტიტუციური წესრიგისათვის სრულიად აუცილებელია. ამგვარად, დაცული სფერო შემოიფარგლება მხოლოდ იმ თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგისთვის არსებობისთვის საჭირო „საბაზისო ელემენტებით“, რაც გავლენას ახდენს აკრძალვის სამართლებრივი წინაპირობების განმარტებაზე. შედეგად, პარტიის აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტული პარტიისგან მომდინარეობს ისეთი საფრთხე, რომელიც სულ მცირე პოტენციურად ემუქრება შემდეგი ფუნდამენტური საყრდენებიდან ერთ-ერთს. უფრო ზუსტად კი: კონსტიტუციის ფუნდამენტური გადაწყვეტილება პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის სასარგებლოდ მოიცავს უფლებას, რომ კონსტიტუციის ცალკეული ელემენტები კრიტიკულად იქნეს გააზრებული. შესაბამისად, პოლიტიკური შეხედულებების ბრძოლის ჩვეულებრივ ნაწილს წარმოადგენს ისიც, როდესაც პარტია ისწრაფვის კონსტიტუციის შეცვლისკენ ან იცავს ისეთ პოზიციებს, რომლებიც მოქმედი კონსტიტუციური სამართლის საფუძველზე ამჟამად ვერ განხორციელდება.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეჭვქვეშ დგება და უარყოფილია ისეთი მნიშვნელობის ღირებულება, რაც თავისუფალი და დემოკრატიული თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად უდავოა, მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს პარტიის აკრძალვის საკითხი. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლო აღნიშნავს:<sup>53</sup>

**პარაგრაფი N523: 6.** ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონსტიტუციის ფუნდამენტური გადაწყვეტილებები პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის ღიაობის შესახებ, გამონათვის თავისუფლება

---

<sup>53</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 523 ff.

(ძირითადი კანონის 5-ე მუხლის პირველი პუნქტი), პარტიების თავისუფლება (ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი), აგრეთვე ამ ნორმის გამოყენების საგამონაკლისო ხასიათი.

**პარაგრაფი N524: a)** ძირითადი კანონი ეფუძნება მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ნების ფორმირების სწორ გზას წარმოადგენს მხოლოდ მუდმივი ინტელექტუალური დაპირისპირება ერთმანეთის წინაშე მდგომ სოციალურ ძალებსა, ინტერესებს და პოლიტიკურ იდეებს შორის და შესაბამისად, იმ პარტიებს შორისაც, რომლებიც ამ იდეებს წარმოადგენენ (...). იგი ენდობა ამ დაპირისპირების ძალას, როგორც ყველაზე ეფექტიან საშუალებას ასევე ტოტალიტარული და ადამიანის ღირსების დამამცირებელი იდეოლოგიების გავრცელების წინააღმდეგ (...). ამასთან, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებს, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს (მდრ. BVerfGE 107, 339 <361>). შესაბამისად, პარტიის აკრძალვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარევას როგორც პოლიტიკური ნების ფორმირების თავისუფლებაში, ისე პარტიების თავისუფლებაში (ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი), რაც მართლდება მხოლოდ განსაკუთრებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. ამიტომ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, როგორც „დემოკრატიის შემზღვეველი საგამონაკლისო ნორმა“, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ შეზღუდულად (...). აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ ნორმის თითოეული სამართლებრივი ნიშნულის ძალიან ვიწრო (რესტრიქტიული) განმარტება, რომელიც ითვალისწინებს წესსა (პარტიების თავისუფლება) და გამონაკლისს (პარტიის აკრძალვა) შორის არსებულ ურთიერთობას. ამასთანავე, დაუშვებელია ისეთი დაუნერეელი ნიშნულების მიღება, რომლებიც ნორმის გამოყენების სფეროს გააფართოებდა (...).

ეს პოზიცია გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში დაადასტურა და, მათ შორის, შემდეგნაირად განაგრძო:<sup>54</sup>

**პარაგრაფი N221:** გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის განმარტებისას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს კონსტიტუციის ფუნდამენტური გადაწყვეტილება პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის ღიაობის შესახებ. გამოსატვის თავისუფლება (ძირითადი კანონის 5-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება), პარტიების თავისუფლება (ძირითადი კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი) და აგრეთვე ამ ნორმის საგამონაკლისო ხასიათი. პარტიის აკრძალვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარევას როგორც პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის ღიაობაში, ისე პარტიების თავისუფლებაში. შესაბამისად, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა იქნეს შეზღუდულად (რესტრიქტიულად) განმარტებული (შდრ. BVerfGE 144, 20 <200, აბზ. 523 და მომდევნო).

**პარაგრაფი N222:** გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნობის გარეშე, პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ჩარევა პრინციპულად დაუშვებელია. ძირითადი კანონი, პოლიტიკური თავისუფლების დაცვის მიზნით, გაცნობიერებულად იღებს იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება არსებობდეს პარტიის საქმიანობიდან მისი კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნობის დადგენამდე (...). შესაბამისად, ძირითადი კანონის 21-ე მუხლში დაფიქსირებული ამ ნორმატიული კონცეფციის ცვლილება, როგორცაა მაგალითად, ისეთი ცალკეული სანქციების შემოღება, რომლებიც შესაძლებელი იქნებოდა ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცალკეული სამართლებრივი ნიშნების შესრულების შემთხვევაში, პარტიის აკრძალვის ზღვარს ქვემოთ,

---

<sup>54</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn. 221 f., abgedruckt in Abschnitt D. III. 1.

ეკუთვნის კანონმდებლის კომპეტენციას (შდრ. BVerfGE 144, 20 <202, აბზ. 527>).

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პარტიის აკრძალვის მიზანს შემდეგნაირად განმარტავს:<sup>55</sup>

**„პარაგრაფი N528:** აკრძალვის შესახებ განაცხადი ეხება დაცულ სამართლებრივ სიკეთეს - თავისუფალ და დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგს (1), რომლის შელახვის ან გაუქმებისკენ (2) პარტია უნდა ისწრაფვოდეს თავისი მიზნების ან მისი მხარდამჭერების ქცევის მიხედვით (3) და ამ მიმართულებით აქტიურად მოქმედებდეს (4). პარტიის აკრძალვისთვის სხვა, დაუნერვლი სამართლებრივი ნიშნები არ არსებობს (5).

**პარაგრაფი N529:** 1. „თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის“ ცნება დაკონკრეტებულია კონსტიტუციურ-სასამართლო პრაქტიკით (a). მისი შინაარსი ვერ განისაზღვრება ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტზე ზოგადი მითითებით, არამედ განისაზღვრება იმ პრინციპებით, რომლებიც თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოსთვის სრულიად აუცილებელია (b). ამასთან, ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს ადამიანის ღირსების პრინციპი (ძირითადი კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი) (c), რომელიც კონკრეტდება დემოკრატიის (d) და სამართლებრივი სახელმწიფოს (e) პრინციპებით.

**პარაგრაფი N530:** a) aa) SRP-ის საქმეში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ პარტიის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი უარყოფს თავისუფალი დემოკრატიის ძირითად პრინციპებს (შდრ. BVerfGE 2, 1 <14>). სწორედ ეს ძირითადი პრინციპები ქმნიან თავისუფალ და დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგს, რომლის საფუძველშიც, ძირითადი კანონით მიღებული კონსტიტუციურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების თანახმად, იკი-

<sup>55</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 528 f.; დეტალურად იხ. D. II. 1.

თხება იდეა, რომ ადამიანს არსებობის საყოველთაო წესრიგში გააჩნია საკუთარი, დამოუკიდებელი ღირებულება, ხოლო თავისუფლებისა და თანასწორობის ერთობა წარმოადგენს სახელმწიფოს მუდმივ და ძირითად ღირებულებებს. ამიტომ, თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილება წარმოადგენს ღირებულებებზე დაფუძნებულ წესრიგს. იგი ეწინააღმდეგება ისეთ ტოტალურ სახელმწიფო წესრიგს, რომელიც, როგორც ერთპიროვნული მმართველობის ფორმა, უარყოფს ადამიანის ღირსებას, თავისუფლებასა და თანასწორობას (...).

**პარაგრაფი N531:** შესაბამისად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი და კონსტიტუციური წყობილება. თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი მოიცავს მხოლოდ იმ პრინციპებს, რომლებიც ძალადობრივი და თვითნებური მმართველობის გამორიცხვით უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს მმართველობით წესრიგს, ხალხის თვითგამორკვევის საფუძველზე, მოქმედი უმრავლესობის ნების შესაბამისად, ასევე თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით (...). სწორედ აქედან გამომდინარე, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, ძირითადი კანონის მთლიან განმარტებასა და მის თანამედროვე კონსტიტუციური ისტორიის კონტექსტში გააზრებაზე დაყრდნობით (...), თავდაპირველად ამ წესრიგს შემდეგი რვა ელემენტი მიაკუთვნა:

ადამიანის უფლებების პატივისცემა, როგორც ისინი დაკონკრეტებულია ძირითად კანონში განსაკუთრებით კი: პირის უფლება სიცოცხლესა და თავისუფალ განვითარებაზე; სახალხო სუვერენიტეტი; ხელისუფლების დანაწილება; მთავრობის პასუხისმგებლობა; საჯარო ადმინისტრაციის კანონიერება; სასამართლოების დამოუკიდებლობა; მრავალპარტიული პრინციპი და ყველა პოლიტიკური პარტიის თანაბარი შესაძლებლობა, მათ შორის კონსტიტუციის ფარგლებში ოპოზიციის ჩამოყალიბებისა და განხორციელების უფლება (BVerfGE 2, 1 <13>).

**პარაგრაფი N532: bb)** KPD-ის საქმეში სასამართლომ თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ნაწილად ასევე დაასახელა გაერთიანების თავისუფლება (შდრ. BVerfGE 5, 85 <199>) და განსაკუთრებით მრავალპარტიული პრინციპიდან გამომდინარე საპარლამენტო სისტემაში (შდრ. BVerfGE 5, 85 <230, 236>). გარდა ამისა, ხაზგასმულია თავისუფალი არჩევნების აუცილებლობა, მათი რეგულარული განმეორება შედარებით მოკლე დროის შუალედებში, აგრეთვე ძირითადი უფლებების აღიარება (შდრ. BVerfGE 5, 85 <199 და შემდეგი>). ამ კონტექსტში სასამართლომ განსაკუთრებულად გამოკვეთა ადამიანის ღირსება, როგორც თავისუფალ დემოკრატიაში უზენაესი და ხელშეუვალი ღირებულება (...).

**პარაგრაფი N533:** შემდგომ პერიოდში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი პრაქტიკა დაადასტურა (BVerfGE 44, 125 <145>) და იმ ელემენტთა ჩამონათვალი, რომლებიც თავისუფალ და დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგს ქმნის, გააფართოვა შემდეგი ჩამონათვალით: გამოსატვის თავისუფლება (შდრ. BVerfGE 7, 198 <208>), ხალხის პოლიტიკური შეხედულებებისა და ნების თავისუფალი და ღია ფორმირების პროცესი (შდრ. BVerfGE 44, 125 <139>; ...), მაუწყებლობის, პრესისა და ინფორმაციის თავისუფლება (შეჯამებით BVerfGE 77, 65 <74> და სხვა მითითებით), რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალიტეტის აღიარება (შდრ. BVerfGE 27, 195 <201>) და რელიგიის თავისუფლება (შდრ. BVerfGE 137, 273 <303, აბზ. 83>). ამ კონტექსტშიც სასამართლო კვლავ და კვლავ მიუთითებს ძირითადი კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის (ადამიანის ღირსება) ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე (...).

**პარაგრაფი N534:** თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ცნების აღწერისას გამოყენებული სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამონათვალი სამართლებრივ ლიტერატურაში, ნაწილობრივ კრიტიკას იწვევს, მისი არასრულყოფილების, თვითნებობის, განუსაზღვრელობის, ბოროტად გამოყენების საფრთხისა და სისტემატური განმარტების ნაკლებობის გამო (...). ამა-

სთან, ხშირად უგულებელყოფილია ის გარემოება, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის არსებითი ელემენტები და მათგან გამომდინარე კონკრეტულ შემთხვევებზე მორგებული დასკვნები.

**პარაგრაფი N535: b) aa)** ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ცნება მოითხოვს რამდენიმე, ცენტრალურ პრინციპზე კონცენტრირებას, რომლებიც თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფოსთვის სრულიად აუცილებელია. ასეთი ვიწრო განმარტება გამართლებულია, მათ შორის, პარტიის აკრძალვის საგამონაკლისო ხასიათის გათვალისწინებით. კონსტიტუციის ფუნდამენტური გადაწყვეტილება პოლიტიკური ნების ფორმირების ღია პროცესის სასარგებლოდ, ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციის ცალკეული ელემენტების კრიტიკული გააზრებაც დასაშვებია უნდა იყოს, ისე რომ ამას ავტომატურად პარტიის აკრძალვა არ მოჰყვეს. პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესიდან გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ცალსახად ეჭვქვეშ დგება და უარყოფილია ის საფუძვლები, რომლებიც თავისუფალი და დემოკრატიული თანაცხოვრებისთვის სრულიად შეუცვლელია და უდავოა”.

## **2. ქართული სამართალი**

### **a) კონსტიტუციური წყობილების დაცვა ქართულ სამართალში**

ქართული სამართალი პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტით პარტიის აკრძალვას არ აკავშირებს, (როგორც ეს გერმანიის ძირითადი კანონის შემთხვევაშია), თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებასთან, არამედ ნორმის ტექსტის მიხედვით, საკმარისად მიიჩნევს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას. თუმცა, ამით გერმანულ სამართალთან შედარებით ჩარევის არსებითად უფრო დაბალი ზღვარი არ დგინდება.

ერთის მხრივ, ქართული სამართალი, მხოლოდ ენობრივად უფრო ფართო დაცვის ობიექტის გამოყენების მიუხედავად (კონსტიტუციური წყობილება ნაცვლად თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგისა), ამას დიდწილად ანაზღაურებს ჩარევის უფრო მაღალი ინტენსივობის მოთხოვნით („დამხობა“) და განსაკუთრებით მიზანმიმართული ჩარევის საშუალებით („ძალადობრივი გზით“).

მეორეს მხრივ, როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში, პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი წარმოადგენს საგამონაკლისო ხასიათის ნორმას, რომელიც თამისი დემოკრატიის შემზღვეველი ეფექტების გამო, საჭიროებს შეზღუდულ, ვინრო (რესტრიქტიულ) განმარტებას. ეს მით უფრო მართებულია, რამდენადაც მტკიცებისას, ერთ-ერთ საზომად უნდა იქნას გათვალისწინებული ევროპული ადამიანის უფლებათა კონვენციის გარანტიები, რომლებიც პარტიათა თავისუფლებაში ჩარევის შემზღვეველად მოქმედებს.<sup>56</sup>

### ***ბ) ჩარევის სამართლებრივი შემადგენლობის დამატებითი საფუძვლები ქართულ სამართალში***

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში და პარტიების შესახებ კანონის 36-ე მუხლში ჩამოთვლილი დამატებითი საფუძვლებით საქართველოს კონსტიტუციის შემქმნელი და კანონმდებელი ნათლად გამოხატავენ ნებას, რომ ამ სამართლებრივ სიკეთეთა დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ.

ამ გზით დაცული სფეროს შინაარსი არსებითად არ ფართოვდება, შეიძლება ითქვას რომ ზუსდება, და კონკრეტდება, რამდენადაც ექსპლიციტურად ჩამოთვლილი სამართლებრივი სიკეთეების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, როგორც წესი, კონსტიტუციური

<sup>56</sup> ძირითადი სტანდარტი იხ. EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., §§ 85 ff.; <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-93475%22%5D%7D>

წყობილების წინააღმდეგ ქმედებასაც, არა მთლიანად თუმცა გარკვეულ წილად მოიცავს.<sup>57</sup> თუმცა ამ ცალკე მოხსენიებულ სამართლებრივ სიკეთეებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, თუ რა ფორმით ხორციელდება კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედება.

კერძოდ, კონსტიტუციური წყობილების ზოგადი დებულების დარღვევისგან განსხვავებით, ცალკე ჩამოთვლილ სამართლებრივ სიკეთეებზე თავდასხმა აუცილებლად არ მოითხოვს ძალადობრივ მოქმედებას. კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედების ამ განსხვავებულ ფორმებზე უფრო დეტალურად განხილვა სხვა ნაწილში იქნება წარმოდგენილი (იხ. D. III. 2. c)). ასევე, გერმანულ სამართალში არსებული მიდგომის მსგავსად, უნდა იქნეს გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპები, რომლებიც ჩამენებულია სამართლებრივი შემადგენლობის ელემენტებში (ამასთან დაკავშირებით იხ. ნაწილი E.II.) და რომლებიც ასევე ზღუდავს ჩარევის ფარგლებს.

### **III. რესტრიქტიული (ვინრო) განმარტების კონკრეტული შედეგები**

#### **1. გერმანული სამართალი**

##### **a) თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვა და გაუქმება**

ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში გამოყენებული ტერმინი „გაუქმება“ გულისხმობს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის მინიმუმ ერთ-ერთი არსებითი ელემენ-

---

<sup>57</sup> შდრ. გერმანულ სამართალში თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის დაცულ სამართლებრივ სიკეთეებთან დაკავშირებით: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 529 ff., მეტი იხ. D. II. 1.

ტის (ადამიანის ღირსება, დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო) გაუქმებას ან მის ჩანაცვლებას სხვა კონსტიტუციური წესრიგით ან სხვა მმართველობის სისტემით.<sup>58</sup>

თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის „შელახვაზე“ შეიძლება საუბარი მაშინ, როდესაც პარტია თავისი პოლიტიკური კონცეფციის საფუძველზე საკმარისი ინტენსივობით ქმნის დასახელებული წესრიგის მიმართ რეალურ და შესამჩნევ საფრთხეს. შესაბამისად, შელახვა უკვე სახეზეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც პარტია მიზანმიმართულად ისწრაფვის მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის დასუსტებისთვის. ამასთან, სავალდებულო არ არის, რომ პარტია ამავე დროს ასახელებდეს, რომელი კონსტიტუციური წესრიგით უნდა ჩანაცვლოს არსებული წესრიგი.<sup>59</sup> თუ პოლიტიკური პარტია უარყოფს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის რომელიმე ამ ცენტრალურ პრინციპს და მას აქტიურად ებრძვის, იგი ვერ აიცილებს პარტიის აკრძალვას მხოლოდ იმით, რომ დანარჩენ პრინციპებს ფორმალურად აღიარებს.<sup>60</sup>

თუმცა, ცალკეული კონსტიტუციის სანინააღმდეგო მოთხოვნა პარტიის მიერ, თავისთავად საკმარისი არ არის, რათა თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვის მიზანი დადგინდეს. გადამწყვეტია ის, რომ პარტია მიზანმიმართულად, და განზრახ უპირისპირდებოდეს იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც თავისუფალი და დემოკრატიული თანაცხოვრებისთვის შეუცვლელია. მხოლოდ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ პარტიის აკრძალვის პროცედურა გამოყენებულ იქნას პრევენციული კონსტიტუციური დაცვის მიზნით და არა არასასურველი პოლიტიკური კონკურენციის ჩამოსაშორებლად.<sup>61</sup>

---

<sup>58</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 550

<sup>59</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 556

<sup>60</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 556

<sup>61</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 556

## **b) კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნები და მხარდამჭერთა ქცევის პარტიასთან დაკავშირება**

იმ საკითხის დასადგენად, ისწრაფვის თუ არა პოლიტიკური პარტია თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის გაუქმებისკენ ან შელახვისკენ, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვიერი ფორმულირების თანახმად გადამწყვეტია პარტიის „მიზნები“ ან მისი „მხარდამჭერთა ქცევა“ (მხარდამჭერთა ქცევის შეფასება პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში). შესაბამისად, მხოლოდ ეს კრიტერიუმები შეიძლება იქნეს გამოყენებული პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნობის დადგენისას, როგორც შესაბამისი ინფორმაციის წყარო.<sup>62</sup>

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დეტალურად განმარტავს შემდეგს:<sup>63</sup>

**„პარაგრაფი N558: a)** პარტიის მიზნები წარმოადგენს იმ ყველაფრის ერთობლიობას, რასაც პარტია პოლიტიკურად ისახავს მიზნად, მიუხედავად იმისა, თუ არა შუალედურ ან საბოლოო, მოკლევადიან ან გრძელვადიან, ძირითად ან მეორეხარისხოვან მიზნებზე (შდრ. BVerfGE 5, 85 <143 და მომდევნო>; ...). როგორც წესი, ეს მიზნები იკვეთება პარტიის პროგრამიდან და სხვა ოფიციალური პარტიული განცხადებებიდან, იმ ავტორების ნაშრომებიდან, რომლებიც პარტიის მიერ, თავის იდეოლოგიით ავტორიტეტულად არის მიჩნეული, ასევე ლიდერების გამოსვლებიდან, პარტიაში გამოყენებული სასწავლო და პროპაგანდისტული მასალებიდან, აგრეთვე იმ გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, რომლებიც პარტიის მიერ გამოიცემა ან ასევე მის გავლენას ექვემდებარება (...).

**პარაგრაფი N559:** გადამწყვეტია პარტიის რეალური და არა ფორმალურად დეკლარირებული მიზნები. არ არის აუცილებელი, რომ იგი ღიად აღიარებდეს საკუთარ კონსტიტუციის საწინააღმდეგო

---

<sup>62</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 556

<sup>63</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 558 ff.

მიზნებს (შდრ. BVerfGE 2, 1 <20>; 5, 85 <144>; ...). შესაბამისად, პარტიის მიერ დასახული მიზნების დადგენა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პარტიის პროგრამით ან ოფიციალური განცხადებებით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა, როგორც წესი, წარმოადგენს მნიშვნელოვან ცოდნის წყაროს პარტიის მიზნების იდენტიფიცირებისათვის (...).

**პარაგრაფი N560: b)** პარტიის მიზნები შეიძლება აისახოს ასევე მისი მხარდამჭერთა ქცევაში (...). ამასთან, მხარდამჭერებად მიიჩნევიან ყველა ის პირი, რომლებიც პარტიის სასარგებლოდ მოქმედებენ და თავს მასთან აიგივებენ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი პარტიის წევრები (...).

**პარაგრაფი N561:** თუმცა, პარტიის თითოეული მხარდამჭერთა ქცევის შეფასება პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში ავტომატურად შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როდესაც პარტიას არ გააჩნია რაიმე შესაძლებლობა მოახდინოს ამ ქცევაზე გავლენა. გადამწყვეტია, რომ კონკრეტული მხარდამჭერის ქცევაში ცხადად იკვეთებოდეს პარტიის პოლიტიკური ნება. ეს, როგორც წესი, მაშინ არის სახეზე, როდესაც ქცევა ასახავს პარტიაში არსებულ ძირითად ტენდენციას, ან როდესაც პარტია ამ ქცევას გამოხატულად ითავისებს. შესაბამისად, აუცილებელია დიფერენცირებული შეფასება.

**პარაგრაფი N562: aa)** პარტიას, პრინციპულად უნდა მიეწეროს მის ორგანოების საქმიანობა, განსაკუთრებით, პარტიის ხელმძღვანელობისა და წამყვანი პარტიული ლიდერების მოქმედება (...). ასევე, პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში ექცევა პარტიული პუბლიკაციების გამოცემა და პარტიის ქვედანაყოფების ხელმძღვანელი პირების ქცევა.

**პარაგრაფი N563: bb)** პარტიის რიგითი წევრების განცხადებებისა თუ ქმედებების შემთხვევაში, მათი შეფასება პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი პო-

ლიტიკურ კონტექსტში ხდება და პარტიამ ისინი მოიწონა ან მოითმინა. თუ განცხადება ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება პარტიულ ღონისძიებას ან სხვა პარტიულ აქტივობას, ასეთი კავშირი, როგორც წესი, დასაშვებია, განსაკუთრებით მაშინ, თუ პარტია არ ახდენს დისტანცირებას. თუ ქმედებას პარტიულ აქტივობასთან ორგანიზაციული კავშირი არ გააჩნია, აუცილებელია, რომ იგი ნარმოადგენდეს პარტიის წევრის პოლიტიკურ ქცევას, რომელსაც პარტია, მას ინფორმაციის ცოდნის მიუხედავად მოითმენს ან მხარს უჭერს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი და გონივრული იქნებოდა საწინააღმდეგო ზომების მიღება (მაგ., პარტიიდან გარიცხვა ან დისციპლინური ზომები) (...).

**პარაგრაფი N564: cc)** იმ მხარდამჭერთა ქცევის შემთხვევაში, რომლებიც პარტიის წევრები არ არიან, მათი ქცევის შეფასება პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პარტიის მხრიდან არსებობს რაიმე ფორმის გავლენა ან მოწონება. როგორც წესი, ამისათვის საჭიროა პარტიის საკუთარი აქტიური ქმედებები, რომლებიც ამართლებს ან აძლიერებს მხარდამჭერთა ქცევას. მხარდამჭერთა ქცევის პასუხისმგებლობისგან ზოგადი გამორიცხვა ეწინააღმდეგება ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ფორმულირებას და ასევე მიუღებელია იმიტომ, რომ პარტიას მისცემდა შესაძლებლობას ფორმალურად გაემიჯნოს იმ პირებს, რომლებზეც მან თავად მოახდინა გადამწყვეტი გავლენა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი პარტიის წევრები არ არიან.

აქვე, აუცილებელია არსებობდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამართლებს მხარდამჭერთა ქცევის პარტიის ნების გამოხატულებად შეფასებას. მხოლოდ შემდგომი მოწონება, საკმარისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტია ამ გზით ქცევას ცხადად ითავისებს, როგორც საკუთარ კონსტიტუციის საწინააღმდეგო მისწრაფებების ნაწილს.

**პარაგრაფი N565: dd)** თუ პარტიის მხარდამჭერები ჩადიან სისხლისამართლებრივ ქმედებებს, ეს პარტიის აკრძალვის პროცესში

მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც ისინი კავშირში არიან ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებთან. მხოლოდ პოლიტიკური მოტივით ჩადენილი დანაშაული შეიძლება მიუთითებდეს პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მისწრაფებებზე. ამასთან, ერთეული ქმედებები ან ცალკეული პირების ქმედებები პარტიას ვერ მიეწერება, თუ ისინი პარტიის ნების გამოხატულებად ვერ შეფასდება. რიგითი წევრების ან სხვა მხარდაჭერთა დანაშაულებრივი ქმედებები შეიძლება შეფასდეს პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში მხოლოდ მაშინ, თუ ისინი პარტიის გავლენის ქვეშ არის ჩადენილი და პარტია მათგან ცოდნის მიუხედავად არ დისტანცირდება, ან თუნდაც მოიწონებს მათ.

**პარაგრაფი N566: ee)** სისხლისსამართლებრივი ან ძალადობრივი ქმედებების ზოგადი და დაუკონკრეტებელი დაკავშირება პარტიულ საქმიანობასთან დაუშვებელია. კერძოდ, მხოლოდ გარკვეული პოლიტიკური კლიმატის შექმნა ან მხარდაჭერა არ იძლევა საფუძველს იმ ქმედებების პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში შეფასებისთვის, რომლებიც ამ გარემოებების პირობებში არის ჩადენილი. აუცილებელია კონკრეტულად დადგენა, შეიძლება თუ არა დანაშაულებრივი ქმედება ჩაითვალოს პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მისწრაფებების ნაწილად. მაგალითად, მესამე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასება პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში შესაძლებელია მაშინ, როდესაც პარტიამ უზრუნველყო ფაქტობრივი ან ორგანიზაციული დახმარება, არსებობს პერსონალური კავშირები პარტიასა და მოქმედ ჯგუფს შორის, ან პარტიის წევრები უშუალოდ მონაწილეობდნენ შესაბამის ქმედებაში.

**პარაგრაფი N567: ff)** საპარლამენტო განცხადებები შეიძლება რომ შეფასდეს პარტიის პასუხისმგებლობის ფარგლებში პარტიის აკრძალვის მიზნებისათვის. ინდემნიტეტის პრინციპი (ძირითადი კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება; ...) ამ შეფასებას არ ცვლის (ავტორთა შენიშვნა: საკითხი ქვემოთ უფრო დეტალურად განიხილება).

**პარაგრაფი N569:** ამასთან, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება და 46-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება თანაბარი იერარქიული ძალის ნორმებია. ამიტომ, 46-ე მუხლის განმარტებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული კონსტიტუციის ფუნდამენტური გადაწყვეტილება „მებრძოლი დემოკრატიის“ სასარგებლოდ და ინდემნიტეტის დაცვასა და თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის დაცვას შორის უნდა დამყარდეს პრაქტიკული კონკორდანსი. შესაბამისად, პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ცნობისას არ არსებობს ვალდებულება, რომ მხედველობიდან გამოირიცხოს მისი დეპუტატების საპარლამენტო განცხადებები, მით უმეტეს, რომ ისინი ხშირად განსაკუთრებით ნათლად ასახავს პარტიის მიზნებსა და პოლიტიკურ კონცეფციებს. ...

**c) თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლა**

პარტიის აკრძალვა არ წარმოადგენს მსოფლმხედველობის ან შეხედულებების აკრძალვას და არ ისახავს მიზნად იდეების ან რწმენების დასჯას. პარტიის აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტია საკუთარი კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნების დეკლარირებას სცდება და აქტიურ ბრძოლით გადაკვეთს ზღვარს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, მათ შორის, განმარტავს შემდეგს:<sup>64</sup>

**პარაგრაფი N570**

**4.** პარტიის მიზნების კონსტიტუციის საწინააღმდეგო ხასიათი, თავისთავად არ არის საკმარისი ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე პარტიის აკრძალვისთვის. აუცილებელია, რომ პარტია მიზანმიმართულად ისწრაფვოდეს თავისუფალი და

---

<sup>64</sup>BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 570 ff.

დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვის ან გაუქმებისკენ. თვითონ ცნება „ისწრაფვის“ უკვე აქტიურ მოქმედებას გულისხმობს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ პარტიის აკრძალვა არ არის შეხედულებების ან მსოფლმხედველობის აკრძალვა (a). საჭიროა, რომ პარტიამ გადაკვეთოს ზღვარი და გადავიდეს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

(b), ეს მოითხოვს გეგმაზომიერ მოქმედებას, რომელიც, როგორც განზრახი და მომზადებული ქმედება მიმართულია თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვის ან გაუქმებისკენ ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის საფრთხის ქვეშ დაყენებისკენ (c). კონკრეტული საფრთხის არსებობა ამ ეტაპზე აუცილებელი არ არის (d). თუმცა საჭიროა მნიშვნელოვანი და კონკრეტული მინიშნებები, რომლებიც ამგვარი მოქმედების წარმატებას მაინც შესაძლებლად წარმოაჩენს (e).

**პარაგრაფი N571: a)** „ამ მიმართულებით სწრაფვის“ სამართლებრივი ნიშნის განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონსტიტუციის ფუნდამენტური დებულებები პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის ღიაობის შესახებ (ძირითადი კანონის 20-ე მუხლის 1-ლი და 2-ე პუნქტები), გამონახტვის თავისუფლება (ძირითადი კანონის 5-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) და პარტიების თავისუფლება (ძირითადი კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). პარტიის აკრძალვით ამ კონსტიტუციურ სიკეთეებში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის დაცვის მიზანი მოითხოვს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ პარტია აქტიური მოქმედებით ისწრაფვოდეს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვის ან გაუქმებისკენ, ან სახელმწიფოს არსებობის საფრთხის ქვეშ დაყენებისკენ.

**პარაგრაფი N573:** ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ სჯის იდეებს ან რწმენებს. ეს ნორმა არ წარმოადგენს შეხედუ-

ლებების ან მსოფლმხედველობის აკრძალვას, არამედ არის ორგანიზაციული აკრძალვა (...). მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტია თავისი კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნებით საჯაროდ გამოდის და აქტიურად მოქმედებს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ან სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ, შეიძლება დადგეს ჩარევის საკითხი ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, პარტიამ საკუთარი (კონსტიტუციის საწინააღმდეგო) მიზნების მხოლოდ აღიარებას უნდა გასცდეს და გადაკვეთოს ზღვარი თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ან სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ ბრძოლამდე (...). მხოლოდ ისეთი გაგება „ამ მიმართულებით სწრაფვის“, რომელიც ამ ზღვრის გადაკვეთის წინაპირობას ითვალისწინებს, შეესაბამება ნორმის ვიწრო განმარტების მოთხოვნას.

**პარაგრაფი N577: bb)** პარტიის გეგმაზომიერი მოქმედება დამატებით უნდა წარმოადგენდეს განზრახ, მიზანმონართულად მომზადებულ ქმედებას რომელიც მიმართულია ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სამართლებრივი სიკეთეების წინააღმდეგ დასახული მიზნების მიღწევისკენ. აუცილებელია მიზნობრივი კავშირი პარტიის საკუთარ ქმედებებსა და თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვას ან გაუქმებას შორის.

**პარაგრაფი N578:** ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი აუცილებლად არ მოითხოვს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების არსებობას, რომ ის უკვე დამდგარი უნდა იყოს. რადგან ეს ეწინააღმდეგება ნორმის პრევენციულ ხასიათს. სისხლის სამართალი რეაგირებს წარსულში ჩადენილ ინდივიდუალურ ქმედებებზე, მაშინ როდესაც 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი მიმართულია მომავალში შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილებაზე. კონსტიტუციის შემქმნელს არ მიაჩნდა საკმარისად თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის მხოლოდ რეპრესიული, სისხლისსამართლებრივი დაცვა; პირიქით, მას სურდა, რომ მეზობელ კონსტიტუციურ სახელმწიფოს ჰქონოდა შესაძლებლობა ადრეულ

ეტაპზე, სისხლის სამართლის დარღვევის დალოდების გარეშე, ემოქმედა.

**პარაგრაფი N579:** ამიტომ, პარტიის აკრძალვის შეფასებისას შეიძლება მნიშვნელობა მიენიჭოს ასევე კონსტიტუციით დაცული ძირითადი თავისუფლებების გამოყენებას, თუ ეს გამოყენება თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ არის მიმართული. „მებრძოლი დემოკრატია“ სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ თავისუფლების ბოროტად გამოყენება არ იქცეს თავისუფლების გაუქმების საშუალებად. შესაბამისად, პარტიის აკრძალვის პროცესში გადამწყვეტი არ არის, გამოიყენება თუ არა ფორმალურად დაცული თავისუფლება, არამედ ის, წარმოადგენს თუ არა ეს გამოყენება თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვის ან გაუქმების მიზანმიმართულ ქმედებას. თუ ეს დგინდება, ასეთი პარტიის ქცევა ექცევა ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის აკრძალვაში

**პარაგრაფი N580:** შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის აკრძალვა არ მოითხოვს უკანონო ან სისხლისსამართლებრივად დასჯადი საშუალებების გამოყენებას, ამგვარი ქმედებები მაინც შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან მინიშნებებს, როგორც პარტიის მიზნების კონსტიტუციის საწინააღმდეგო ხასიათზე, ისე იმაზე, რომ პარტია ამ მიზნების განხორციელებას მიზანმიმართულად ესწრაფვის (ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებული შინაარსით). მაგალითად, თუ დგინდება, რომ პარტიის მხარდამჭერები პარტიას მიკუთვნებადი ფორმით იყენებენ ძალადობას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ეს მიუთითებს იმაზე, რომ პარტია არ აღიარებს სახელმწიფოს ხელისუფლების მონოპოლიას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს, და ამდენად ისწრაფვის თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვისკენ. ამასთან, პარტიისთვის მიკუთვნებადი ძალადობრივი ქმედება ან მისკენ მოწონება საკმარისია იმის დასადგენად, რომ პარტია საკმარისად მიზანმიმართულად ამზადებს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შელახვას ან გაუქმებას (...).

#### **d) საფრთხის აღმოფხვრის წინაპირობები**

იმის გამო, რომ პარტიის აკრძალვა ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, არ ისახავს მიზნად აზრის თუ გამოხატვის შეზღუდვას, იგი შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიის ქმედებებიდან რეალური საფრთხე გამომდინარეობს. აღნიშნული საფრთხის არსებობა ორ ასპექტით უნდა შეფასდეს.

ერთის მხრივ, უნდა განისაზღვროს, რამდენად კონკრეტული და აქტუალურია საფრთხე, რათა პარტიის აკრძალვა საფრთხის თავიდან აცილების აუცილებელ საშუალებად ჩაითვალოს. მეორეს მხრივ, გასარკვევია, აქვს თუ არა შესაძლო აკრძალვის ობიექტ პარტიას ისეთი პოლიტიკური წონა, რომ მისგან თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგისთვის რეალური საფრთხე შეიძლება წარმოიშვას.

ამ საკითხებთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შემდეგნაირად განმარტავს:<sup>65</sup>

**პარაგრაფი 581:** სავალდებულოდ წარმოშვას უნდა თუ არა პარტიის ქმედებებმა კონკრეტული საფრთხე კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით დაცული სამართლებრივი სიკეთეებისთვის, შემადგენლობისათვის სავალდებულო არ არის. ამას ეწინააღმდეგება ნორმის ტექსტი, მისი შექმნის ისტორია და მიზანი.

**პარაგრაფი 582:** ნორმის ტექსტის მიხედვით, „საფრთხის შექმნა“ უშუალოდ უკავშირდება მხოლოდ ფედერაციული რესპუბლიკის არსებობას.

**პარაგრაფი 583:** კონკრეტული საფრთხის მოთხოვნაზე უარის თქმა განპირობებულია იმით, რომ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი არის

---

<sup>65</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 581 ff.

რეაქცია ნაციონალ-სოციალიზმის აღმავლობასა და ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციის უძღურებაზე - დემოკრატიის მტრების წინაშე. ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ რადიკალური მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლა მით უფრო რთულდება, რაც უფრო მეტ მხარდაჭერას იძენენ ისინი. გარდა ამისა, პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ის მომენტი, როცა საფრთხე „კონკრეტული“ ხდება. ასეთ შემთხვევაში, პარტიის აკრძალვა შეიძლება შესაძლებელი გახდეს მხოლოდ მაშინ, როცა პარტია უკვე იმდენად გაძლიერებულია, რომ აკრძალვას აღარ აქვს აზრი.

**პარაგრაფი 584:** ამიტომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ემსახურება პრინციპს „დასაწყისშივე წინააღმდეგობა“ და უზრუნველყოფს კონსტიტუციის საწინააღმდეგო პარტიების წინააღმდეგ ადრეულ, პრევენციულ რეაგირებას. პარტიის აკრძალვის პროცედურა თავისი ბუნებით არის პრევენციული ღონისძიება და მიმართულია არა უკვე არსებული, არამედ მომავალში შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

**პარაგრაფი 585:** თუმცა, პარტიის აკრძალვის საგამონაკლისო და პრევენციული ხასიათიდან გამომდინარე, „მიზანმიმართულად მოქმედება“ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მნიშვნელოვანი და კონკრეტული ნიშნები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ვარაუდს, რომ პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებები შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს.

**პარაგრაფი 586:** თუ პარტიის ქმედებები საერთოდ არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მისი კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნების მიღწევა შესაძლებელია, მაშინ კონსტიტუციის პრევენციული დაცვა პარტიის აკრძალვით, როგორც ყველაზე მკაცრი და ორმაგი ინსტრუმენტი, საჭირო არ არის. პარტიის აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა მას აქვს საკმარისი ზემოქმედების შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობებს რეალურად იყენებს.

**პარაგრაფი 587:** პარტიის მიზნების მიღწევის პოტენციალის არსებობა განისაზღვრება შეფასებითი, სისტემური ანალიზით. გათვალისწინებული უნდა იყოს პარტიის მდგომარეობა (წევრთა რაოდენობა და დინამიკა, ორგანიზაციული სტრუქტურა, მობილიზაციის უნარი, ფინანსური რესურსები), მისი გავლენა საზოგადოებაზე (არჩევნების შედეგები, პუბლიკაციები, კავშირები, მხარდამჭერთა ქსელები), წარმომადგენლობა თანამდებობებსა და მანდატებში, გამოყენებული სტრატეგიები და სხვა ყველა გარემოება, რომელიც მიუთითებს მიზნების განხორციელების რეალურ შესაძლებლობაზე.

**პარაგრაფი 588:** თუ პარტია ცდილობს კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნების მიღწევას ძალადობის ან დანაშაულებრივი ქმედებების გამოყენებით, „მიზანმიმართულად მოქმედების” მოთხოვნა, როგორც წესი, დაკმაყოფილებულია. ძალადობა არღვევს სახელმწიფოს ხელისუფლების მონოპოლიას და სერიოზულად ზღუდავს პოლიტიკურ ნება-სურვილის თავისუფალ და თანასწორ ფორმირებას. იგი ასევე მიუთითებს მიზნების მიღწევის გარკვეულ პოტენციალზე. ანალოგიურად, აკრძალვის საფუძველი შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როცა პარტია დანაშაულის დონემდე არ მიდის, მაგრამ ქმნის შიშის ან მუქარის ატმოსფეროს, რომელიც ზღუდავს პოლიტიკური ნების თავისუფალ ფორმირებას თუნდაც, რეგიონულად შეზღუდულ სივრცეში. აუცილებელია, რომ ასეთი ქმედებები ობიექტურად იყოს თავისუფლების შემზღვეველი; მხოლოდ სუბიექტური შიშის განცდა საკმარისი არ არის.

**პარაგრაფი 589:** განმცხადებლის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, „მიზანმიმართულად მოქმედების” დასადგენად საკმარისი არ არის ის გარემოება, რომ პარტიის განცხადებები გათვლილი იყოს პოლიტიკურ რეალიზაციაზე და ამდენად ჰქონდეს მოქმედების მიმართულების განმსაზღვრელი ხასიათი; ეს თვისება პოლიტიკურ პარტიათა განცხადებებს, როგორც წესი, ყოველთვის ახასიათებს. აუცილებელია არსებობდეს მნიშვნელოვანი და კონკრეტული ნიშნები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ვარაუდს, რომ პარტიის მი-

ერ გავრცელებულ კონსტიტუციის საწინააღმდეგო იდეებთან დაკავშირებულ მოქმედებისკენ მონოდებას წარმატების რეალური შესაძლებლობა აქვს.

თუ პარტია მიმართავს **ძალადობის გამოყენებას**, ეს უკვე თავისთავად, როგორც წესი, ნიშნავს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის საფრთხის შექმნას.<sup>66</sup> (ქართული სამართლის შესახებ ქვემოთ წარმოდგენილ განმარტებებზე პუნქტი 2. c) aa)).

### **a) პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა**

საქართველოს კონსტიტუცია პოლიტიკური პარტიების სახელმწიფოსგან თავისუფალ სტატუსს სპეციალურად ეძღვნება 23-ე მუხლში.

ამით ხაზგასმულია ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ენიჭებათ სახალხო სუვერენიტეტის განხორციელებასა და დემოკრატიული ძირითადი ღირებულებების რეალიზაციაში. პირველ რიგში, კონსტიტუცია ადასტურებს, რომ პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებასა და განხორციელებაში. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 3-ე მუხლის მე-4 პუნქტში კონსტიტუციურ დონეზე განისაზღვრება პოლიტიკური პარტიების საქმიანობის ძირითადი პრინციპები: თავისუფლება, თანასწორობა, გამჭვირვალობა და შიდაპარტიული დემოკრატია.<sup>67</sup> აღნიშნული სტანდარტების დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ პარტიამ, რომელიც სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას ან მის განხორციელებას ისახავს მიზნად, დააკმაყოფილოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნები.

<sup>66</sup> შეად ასევე: EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., §§ 85 ff.; EGMR, Eusko Abertzale Ekintza - Acción Nacionalista Vasca c. Espagne, Urteil vom 15. Januar 2013, Nr. 40959/09, §§ 67 ff.

<sup>67</sup> ძირითადი უფლებები, ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., 23-ე მუხლი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად ხედავს კავშირს, ერთი მხრივ, გამჭვირვალობისა და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებსა და, მეორე მხრივ, პარტიების საზოგადოებრივ მისიას შორის. პოლიტიკური პარტიები ემსახურებიან საჯარო მიზნებს, უზრუნველყოფენ საზოგადოების გავლენას შიდაპარტიულ პროცესებზე და ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი ამომრჩევლების წინაშე. თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების ხაზგასმით კონსტიტუცია უსვამს ხაზს იმ მოთხოვნას, რომ პარტიებმა პატივი სცენ თითოეული ადამიანის უფლებებსა და ღირსებას, როგორც უმაღლეს ღირებულებას.

საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის შემოღებით საქართველოში პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. მხოლოდ მათ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო არჩევნებში და ამ გზით წარმოადგინონ ხალხი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყარო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში № N3/2/1277 დეტალურად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, პარტიებს გადამწყვეტი როლი ეკისრებათ დემოკრატიული მმართველობის შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და პლურალისტური დემოკრატიის განმტკიცებაში. განსაკუთრებული საჯარო ფუნქციის შესრულების გამო პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ დემოკრატიული პროცესის განუყოფელ და აუცილებელ ელემენტს. ისინი უზრუნველყოფენ საზოგადოების მონაწილეობას დემოკრატიულ მმართველობაში და ამაღლებენ საზოგადოებრივ ცნობიერებას, როდესაც ამომრჩევლებს სთავაზობენ პოლიტიკური განვითარების იდეებს და უზრუნველყოფენ აქტიურ პოლიტიკურ ჩართულობას.

გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიები საზოგადოებას აცნობენ პოტენციურ მომავალ თანამდებობის პირებს და ხელს უწყობენ მათ პოლიტიკურ ფორმირებას, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო ასევე პარტიების ფუნქციად მიიჩნევს. პარტიების როლისა და ფუნქციის ასეთი განსაკუთრებული კონსტიტუციური აღიარება ემსა-

ხურება როგორც თავად პოლიტიკური პარტიებისა და მათი ამომრჩევლების ინტერესებს, ისე დემოკრატიული მმართველობის საერთო საჯარო ინტერესს.

### **b) პარტიის შექმნის აკრძალვა**

პოლიტიკური პარტიების აღნიშნულ მნიშვნელობას საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაზრდილი დონე ახლავს თან. ეს პასუხისმგებლობა განაპირობებს იმას, რომ პარტიის შექმნა და მისი საქმიანობა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება.

საკონსტიტუციო სასამართლო პრინციპულად დასაშვებად მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ სხვადასხვა ფორმალური კრიტერიუმის დადგენით განსაზღვროს, შეიძლება თუ არა მოქალაქეთა გაერთიანება კონსტიტუციის გაგებით პოლიტიკურ პარტიად ჩაითვალოს და აკმაყოფილებს თუ არა იგი პოლიტიკური პარტიისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ნიშნებს. ამასთან, პარტიის რეგისტრაციაზე უარი შესაძლებელია მაშინაც, თუ მისი წესდება ან რეგისტრაციისთვის წარდგენილი სხვა დოკუმენტები კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებთან შეუთავსებელია.

საკონსტიტუციო სასამართლო, პოლიტიკური პარტიების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით, იმეორებს მის პრაქტიკაში არაერთხელ გამოყენებულ ფორმულირებას, რომ ამგვარი მიზნის არარსებობის შემთხვევაში, ჩარევა თვითნებური და შესაბამისად, საფუძველშივე გაუმართლებელი და არაკონსტიტუციური

იქნება.<sup>68</sup> პარტიის ეფექტური შექმნისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნები, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს. გადანყვეტილებაში № N3/2/1277, II-18, განხილული იყო კანონით დადგენილი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურმა პარტიამ დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საჯარო

---

<sup>68</sup> N3/2/1277 გადანყვეტილება, II-18.

რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარუდგინოს არანაკლებ 1 000 პარტიის წევრის სია. აღნიშნული სია უნდა შეიცავდეს წევრთა სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პირადობის ნომერს, სამუშაო ადგილს, საცხოვრებელ მისამართს, ტელეფონის ნომერს და მათ საკუთარ ხელმოწერებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიას უკვე დამფუძნებელ ეტაპზე უნდა ჰყავდეს არანაკლებ 1 000 წევრი და ეს მოკლე ვადაში უნდა დადასტურდეს, წარმოადგენს პარტიათა თავისუფლების დასაშვებ დაკონკრეტებას. აღნიშნული მოთხოვნა ემსახურება პოლიტიკური კონკურენციის სერიოზულობისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფას და ისახავს ფუნქციურ და ინსტიტუციურ მიზანს - კანონმდებელი ამ გზით უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკურ კონკურენციაში მონაწილეობდნენ მხოლოდ რეალურად ორგანიზებული და საზოგადოებრივად ძლიერი პოლიტიკური პარტიები.

ფორმალურ წინაპირობებთან ერთად (შდრ. პარტიათა კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი), რეესტრაციისათვის აუცილებელია პარტიის შიდა სტრუქტურის შინაარსობრივი მოთხოვნების დაცვა. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონსტიტუციის 3-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პოლიტიკურ პარტიებს შიდა ორგანიზაციის თვალსაზრისით გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება ეკისრებათ.<sup>69</sup> აღნიშნული კრიტერიუმების შესრულება მოითხოვს ადამიანურ რესურსებს, რომელთა გარეშე პარტია ვერ შეძლებს საკუთარი მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

ამიტომ სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიტიკური პარტიების საქმიანობისა და მათი შიდა სტრუქტურისათვის აუცილებელი ადა-

---

<sup>69</sup> N3/2/1277 გადაწყვეტილება, II-18.

მიანური რესურსების არსებობა წარმოადგენს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს და ამ ინტერესის განხორციელების მიზნით პარტიათა თავისუფლების გარკვეული შეზღუდვა დასაშვებია.

გარდა ამისა, რეგისტრაციის პროცედურის ფარგლებში მოწმდება, თუ რამდენად ისახავს პარტია თავისი წესდებისა და წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით შემდგომში უფრო დეტალურად განხილულ კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნებს.

### **c) მოქმედი პოლიტიკური პარტიების აკრძალვა**

პარტიის რეგისტრაციის შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი და პარტიათა კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს პარტიის აკრძალვას, როგორც პოლიტიკური პარტიის სახელმწიფოსგან თავისუფალ სტატუსში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმას.

ვინაიდან საქმე გვაქვს საგამონაკლისო რეგულაციასთან, რომელსაც ახასიათებს ჩარევის განსაკუთრებულად მაღალი ინტენსივობა, ზემოთ უკვე განხილული მიზეზებიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი ვინრო განმარტება (შდრ. ნანილი D. I.). იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიის აკრძალვის შესახებ სარჩელი ეფუძნება დიდი ხნის წინ მომხდარ მოვლენებს, დამატებით აუცილებელია, რომ განაცხადზე გადანყვეტილების მიღების მომენტშიც შესაძლებელი იყოს ამ მოვლენებიდან კონსტიტუციისადმი მტრული მისწრაფებების გამოტანა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, მისდევდა თუ არა პოლიტიკური პარტია წარსულში კონსტიტუციისადმი მტრულ მიზნებს, არამედ იმას, გრძელდება თუ არა ასეთი მისწრაფებები დღემდე.

### **aa) ძალადობა**

პარტიათა კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტში გამოყენებული ძალადობის ცნება, მისი ზოგადი ენობრივი გაგების შესაბამისად, მოიცავს ადამიანების, ქონებრივი ან არაქონებრივი უფლებების მი-

მართ იძულების გამოყენებას. თუმცა, პარტიის აკრძალვის მიზნიდან გამომდინარე, ასეთი ზემოქმედება უნდა იყოს „სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი“, ანუ უნდა ახდენდეს უშუალო ან არაპირდაპირ გავლენას კონსტიტუციურ წყობაზე. გარდა ამისა, შეზღუდვითი განმარტების აუცილებლობის გამო, დამატებით საჭიროა, რომ ძალადობის გამოყენება იყოს უკანონო, ხასიათდებოდეს გარკვეული ინტენსივობითა და მდგრადობით და შესაძლებელი იყოს მისი პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირება (მისთვის მიკუთვნება).

უფრო დეტალურად კი :

### **(1) ძალადობრივი ქმედების არაკონსტიტუციურობა**

უდავოა, რომ თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის პირობებში საკუთარი პოლიტიკური პოზიციის გავრცელება და დაცვა, პირველ რიგში, უნდა ხდებოდეს პოლიტიკური აზრთა ბრძოლის საშუალებებით, ანუ არგუმენტების ძალით. ამასთან, საქართველოსა და გერმანიის კონსტიტუციები გარკვეული ზემოქმედების გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური პოზიციის გასატარებლად აბსოლუტურად არ კრძალავენ, არამედ გარკვეულ ფარგლებში დასაშვებად მიიჩნევენ.

აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა ის ჩარევა მესამე პირთა უფლებებში, რომელიც კონფლიქტური სამართლებრივი სიკეთეების დაბალანსების შედეგად კონსტიტუციურად დასაშვებია, ისევე როგორც ყველა ის პოლიტიკური ქმედება, რომელიც ასეთ ჩარევას ინვეს ან შეიძლება გამოიწვიოს, არ წარმოადგენს „ძალადობას“ პარტიათა კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც იძულებითი ზემოქმედება ხორციელდება კონსტიტუციით დაცული თავისუფლების ფარგლებში, მაგალითად, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას, და როდესაც ამასთან დაკავშირებული „შეზღუდვები“ ან „ხელისშემშლელი ზემოქმედებები“

(როგორც ეს, მაგალითად, დემონსტრაციების დროს ხდება) და ბუნებრივად ინვეეს გარკვეულ გავლენას სხვა პირთა უფლებებზე.<sup>70</sup> ასეთი „ძალადობა“ მაშინვე არ ინვეეს პარტიათა აკრძალვაზე საუბარს. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევაში, ძალადობის გამოყენება შეიძლება გამართლებადიც იყოს როგორც აუცილებელი მოგერიება, თუ იგი მიმართულია უკანონო თავდასხმის მოგერიებისკენ.

ლიად რჩება საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია უკიდურეს სიტუაციებში, გამონაკლისის სახით, კონსტიტუციურად იმანენტური წინააღმდეგობის უფლების აღიარება, რომელიც შინაარსობრივად შედარებული იქნებოდა გერმანიის ძირითადი კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ წინააღმდეგობის უფლებასთან. ასეთი უფლების არსებობის წინაპირობა იქნებოდა, ერთი მხრივ, ის, რომ მოსაგერიებელი სახელმწიფოებრივი ქმედებები მიმართული იყოს კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ და საფუძვლიანად ემუქრებოდეს მას, ხოლო მეორე მხრივ, ის რომ წინააღმდეგობა წარმოადგენდეს *ultima ratio*-ს, ანუ სამართლის შენარჩუნების ან აღდგენის უკანასკნელ საშუალებას.<sup>71</sup>

## **(2) ძალადობის ცნების განმარტება**

ვინაიდან პარტიათა კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი მიზნად ისახავს კონსტიტუციური წესრიგის დაცვას, ძალადობის ცნება უნდა იქნეს განმარტებული ამ მიზნის შესაბამისად. შესაბამისად, ის უნდა შემოიფარგლოს იმ მოთხოვნებით, რომლებიც აღიარებულია კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ სის-

<sup>70</sup> შეად. BVerfG, Beschluss vom 1. Oktober 2025 - 1 BvR 2428/20 - juris, Rn. 105 ff., insb. Rn. 176; BVerfG, Beschluss vom 7. März 2011 - 1 BvR 388/05 - NJW 2011, 3020, Rn. 33; BVerfG, Beschluss vom 24. Oktober 2001 - 1 BvR 1190/90 - BVerfGE 104, 92, Rn. 54 ff.

<sup>71</sup> მიმოხილვა იხ.:

[https://www.bundestag.de/webarchiv/textarchiv/2013/47878421\\_kw50\\_grundgesetz\\_20-214054](https://www.bundestag.de/webarchiv/textarchiv/2013/47878421_kw50_grundgesetz_20-214054)

ხლისსამართლებრივ დანაშაულებში ძალადობის ცნებად, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლის ფარგლებში (მონოდება საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის ძალადობრივ შეცვლაზე ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობაზე) ან 318-ე მუხლის ფარგლებში (საბოტაჟი).

ძალადობის ცნება, შესაბამისად, მოიცავს არა მხოლოდ ადამიანების მიმართ განხორციელებულ იძულებით ზემოქმედებას, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლით დასჯად ქმედებებსაც, როგორცაა, მაგალითად, ენერგომომარაგების სუბიექტების IT-ინფრასტრუქტურაზე ჰაკერული თავდასხმები, სასმელი წყლის განზრახ დაბინძურება ან ნაღდი ფულის გარეშე გადახდის სისტემის პარალიზება. ამასთან, საკმარისია, რომ სახელმწიფო ორგანოებზე განხორციელებული იძულებითი ზეწოლა თავისი შედეგებით ფიზიკური იძულების ეფექტს გაუტოლდეს.<sup>72</sup> ესე იგი ამისათვის აუცილებელია, რომ კონსტიტუციურ ორგანოზე განხორციელებული ზეწოლა ობიექტურად იყოს გამოსადეგი სახელმწიფოს ორგანოების დასაზიანებლად.<sup>73</sup>

პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებული განსაკუთრებით მაღალი ჩარევის ინტენსივობის გათვალისწინებით, უკანონო იძულებითი ზემოქმედება უნდა ხასიათდებოდეს გარკვეული სიმძიმითა და მდგრადობით.<sup>74</sup> ამდენად, პარტიათა კანონის 36-ე მუხლში მოხსენიებული ძალადობის ცნებისათვის, მისი მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყენებული იქნეს ის მიდგომა, რომელსაც გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო აყალიბებს კონსტიტუციური/სახელმწიფო ორგანოებზე „ძალადობასთან“ დაკავშირებით.<sup>75</sup>

---

<sup>72</sup> vgl. zum Hochverrat (§ 81 StGB) im deutschen Recht: BGH, Beschluss vom 11. Juli 2023 - AK 35/23 - BGHSt 68, 1, Rn. 37)

<sup>73</sup> შეად. BGH, Urteil vom 23. November 1983 - 3 StR 256/83 (S) - BGHSt 32, 165 Rn. 20, zum Gewaltbegriff bei der Nötigung von Verfassungsorganen

<sup>74</sup> vgl. bei Hochverrat: Ziemann in: Leipold/Tsambikakis/Zöller, Anwaltkommentar StGB, 3. Auflage 2020, § 81 StGB, Rn. 5

<sup>75</sup> BGH, Urteil vom 23. November 1983 - 3 StR 256/83 (S) - BGHSt 32, 165, Rn.

„ზოგადად, „იძულების“ (Nötigung) როგორც დანაშაულის შემადგენლობის (Nötigungstatbestand) ფარგლებში გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იძულების საშუალების გამოსადეგობა - ანუ მისი განხორციელების უნარი, დაემორჩილოს მუქარის ადრესატი დამნაშავის მოთხოვნას, ნარმოადგენს არა მხოლოდ ფაქტობრივ, არამედ ნორმატიულ წინაპირობას (BGHSt 31, 195, 201). ასეთი გამოსადეგობა არ არსებობს მაშინ, როდესაც მოცემულ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ მუქარის ადრესატმა (სახელწმინფო/კონსტიტუციურმა ორგანომ) გონივრული თვითდამკვირვებლის შეფასებით გაუძლოს ზენოლას (BGH, იქვე).

კოლეგიური კონსტიტუციური ორგანოების შემთხვევაში „იძულების დანაშაულის შემადგენლობაზე“ ასეთ ნორმატიულ შეფასება მით უფრო ვრცელდება. შესაბამისად, ძალადობის ან ძალადობის მუქარის იძულებითი ეფექტი არ არსებობს იმ მოცულობით, რამდენადაც §105 StGB-ში ჩამოთვლილი კონსტიტუციური ორგანოებისგან, მათი საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია და უნდა იყოს მოსალოდნელი, რომ ისინი მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების პირობებშიც გაუძლებენ ზენოლის სიტუაციებს.

თუ ხელისუფლების იძულება კონკრეტული პოლიტიკური მოთხოვნების შესრულებაზე ხდება, მესამე პირების ან ქონების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების გზით, ასეთი შემთხვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ძალადობად § 105 StGB-ის მნიშვნელობით, როდესაც მათგან გამომდინარე ზენოლა აღწევს ისეთ დონეს, რომ პასუხისმგებელ ხელისუფლებას პრაქტიკულად შეიძლება მოუწიოს „კაპიტულაცია“, რათა თავიდან აიცილოს მძიმე ზიანი საზოგადოებრივი სიკეთეებისთვის ან ცალკეული მოქალაქეებისთვის.“

ამასთან, D. III. 1. d) ქვეპუნქტში განხილული ე.წ. პოტენციურობის პრინციპისგან <sup>76</sup> განსხვავებით, პარტიის აკრძალვა შეიძლება განიხილებოდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პარტია პოლიტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანი არის და, შესაბამისად, ვერ შეიძლება კონსტიტუციური წესრიგის საბოლოო გაუქმებას, თუ იგი ძალადობას თავისი მიზნების მიღწევის საშუალებად აცხადებს ან უკვე იყენებს. ძალადობის გამოყენება პოლიტიკური აზრთა ბრძოლის ინსტრუმენტად უკვე თავისთავად საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ წესრიგს, რადგან პარტია საკუთარი კონსტიტუციის სანინააღმდეგო მიზნების მისაღწევად თავადაც კონსტიტუციის სანინააღმდეგო საშუალებებს მიმართავს.<sup>77</sup>

პარტიის აკრძალვის დამატებითი წინაპირობაა ისიც, რომ ძალადობის გამოყენება შესაბამისი პირების მიერ პარტიას მიეკუთვნებოდეს იმ წესით, როგორც ეს ზემოთ D. III. 1. b) ქვეპუნქტშია განმარტებული.

### **bb) სახელმწიფო გადატრიალება / შეიარაღებული ფორმირებები**

პარტიათა კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, სახელმწიფო გადატრიალება გულისხმობს კონსტიტუციის

---

<sup>76</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 585 ff., abgedruckt in Abschnitt D. III. 1. d) ამ პოტენციურობის პრინციპის მიხედვით, საკმარისია, რომ არსებობდეს რეალური შესაძლებლობა - პოტენციალი, რომ პარტიის ქმედებები შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს და მომავალში საფრთხე შეუქმნას კონსტიტუციურ წესრიგს.

<sup>77</sup> შეად. ასევე : EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., §§ 85 ff., [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-93475%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-93475%22]}) ; EGMR, Eusko Abertzale Ekintza - Acción Nacionalista Vasca c. Espagne, Urteil vom 15. Januar 2013, Nr. 40959/09, §§ 67 ff., [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22languageisocode%22:\[%22FRE%22\],%22appno%22:\[%2240959/09%22\],%22documentcollectionid%22:\[%22CHAMBER%22\],%22itemid%22:\[%22001-115878%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22languageisocode%22:[%22FRE%22],%22appno%22:[%2240959/09%22],%22documentcollectionid%22:[%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-115878%22]}) (in französischer Sprache)

საწინააღმდეგო გზით რომელიმე კონსტიტუციური ორგანოს „ლიკვიდაციას“, ანუ მისი არსებობის შეწყვეტას.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვასხვავოთ, ცდილობს თუ არა პარტია აღნიშნული მიზნის მიღწევას ხალხის, როგორც „სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს“ მოქმედების გზით („რევოლუცია“), თუ იგი ისახავს მიზნად პოლიტიკური ან შეიარაღებული დაჯგუფებების „მილიტანტური“ ჩარევით მოქმედებას (ამბოხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის მნიშვნელობით; „პუტჩი“; „სახელმწიფო გადატრიალება“).

როგორც წესი, სახელმწიფო გადატრიალებასა ან პუტჩზე მიმართული მისწრაფებები უკავშირდება უკანონო ძალადობის გამოყენებას და, შესაბამისად, პრინციპულად ამართლებს პარტიის აკრძალვას. იგივე ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც პარტია მიზნად ისახავს კონსტიტუციური ორგანოს არსებობის შეწყვეტას არამშვიდობიანი რევოლუციის საშუალებებით. ამიტომ არ იწვევს ეჭვს ის გარემოებაც, რომ პარტიათა კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი პრინციპის „დასაწყისშივე წინააღმდეგობა“ შესაბამისად, შეიარაღებული ფორმირებების შექმნას უკვე საკმარის საფუძვლად მიიჩნევს პარტიის აკრძალვისათვის.<sup>78</sup> ერთი მხრივ, იარაღის ორგანიზებული შეძენა და პარამილიტარული ჯგუფებისათვის პერსონალის რეკრუტირება უკვე თავად ქმნის ძალადობრივი გადატრიალების საფრთხეს. მეორე მხრივ, შეიარაღებული მოქმედების მზარდი საფრთხის პირობებში, კონსტიტუციური წესრიგის დასაცავად აუცილებელია ადრეული ჩარევა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მოვლენების უკონტროლო ესკალაცია ძალადობრივ ექსცესებამდე.

თუ პარტია მიზნად ისახავს „მშვიდობიან რევოლუციას“, ეს შეიძლება გახდეს პარტიის აკრძალვის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხ-

<sup>78</sup> გერმანულ კონსტიტუციურ სამართალში: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 584, abgedruckt in Abschnitt D. III. 1. d)

ვევაში, თუ მისი წარმოდგენით მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის ნაცვლად უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც არ იცავს თავისუფალი და დემოკრატიული სამართლებრივი წესრიგის ძირითად პრინციპებს; მაგალითად, თუ მიზნად ისახება ტოტალიტარული სახელმწიფოს ან „ვასალური სახელმწიფოს“ შექმნა (შდრ. ქვეთავი D. II. 1.).<sup>79</sup>

თუ კი პარტიის მიზანი არ არის თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის, როგორც ასეთის, განადგურება, მაშინ „მშვიდობიანი/არაძალადობრივი“ გზით სახელმწიფო გადატრიალებაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტია სისტემური ცვლილების მიღწევას აშკარად კონსტიტუციის საწინააღმდეგო გზით ცდილობს. ამისთვის არ არის საკმარისი ის გარემოება, რომ პარტია ეჭვქვეშ აყენებს გარკვეულ მოქმედ კონსტიტუციურ პრინციპებს (შდრ. ქვეთავი D. II. 1.)<sup>80</sup>, და მით უფრო რომ იგი ეჭვქვეშ აყენებს ფაქტობრივად არსებული კონსტიტუციური ორგანოების ლეგიტიმაციას, განურჩევლად იმისა, ეს ობიექტურად გამართლებულია თუ არა. ანალოგიურად, მდგრადი პოლიტიკური მოთხოვნები, როგორცაა მაგალითად ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა, როგორც სისტემური ცვლილებისთვის ყველაზე დემოკრატიული ინსტრუმენტი, ან პასუხისმგებელი პირების გადადგომისკენ მოწოდება, არ არის მიმართული სახელმწიფო გადატრიალებაზე, არამედ წარმოადგენს კონსტიტუციით დაცული პოლიტიკური აზრთა ბრძოლის ნაწილს.

---

<sup>79</sup> გერმანულ კონსტიტუციურ სამართალში: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 535, abgedruckt in Abschnitt D. II. 1.

<sup>80</sup> გერმანულ კონსტიტუციურ სამართალში: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 535, abgedruckt in Abschnitt D. II. 1.

### **cc) სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა**

უკვე ზემოთ წარმოდგენილი მიზეზებიდან გამომდინარე (განსაკუთრებით იხ. D. I.), აუცილებელია ვინრო განმარტება იმის შეფასებისას, არღვევს თუ არა პარტია თავისი მიზნებით ან ქმედებებით სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ მთლიანობას.

ვინრო განმარტების ეს მოთხოვნა ვრცელდება როგორც დაცული სამართლებრივი სიკეთეების მოცულობაზე (სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; ტერიტორიული მთლიანობა), ისე დარღვევის ქმედებისადმი დანესებულ მოთხოვნებზე.

#### **(1) დაცული სამართლებრივი სიკეთე**

იდენტური დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ამ სამართლებრივი შემადგენლობის წინაპირობების განმარტებისას გადამწყვეტია ის კრიტერიუმები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ სამშობლოს ღალატის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307<sup>1</sup>-ე მუხლი და 308-ე მუხლი; გერმანიაში - სსკ-ის § 81 Abs. 1 Nr. 1) კონტექსტში.

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად უნდა ჩაითვალოს ისეთი ქმედებები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს ერთიანობის როგორც ასეთის გაუქმებისკენ (მაგალითად, საკუთარი სუვერენიტეტის უარყოფა ან სხვა სახელმწიფოსთან „შეერთება“), ან სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გამოყოფისკენ („სეპარატისტული მისწრაფებები“).<sup>81</sup>

---

<sup>81</sup> გერმანულ სამართალში: BGH, Beschluss vom 6. Dezember 2023 - AK 87/23 - StV 2025, 222, Rn. 33; BGH, Beschluss vom 11. Juli 2023 - AK 35/23 - BGHSt 68, 1, Rn. 37; BGH, Beschluss vom 4. Mai 2016 - 3 StR 392/15 - StV 2017, 379, Rn. 8

სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ირღვევა მაშინ, როდესაც გერმანული სამართალწარმოების ფორმულირებით, პარტია მიზნად ისახვს სახელმწიფოს „უცხო ძალისადმი დაქვემდებარების“.<sup>82</sup> უფრო მარტივად რომ ითქვას, როდესაც მისი მიზანია „ვასალური სახელმწიფოს“ შექმნა. („Freiheit von fremder Botmäßigkeit“ გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში ეს ცნება გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რომ: სახელმწიფო ან ხალხი არ უნდა იმართებოდეს უცხო ძალის მიერ, ხალხის პოლიტიკური ნება უნდა ყალიბდებოდეს დამოუკიდებლად, გარეშე გავლენის გარეშე და დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი და დემოკრატიული თვითგამორკვევის უფლება).<sup>83</sup>

ამასთან, აქ არ მოიაზრება: კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელებული სუვერენული უფლებამოსილებების გადაცემა სუპრანაციონალური ორგანიზაციების სასარგებლოდ;<sup>84</sup> სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური კოორდინაციის პროცესები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აუქმებენ სახელმწიფოს გადანყვეტილების მიღების ავტონომიას ან ეფუძნება კონსტიტუციურად დასაშვებ საერთაშორისო ვალდებულებებს ან სუპრანაციონალურ ორგანიზაციაში წევრობას.

## **(2) დამრღვევი ქმედება**

პარტიის აკრძალვა პარტიათა კანონის § 36 №1-ის საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტიის ქმედება განზრახ არის მიმართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან სახელმწიფო დამოუკიდებლობის დარღვევისკენ.

---

<sup>82</sup> BGH, Beschluss vom 6. Dezember 2023 - AK 87/23 - StV 2025, 222, Rn. 33; BGH, Beschluss vom 11. Juli 2023 - AK 35/23 - BGHSt 68, 1, Rn. 37; BGH, Beschluss vom 4. Mai 2016 – 3 StR 392/15 - StV 2017, 379, Rn. 8

<sup>83</sup> გერმანულ სამართალში: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 524, abgedruckt in Abschnitt D. II. 1.

<sup>84</sup> Ziemann in: Leipold/Tsambikakis/Zöller, Anwaltkommentar StGB, 3. Auflage 2020, § 82 StGB, Rn. 2

ამიტომ არ არის საკმარისი, რომ რომელიმე ქმედებამ მხოლოდ შედეგობრივად გამოინვიოს § 36 №1-ით დაცული სამართლებრივი სიკეთის შელახვა. მხოლოდ ასეთი, ტექსტის სიტყვასიტყვით განმარტებაზე დაფუძნებული მიდგომა შეესაბამება ნორმის მიზანს - ვინრო განმარტების მოთხოვნას და ნორმის ფართო, ყოვლისმომცველი განმარტების აკრძალვას.<sup>85</sup> შესაბამისად, არაკონსტიტუციურობის ზღვარი გადალახულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ტერიტორიის ნაწილობრივი დათმობა თავად წარმოადგენს ქმედების განზრახვას და მიზანს, ან პასუხისმგებელი პოლიტიკური აქტორები მოქმედებენ არსებული კონფლიქტების ისეთი „მოგვარებისთვის“, რომელიც კონსტიტუციით გამორიცხებულია, ან მიუხედავად პოლიტიკურ მოქმედებათა ფართო სივრცისა, იგი არ შეიცავს კონფლიქტში მყოფ კონსტიტუციურ მიზნებს შორის დასაშვებ და გონივრულ ბალანსს.

ეს სამართლებრივი ნიშანი გადაბიჯებული/გადალახულია მაშინ, როდესაც ეროვნული კონსტიტუციური ორგანოები მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს აღარ იღებენ დამოუკიდებლად, არამედ საკუთარ „პოლიტიკურ ორიენტირებს“ სხვა სახელმწიფოსკენ მიმართავენ. ამგვარად, არაკონსტიტუციურობის ზღვარი გადალახული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტერიტორიების ნაწილობრივი დათმობა ან წარმოადგენს ქმედების პირდაპირ მიზანს, ან როდესაც პასუხისმგებელი სუბიექტები ისწრაფვიან არსებული კონფლიქტების ისეთი „გადაწყვეტისკენ“ რომელიც კონსტიტუციით გამორიცხებულია.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუცია, განსაკუთრებით რთულ და მრავალფაქტორიან საგარეო- და თავდაცვით კონფლიქტურ სიტუაციებში, კონსტიტუციურ ორგანოებსა და სხვა პოლიტიკურ პასუხისმგებელ პირებს ანიჭებს ძალიან ფართო პო-

<sup>85</sup> zum deutschen Recht. BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 524, იხ. D. II. 1.

ლიტიკურ მოქმედების სივრცეს. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი კანონის (**Grundgesetz**) შესახებ, მათ შორის, აღნიშნავს, რომ:<sup>86</sup>

„იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი პოლიტიკური მიზნების განხორციელება საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში დაშვებულ საზღვრებში, ძირითადი კანონი (**GG**) საგარეო ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს ძალიან ფართო მოქმედების სივრცეს საგარეო პოლიტიკისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისას, მათ შორის შესაძლო ქცევის მიზანშეწონილობის შეფასების კუთხით.“

გადანყვეტილების მიმღებთა მოქმედების ეს ფართო სივრცე განაპირობებს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესაბამის ფუნქციურ შეზღუდვებს.<sup>87</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება საგარეო ხელისუფლების სფეროში არსებულ პოლიტიკურ დისკრეციას, ისევე როგორც თავდაცვის საკითხებს, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს მხოლოდ ის, დატოვებს თუ არა გადანყვეტილების მიმღებმა პირებმა ამ ძალიან ფართო მოქმედების ჩარჩო.<sup>88</sup>

ეს ასევე მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის განხილვის საგანს არ წარმოადგენს თავად ის გადანყვეტილებები, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური კრიტერიუმების საფუძველზე იქნა მიღებული, არამედ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა, რომელიც ამ

---

<sup>86</sup> BVerfG, Beschluss vom 16. Dezember 1980 - 2 BvR 419/80 - BVerfGE 55, 349, Rn. 37

<sup>87</sup> BVerfG, Urteil vom 23. September 2015 - 2 BvE 6/11 - BVerfGE 140, 160, Rn. 94; BVerfG, Beschluss vom 16. Dezember 1980 - 2 BvR 419/80 - BVerfGE 55, 349, Rn. 35 ff.; BVerfG, Beschluss vom 7. Juli 1975 - 1 BvR 274/72 - BVerfGE 40, 141, Rn. 121

<sup>88</sup> BVerfG, Urteil vom 23. September 2015 - BvE 6/11 - BVerfGE 140, 160, Rn. 94; BVerfG vom 7. Juli 1975 - 1 BvR 274/72 - BVerfGE 40, 141, Rn. 216, vgl auch BVerfG, Beschluss vom 13. August 2013 - 2 BvR 2660/06, 2 BvR 487/07 - EuGRZ 2013, 563, Rn. 54

გადანყვეტილებების არაკონსტიტუციურობით არის დასაბუთებული. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს საგამოძიებო კომპეტენციას მიეკუთვნება იმის შემოწმება, იყო თუ არა აღნიშნული გადანყვეტილებები მიმართული ტერიტორიული მთლიანობის ან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დარღვევისკენ, და ასევე ის, შესაძლებელია თუ არა ასეთი მიზნის მიკუთვნება იმ პარტიის აღმასრულებელ ორგანოებს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს აკრძალვის პროცედურა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება ინციდენტურად შეფასება იმისა, იყო თუ არა აღმასრულებელი ორგანოების მიერ დასახული მიზანი არაკონსტიტუციური (როგორც ზემოთ აღინიშნა, თავად ქმედების შედეგად ფაქტობრივად დამდგარი ტერიტორიული მთლიანობის ან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა საკმარისი არ არის), საკონსტიტუციო სასამართლოს შემოწმების კომპეტენცია მკვეთრად შეზღუდულია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შეაფასოს, ემყარებოდა თუ არა არჩეული მოქმედება ურთიერთდაპირისპირებული მიზნების ისეთ აშკარად გაუმართლებელ დაბალანსებას, რომელიც სრულიად მიუღებელია, და შესაძლებელია თუ არა აქედან დასკვნის გამოტანა, რომ მიღებული გადანყვეტილების დასასაბუთებლად წარმოდგენილი არგუმენტები მხოლოდ ფორმალური და მოჩვენებითი იყო; ანუ, რომ რეალური მიზანი თავიდანვე ტერიტორიული მთლიანობის ან სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დარღვევა იყო.

#### **dd) ეროვნული, ეთნიკური, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივება**

ეროვნული, ეთნიკური, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივება ეყრდნობა გერმანული სამართლის *Volksverhetzung*-ის პრინციპს (§ 130 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი).<sup>89</sup> შესაბამისად, პარტიათა კანონის 36-ე მუხლის №1 პუნქტში გათვალისწინებული ეს სამართლებრივი ნიშანი შეიძლება

<sup>89</sup> § 130 სისხლის სამართლის კოდექსი  
საჯარო მშვიდობის დარღვევისთვის მიზნით

განიმარტოს იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შულის გაღვივებისთვის არის აღიარებული.

შულის გაღვივება გულისხმობს ისეთი ქმედებებისკენ ნაქეზებას, რომლებიც ზემოქმედებენ სხვა პირთა გრძნობებზე, ობიექტურად მოქმედებს და იმავდროულად ნაგულისხმები არიან სუბიექტებიც, და მიმართულია იმგვარი ემოციურად გამძაფრებული, მტრული დამოკიდებულების შექმნის ან გაძლიერებისკენ, რომელიც სცდება უბრალო უარყოფას ან სიძულვილს. იგი როგორც წესი მიმართულია შესაბამისი მოსახლეობის ჯგუფის წინააღმდეგ.<sup>90</sup> ძალადობრივი ან თვითნებური ღონისძიებებისკენ მონოღების მტკიცება, კი მოითხოვს უბრალო მხარდაჭერის გამოცხადებაზე მეტს, ეს უნდა იყოს გამობატული ან განზრახი ზემოქმედება სხვებზე, რომლის მიზანიცაა მათში ისეთი გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, რომელიც დისკრიმინაციული ქმედებების განხორციელებას გულისხმობს და ეწინააღმდეგება ჰუმანურობის ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

ამგვარად, აუცილებელია განსაკუთრებით მიზანმიმართული ჩარევა, რომელიც გამოიხატება დაზარალებულ პირთა პიროვნების

---

1. ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური წარმომავლობის გამო განსაზღვრული ჯგუფის წინააღმდეგ, ან მოსახლეობის ნაწილის წინააღმდეგ ან კონკრეტული პირის წინააღმდეგ, ასეთი ჯგუფის ან მოსახლეობის ნაწილისადმი კუთვნილების გამო სიძულვილის გაღვივება, ძალადობისკენ ან თვითნებური ქმედებებისკენ მონოღება, ან

2. სხვა პირების ღირსების შელახვა, ზემოთ აღნიშნულ ჯგუფის, მოსახლეობის ნაწილს ან კონკრეტულ პირის მისი ასეთი ჯგუფის ან მოსახლეობის ნაწილისადმი კუთვნილების გამო შეურაცხყოფა, ბოროტად დამცირება ან ცილისწამება

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი თვიდან ხუთ წლამდე.

<sup>90</sup> სხვაგვარი ფორმულირებით, შეად.: BGH, Urteil vom 27. Juli 2017 - 3 StR 172/17 - NStZ 2018, 37, Rn. 30; BGH, Urteil vom 20. September 2011 - 4 StR 129/11 - juris Rn 18; Oberverwaltungsgericht für das Land Nordrhein-Westfalen, Beschluss vom 21. November 2025 - 15 B 1300/25 - juris Rn. 20; Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 27. Oktober 2025 - 3 Ws 308/25 - juris Rn. 14; OLG Zweibrücken, Urteil vom 3. März 2025 - 1 ORs 1 SRs 69/24 - juris Rn.

არსებით ნაწილზე მტრული, გამძაფრებული ზემოქმედებით ან მძიმე ფორმის უპატივცემულობით, რაც ხასიათდება განსაკუთრებული სიძულვილის ენით, უხეშობით ან განსაკუთრებით მტრული გამოსატყვის ფორმით.<sup>91</sup>

## **E. თანაზომიერების შემონმების ტესტი**

### **I. გერმანული სამართალი**

ძირითადი კანონით პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით გათვალისწინებული რეგულაციები ამომწურავია. შესაბამისად, ეს გამოორიცხავს მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევის თანაზომიერების ზოგადი პრინციპების გამოყენებას.<sup>92</sup> ამასთან, ამით არ ირღვევა ის გარემოება, რომ თანაზომიერების ასპექტები შინაარსობრივად ჩართულია პარტიის აკრძალვისთვის დადგენილ სამართლებრივ შემადგენლობის წინაპირობებში:

თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედ სახელმწიფო ორგანოს აქვს ქმედებისა და გადაწყვეტილების თავისუფალი სივრცე. თუ კონკრეტული ღონისძიება სამართლებრივად სავალდებულოდ არის განსაზღვრული და გადაწყვეტილების მიღებისას არც „კი/არა“-ს და არც „როგორ“-ის კუთხით ალტერნატიული შესაძლებლობები არ არსებობს, მაშინ თანაზომიერების პრინციპის გამოყენება არ ხდება.<sup>93</sup> გერმანული სამართალი სწორედ ამგვარად არის აგებული: თუ კონსტიტუციით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობები აუცილებლად სახეზეა, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, კონსტიტუციიდან გამომდინარე მიზეზებით, პარტია ცნოს არაკონსტიტუციურად ან აკრძალოს იგი. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ისეთი დისკრეტია, რომელიც თანაზომიერების ტესტის გამოყენებას შესაძლებელს გახდიდა.

<sup>91</sup> OLG Zweibrücken, Urteil vom 3. März 2025 - 1 ORs 1 SRs 69/24 - juris Rn. 59

<sup>92</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 599 ff.

<sup>93</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 600

ამ დასკვნას არ ცვლის ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ცალკეული სამართლებრივი ნიშნების განმარტებისას ვალდებულია გაითვალისწინოს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებები და ღირებულებითი გადაწყვეტილებები და ისინი შეაჯეროს აკრძალვის ნორმების დაცვით მიზანთან, წინააღმდეგობების თავიდან ასაცილებლად და ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი სიკეთეების უმაღლესი ჰარმონიზაციის მისაღწევად. ასეთი სიკეთეთა შეპირისპირება წარმოადგენს ნორმის განმარტების სამართლებრივად სავალდებულო ნაწილს და არა თანაზომიერების დამოუკიდებელ შეფასებას.<sup>94</sup> ამგვარად, მთელი პროცედურის ფარგლებში დისკრეცია არსებობს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელზეც უკვე იყო საუბარი (ზემოთ, B. II. 2.): კერძოდ, დააყენებს თუ არა უფლებამოსილი ორგანო პარტიის აკრძალვის მოთხოვნას.

შესაბამისად, პარტიის აკრძალვის თანაზომიერების დამოუკიდებელი შემონმების გამორიცხვა არ ნიშნავს იმას, რომ გერმანულ კონსტიტუციურ სამართალში სიკეთეთა შეპირისპირება მნიშვნელობას მოკლებულია. პირიქით, ასეთი შეპირისპირება უკვე ჩამუშავებულია სამართლებრივ წინაპირობებში და ფაქტობრივად წინასწარ არის გადატანილი ნორმის განმარტების ეტაპზე. შედეგად, მისი სამართლებრივი წონა კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან იგი სავალდებულო სამართლებრივ შეფასებას წარმოადგენს და არა დისკრეციულ გადაწყვეტილებას.

ამ მიდგომით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს, რომ ეროვნული კონსტიტუციური სამართალი შეთავსებადი იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან. კონვენცია არ იცნობს ისეთ სპეციალურ ნორმას, რომელიც თანაზომიერების პრინციპს გამორიცხავს და, ადამიანის

---

<sup>94</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 602

უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, აუცილებლად მოითხოვს სამართლებრივ სიკეთეთა შეპირისპირებას.<sup>95</sup> (საკითხს უფრო დეტალურად იხ. G ნაწილში).

## II. ქართული სამართალი

ქართული სამართლის მიხედვითაც, უდავოა რომ პარტიის აკრძალვის შემთხვევაში აუცილებელია სამართლებრივ სიკეთეთა შეპირისპირება.<sup>96</sup> მის გარეშე დაირღვეოდა არა მხოლოდ კონსტიტუციით გარანტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი პრინციპი, არამედ ვერ დაკმაყოფილდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებიც. საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკური პარტიის აკრძალვისას სხვა სახელმწიფო ორგანოს ჩარევის კონსტიტუციურობას კი არ ამოწმებს, არამედ თავად ახორციელებს ჩარევას. მისი გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ საბოლოოა და შესაბამისად, არ ექვემდებარება გადასინჯვას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავისუფალია კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნების დაცვისაგან.

შედარებით ძველ, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში<sup>97</sup>, გვხვდება მოსაზრება, თითქოს თავად კონსტიტუციამ უკვე გადაწყვიტა, რომ კონსტიტუციის საწინააღმდეგო პარტიების აკრძალვა თანაზომიერია, რის გამოც აღარ არის საჭირო ამ გადაწყვეტილების დამატებითი გამყარება ზედმეტი ღონისძიებების აკრძალვის, ანუ თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე. ეს არგუმენტაცია არ ითვალისწინებს იმას, რომ კონსტიტუცია მხოლოდ **23**-ე მუხლის

<sup>95</sup> შეად: ECHR, Judgment of 30 June 2009 in the Case of Herri Batasuna a.o. v. Spain, Applications nos. 25803/04 and 25817/04; <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-93475%22%5D%7D>

<sup>96</sup> ლოლაძე ბ, ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები (კომენტარი) მუხლი 23, -17.3.2.

<sup>97</sup> Ipsen, GG, Art. 21, Rn. 172. შეადარე ასევე: Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 45. ასევე: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 603 ff.

მე-3 პუნქტის ფარგლებში (პარტიის შექმნა; საქმიანობა) შეიცავს ამომწურავ სპეციალურ რეგულირებას, ხოლო პარტიის აკრძალვის პროცედურისთვის ასეთი კონსტიტუციური სპეციალური ნორმა არ არსებობს. შესაბამისად, თავიდანვე არ არსებობს ისეთი კონსტიტუციური საფუძველი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარე თანაზომიერების მოთხოვნებს სახელმწიფო ჩარევის მიმართ გამორიცხავდა (დეტალურად ამ საკითხზე იხ. A. I. 1. b) aa)).

რაც შეეხება, კონსტიტუციის მატერიალურ სტანდარტებს, ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ კონსტიტუციით პარტიის აკრძალვის საფუძვლების განსაზღვრა დამატებით არ საჭიროებს გაძლიერებას გადამეტებული ზომების აკრძალვის, ანუ თანაზომიერების პრინციპით. ამ შემთხვევაში თვით კონსტიტუციას აქვს მიღებული გადანყვეტილება, რომ იმ პარტიების აკრძალვა, რომლებიც კონსტიტუციის მოთხოვნებს არღვევენ, თავისთავად თანაზომიერია.<sup>98</sup> ამგვარი მიდგომა პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საკითხის გადანყვეტას დაიყვანს იმის გარკვევამდე, თუ ფორმალურად რამდენადაა სახეზე აკრძალვის ესა თუ ის საფუძველი. ამასთან, ეს ყოველთვის არაა საკმარისი აკრძალვის შესახებ გადანყვეტილების მიღებისათვის.<sup>99</sup> მაგალითად, შეიძლება დადგინდეს, რომ რომელიმე პარტიის წევრები ეწევიან ომის ან ძალადობის პროპაგანდას, მაგრამ ეს არ აღწევს ისეთ მასშტაბებს, რომ პარტიის აკრძალვა თანაზომიერ ღონისძიებად ჩაითვალოს. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაიცვას თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები პოლიტიკური პარტიის აკრძალვის ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც გადანყვეტილების მისაღებად შეფასებით მსჯელობას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასა-

---

<sup>98</sup> Ipsen, GG, Art. 21, Rn. 172. შეადარე ასევე: Arndt/Engels/Oettingen, EMRK, Art. 11, Rn. 45.

<sup>99</sup> ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები (კომენტარი) მუხლი 23, -17.3.3.

მართლო, პარტიის აკრძალვის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვისას, ამონმებს მის აუცილებლობასა და პროპორციულობას.<sup>100</sup>

ამასთან, აღნიშნული მოსაზრება, რომ მხოლოდ თანაზომიერების ტესტი საკმარისია, მცდარია კიდევ ერთი მიზეზითაც: პარტიათა კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი თავადაც არ გამოორიცხავს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებას.

ეროვნული სამართლის ისეთი გაგება, რომელიც, იქნება ეს კონსტიტუციის თუ კანონმდებლობის დონეზე, პარტიის აკრძალვისას უარს იტყვის თანაზომიერების პრინციპზე დაფუძნებულ სამართლებრივ შეპირისპირებაზე, შეუთავსებელი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და, შესაბამისად, დაარღვევს ეროვნული სამართლის ადამიანის უფლებებთან შესაბამისი განმარტების ვალდებულებას<sup>101</sup> (დეტალურად იხ. G). ასეთი მიდგომა გამოინვევდა იმას, რომ პარტიის აკრძალვის პროცესში მხოლოდ ის იქნებოდა დასადგენი, არსებობს თუ არა აკრძალვის კონკრეტული საფუძველი სამართლებრივი შემადგენლობის ელემენტის ტექსტის მხოლოდ ფორმალური განმარტების საფუძველზე. ამ შემთხვევაში კონსტიტუციური დარღვევის ინტენსივობასა და მდგრადობას, ასევე პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას პოლიტიკურ აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე, პოლიტიკური ნების ფორმირებაზე და არჩეული ორგანოების წარმომადგენლობით ფუნქციაზე (მაგალითად, პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემთხვევაში) აღარ ექნებოდა მნიშვნელობა.<sup>102</sup>

<sup>100</sup> United Communist Party of Turkey and Others v. Turkey; Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey (N41340/98, 41342/98, 41343/98, 41344/98; 13.2.2003).

<sup>101</sup> ECHR, Judgment of 30 June 2009 in the Case of Herri Batasuna a.o. v. Spain, Applications nos. 25803/04 and 25817/04; <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-93475%22%5D%7D>

<sup>102</sup> ECHR, Judgment of 30 June 2009 in the Case of Herri Batasuna a.o. v. Spain,

როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი ხედვა, რომელიც პროპორციულობის შემონიშნაზე უარს ამბობს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.

იმისათვის, რომ ეროვნული კანონმდებლობა კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებებთან შესაბამისი იყოს, იგი ვალდებულია უზრუნველყოს თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინება. ეს შესაძლებელია ორი გზით: თანაზომიერება ფასდება ან სამართლებრივი ნიშნების განმარტების ეტაპზე, ან იგი ცალკე, დამოუკიდებელი შეფასების ეტაპზე მოწმდება.

აქედან გამომდინარე, ქართველმა კანონმდებელმა პარტიათა კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტით აირჩია პირველი გზა, ანუ ის მიდგომა, რომლის მიხედვითაც ურთიერთდაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეების „ურთიერთ შეპირისპირების“ აუცილებლობა ნორმის განმარტების შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, არც საკონსტიტუციო სასამართლოს და არც მოსარჩელეს/განმცხადებელს არ გააჩნიათ დისკრეციული სივრცე:

პარტიათა კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტით პარტიის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება ჩვეულებრივი კანონის დონეზეც არის ჩამოყალიბებული როგორც სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილება. კანონმდებელმა, საფუძვლიანი მიზეზების გამო, თავი აარიდა ზოგადი სამართლებრივი ცნებების გამოყენებას (რომლებიც ასეთი მაღალი ინტენსივობის ჩარევის პირობებში სამართლებრივი სახელმწიფოს თვალსაზრისით პრობლემურია)

---

Applications nos. 25803/04 and 25817/04;

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-93475%22%5D%7D>; ECHR, Judgment of 13 February 2003 in the case of Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey (N41340/98, 41342/98, 41343/98, 41344/98; 13.2.2003); <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%5D%2C%22appno%22:%5B%2241340/98%22%2C%2241342/98%22%2C%2241343/98%22%2C%2241344/98%22%5D%2C%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%5D%2C%22itemid%22:%5B%22001-60936%22%5D%7D>

და პარტიის აკრძალვის სამართლებრივი წინაპირობები მაქსიმალურად კონკრეტულად თავად განსაზღვრა.

როგორც გერმანულ სამართალში, ისე ქართულშიც, ეს აისახება იურიდიულ-ტექნიკურ გადანყვეტაში იმ საშუალებით რომ თანაზომიერების შემონიშნების კრიტერიუმები ინტეგრირებულია სამართლებრივი ნიშნების განმარტებაში. ეს, გულისხმობს იმას, რომ არაკონსტიტუციურ ქმედებასთან (დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენების შემთხვევაში -ასევე მათი გრძელვადიანი მნიშვნელობისა და ამ მოვლენებთან მიმართებით პარტიის ამჟამინდელი პოზიციის გათვალისწინებით) დაკავშირებული საფრთხის პოტენციალი (ე.წ. პოტენციურობა), აგრეთვე არაკონსტიტუციური მოქმედების ინტენსივობა და მდგრადობა, უკვე სამართლებრივი შემადგენლობის დონეზე უნდა იქნას გათვალისწინებული - ანუ დაცული სამართლებრივი სიკეთეების შეპირისპირების მეთოდით.

## **F. სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი პროცედურული მონყობა**

### **I. ზოგადი პროცედურული პრინციპები**

პარტიის აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარმოადგენს დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ყველაზე მკაცრ ინსტრუმენტს მის ორგანიზებულ მონინაალმდეგებთან წინააღმდეგობის გასაწევად. შესაბამისად, პარტიის აკრძალვის პროცედურაში აუცილებელია სამართლებრივი უსაფრთხოების, გამჭვირვალობის, წინასწარგანჭვრეტადობისა და სანდობის უმაღლესი სტანდარტების დაცვა.<sup>103</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებაში აკრძალვისთვის მიზნით მყოფი პარტია, შესაძლოა, უკანასკნელა-

<sup>103</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn 145; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 405; BVerfG, Beschluss vom 18. März 2003 - 2 BvB 1/01 -BVerfGE 107, 339, Rn. 85 (Senatsminderheit)

დაც იღებს შესაძლებლობას, განმცხადებელთა არგუმენტებს დაუპირისპიროს კონსტიტუციის ერთგული ინსტიტუტის სახე, რომლის შემდგომი მონაწილეობა ხალხისა და სახელმწიფოს ნების ფორმირების პროცესში თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი და ლეგიტიმურია.<sup>104</sup> ამგვარი, ერთგვარად „ბოლო სიტყვის“ უფლების ეფექტიანი განხორციელება შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიას ეძლევა განსაკუთრებულად სამართლიანი პროცედურული პირობები და დაცულია პარტიების სახელმწიფოსგან თავისუფლების პრინციპი. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „მტკიცებულებათა თავისუფლების“ პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს ფაქტობრივი და მტკიცებითი საფუძვლების დადგენას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, შესაძლო არალეგიტიმური ზემოქმედებებისგან თავისუფალ გარემოში.

ამიტომ, მაგალითად, სადაზვერვო სამსახურების სფეროდან მიღებული ცნობები პარტიის აკრძალვის პროცესში ავტომატურად დაუპირობოდ ვერ იქნება გათვალისწინებული. სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი პროცესი პრინციპი სხვათა შორის გულისხმობს იმას, რომ პარტიის წინააღმდეგ მიმდინარე აკრძალვის პროცესის განმავლობაში პარტიის ხელმძღვანელ დონეზე ინფორმატორების (V-Leute) ან ფარული გამომძიებლების გამოყენება დაუშვებელია.<sup>105</sup> ამ პრინციპის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს პროცედურული დაბრკოლება, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია, ან, ყოველ შემთხვევაში, მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვა (ე.წ. ღია წყაროს პრინციპი).<sup>106</sup>

---

<sup>104</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn 145

<sup>105</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn 146 ff.; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 406 ff.; dazu umfassend: BVerfG, Beschluss vom 18. März 2003 - 2 BvB 1/01 - BVerfGE 107, 339, Rn. 63 ff. (Senatsminderheit)

<sup>106</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn 149; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 410 ff.

თუმცა ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, სამართლიანი პროცესის მოთხოვნა არ გამოირიცხავს იმას, რომ პარტია და მისი მანდატის მქონე წარმომადგენლები აკრძალვის პროცესის მიმდინარეობისას სადაზვერვო-საინფორმაციო საშუალებებით დაკვირვების ობიექტი იყვნენ. კონსტიტუციის საწინააღმდეგო მისწრაფებებზე სადაზვერვო დაკვირვება წარმოადგენს „მებრძოლი“ ან „თავდაცვითი დემოკრატიის“ პრინციპის გამოვლინებას. მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ კონსტიტუციის მტრები კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებების მოშველიებითა და მათი დაცვის ქვეშ ვერ დააზიანონ ან ვერ გაანადგურონ კონსტიტუციური წესრიგი ან სახელმწიფოს არსებობა.<sup>107</sup>

## II. პროცედურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

პარტიების სახელმწიფოსგან თავისუფლების პრინციპი არ შემოიფარგლება მხოლოდ „ღია მტკიცებულებების“ ვიწრო გაგებით. იგი მოითხოვს, რომ მთელი პროცედურა შეძლებისდაგვარად იყოს სახელმწიფოსგან დისტანცირებული.

თუმცა, პროცედურის სახელმწიფოსგან სრული თავისუფლება ფაქტობრივად მიუღწეველია, ვინაიდან პოლიტიკური პარტიის საქმიანობის დასადგენად გარდაუვალია ისეთი ინფორმაციის გამოყენება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით სახელმწიფო ორგანოების მიერ (სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები, უსაფრთხოების სამსახურები და სხვ.) არის მოპოვებული ან საპარლამენტო თუ აღმასრულებელი პროცესების ფარგლებში არის დოკუმენტირებული.<sup>108</sup> შესაბამისად, სახელმწიფოსგან დისტანცირების პრინციპი

---

<sup>107</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn 153 ff.; BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 418

<sup>108</sup> Kliegel/ Roßbach, Das NPD-Verbotsverfahren Dokumentation des Verfahrens der Jahre 2013 bis 2017 vor dem Bundesverfassungsgericht, herausgegeben 2020 - ISBN 978-3-16 155875-7 / eISBN 978-3-16-159557-8, Seite 7; siehe zur Bedeutung des Parteiprogramms und zu dessen Zurechnung im Einzelnen: BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 637 ff.

თავდაპირველად არ გამოორიცხავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, პარტიის პროგრამის გარდა, რომელიც, როგორც წესი, ასახავს პარტიის ძირითად პოლიტიკურ მრწამსს და წარმოადგენს ცენტრალურ მტკიცებულებას, გაითვალისწინოს ასევე ისეთი ცნობების წყაროები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების გავლით არის მიღებული. ამასთანავე, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს, რომ პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგო საქმიანობის დასამტკიცებლად წარმოდგენილი მასალები მმართველი (დაინტერესებული) პოლიტიკური პარტიისგან დამოუკიდებლად იყოს მომზადებული და იყოს სანდო.

ამისათვის აუცილებელია, რომ ინფორმაციის მოპოვების გზა შესაძლებლად მაქსიმალური სიზუსტით იყოს გადამოწმებადი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამოორიცხული, რომ წარმოდგენილი ცნობები წარმოადგენდეს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან (ცნობიერ ან არაცნობიერ) „ფილტრაციის“ შედეგს,<sup>109</sup> რასაც საკონსტიტუციო სასამართლო ვერ ამოიცნობს. ეს რისკი განსაკუთრებით მაღალია იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესში შეტანილი მტკიცებულებები მომდინარეობს ისეთი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც ფუნქციურად ან პოლიტიკურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული იმ კონსტიტუციურ ორგანოსთან, რომელსაც პარტიის აკრძალვაზე განაცხადის წარდგენის უფლება აქვს. ასეთ ვითარებაში იქმნება საფრთხე, რომ განმცხადებელი ფაქტობრივად იქცეს „მოსამართლედ საკუთარ საქმეში“, როდესაც მასთან დაახლოებული სახელმწიფო ორგანო აკრძალვის პროცედურას ტენდენციურად „ამზადებს“, მაგალითად, ფაქტების დადგენისას შერჩევითი მიდგომით ან სამართლებრივი სახელმწიფოს უმაღლესი სტანდარტების დაუცველად. ეს რისკი მით უფრო იზრდება, რაც მეტად არის ფაქტების დადგენისათვის არჩეული

---

<sup>109</sup> Kliegel/ Roßbach, Das NPD-Verbotsverfahren Dokumentation des Verfahrens der Jahre 2013 bis 2017 vor dem Bundesverfassungsgericht, herausgegeben 2020 - ISBN 978-3-16 155875-7 / eISBN 978-3-16-159557-8, insb. Seite 6 f.

პროცედურა პარტიულად შეფერილი, ან რაც უფრო აშკარაა შემსწავლელი ორგანოს სიახლოვე კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან.

თუ ფაქტების დადგენის ობიექტურობასთან დაკავშირებით ეჭვი არსებობს, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს უფლება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მასალები გაითვალისწინოს. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია თავად დაადგინოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები. მით უფრო ცხადია, რომ წარდგენილ დოკუმენტებში არსებული შეფასებები, მათ შორის მოწმეთა სანდოობის შეფასებებიც, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სავალდებულო მტკიცებულებად არ მიიჩნევა.

ეს პრინციპები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლო პროცესში შეტანილია ისეთი ინფორმაცია, რომლებიც მიღებულია საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მიერ. ასეთი კომისია არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ორგანოს, არამედ არის პარლამენტის დამხმარე ორგანო. თუ პარტიის აკრძალვაზე მიმართული სარჩელის წარდგენისთვის საჭირო საპარლამენტო კვორუმი ეყრდნობა საგამოძიებო კომისიის ანგარიშს, ამით პარლამენტის ერთი ორგანიზაციული ქვედანაყოფი ითავისებს იმ დასკვნებს, რომლებიც მანამდე პარლამენტის სხვა ორგანიზაციულმა ქვედანაყოფმა ჩამოაყალიბა გადაწყვეტილების საფუძვლად. მიუხედავად ამ ფორმალური დაყოფისა ორ საპარლამენტო ერთეულად, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელი ორგანო ფაქტობრივად მაინც წარადგენს თვითონვე მოპოვებულ ცნობებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმცხადებლები მიეკუთვნებიან იმ საპარლამენტო უმრავლესობას, რომელსაც საგამოძიებო კომისიაშიც ჰქონდა ფაქტობრივი დომინანტური პოზიცია. შესაბამისად, თავისთავად გასაგებია, რომ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ანგარიშები ვერ გაუტოლდება სასამართლო გადაწყვეტილებებს და მათ სამართლებრივ ეფექტს.

ამიტომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, რაც, ცხადია, თავისთავადაც იგულისხმება, არა მხოლოდ თავად უნდა განახორციელოს სამართლებრივი შეფასებები, არამედ თავადაც უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, მიუხედავად იმისა, რამდენად არის სადავო, ისინი საგამოძიებო კომისიის დასკვნა დადგენილია სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნათა სრული დაცვით და სწორი შედეგით.

ის საკითხი, შესაძლებელია თუ არა საქმე, რომელიც მნიშვნელოვან პროცედურულ რესურსებს საჭიროებს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანულ კანონში გათვალისწინებულ ცხრათვიან ვადაში, დასრულდეს სტატიის ფარგლებში დეტალურად არ განიხილება. ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს უპირატესობა აქვთ ორგანული კანონის იმ ნორმებთან შედარებით, რომლებიც მიმდინარე კანონითაა დადგენილი და, გარდა ამისა სასამართლოსთვის ვადების დადგენა მხოლოდ ერთადერთ (პარტიათა აკრძალვის) კომპეტენციაზე თანაც სწორედ სარჩელის შეტანამდე, რბილად რომ ვთქვათ კონსტიტუციურ სამართლებრივად საეჭვოდ გამოიყურება.

## **G. შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან**

თუ ზემოთ აღწერილი მოთხოვნები დაცულია, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მიერ უზრუნველყოფილ გარანტიებს.

## **I. ECHR-ის შეფასების სტანდარტი და ECHR-ის მოქმედება ეროვნულ საკონსტიტუციო სამართალზე**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECHR) პოლიტიკურ პარტიათა აკრძალვას, პრინციპულად, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან (ECHR) თავსებადად მიიჩნევს. თუმცა, ფორმალური (და არა შინაარსობრივი კრიტერიუმების მხრივ) შე-

ფასების სტანდარტის თვალსაზრისით, არსებობს გარკვეული განსხვავებები ეროვნულ სამართალსა და (ძირითადი კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტით) ეროვნულ დონეზე არა უშუალოდ მოქმედ ძალის არმქონე ECHR-ს შორის.<sup>110</sup>

ეს განსხვავებები არსებითად იმით არის განპირობებული, რომ როგორც საქართველოს, ისე გერმანიის ეროვნულ სამართალში პოლიტიკური პარტიის აკრძალვას სპეციალური, განსაკუთრებული რეგულაციები აქვს, მაშინ როდესაც ევროპული სასამართლო ECHR პარტიის აკრძალვის წინაპირობებს კონვენციის ზოგადი გარანტიებიდან გამომდინარე აფასებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ორივე სამართლებრივი წესრიგის გარკვეული „ჰარმონიზაცია“ (ე.წ. ეროვნული სამართლის კონვენციასთან შესაბამისობა).

ეს ნიშნავს, რომ ეროვნული სამართალი (მის მიერვე დაშვებული განმარტების ფარგლებში) უნდა იქნეს განმარტებული ადამიანის უფლებებთან შესაბამისი ფორმით, ისე, რომ იგი ECHR-ის პრეცედენტულ მოთხოვნებთან თანხვედრაში იყოს. ამ კონტექსტში ECHR ასრულებს ორიენტირისა და სახელმძღვანელო სტანდარტის ფუნქციას ეროვნული საკონსტიტუციო სამართლისთვის.<sup>111</sup>

ეს თანაზომიერების შემოწმების ტესტის განხორციელება (იხ. ნაწილი E.) მოითხოვს ერთგვარ „პარალელურ შეფასებას“, რომლის მიხედვითაც ეროვნული სამართლის საფუძველზე მიღებული შედეგები (რამდენადაც ეს ეროვნული სამართლის განმარტების კრი-

<sup>110</sup> BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn. 303; BVerfG, Beschluss vom 27. April 2021 - 2 BvR 206/14 - BVerfGE 158, 1, Rn. 70; einhellige Meinung

<sup>111</sup> BVerfG, Beschluss vom 21. September 2023 - 2 BvR 825/23 - NJW 2023, 3487, Rn 31; BVerfG, Beschluss vom 27. Januar 2023 - 2 BvR 1122/22 - NStZ 2023, 627, Rn. 31; BVerfG, Beschluss vom 27. April 2021 - 2 BvR 206/14 - BVerfGE 158, 1, Rn. 70; BVerfG, Beschluss vom 6. November 2019 - 1 BvR 16/13 - BVerfGE 152, 152, Rn. 58; ständige Rechtsprechung

ტერიუმებით არის შესაძლებელი) უნდა აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ იმ თავისუფლებათა უფლებებს, რომლებიც შინაარსობრივად თანაბრად არის დაცული როგორც ეროვნულ კონსტიტუციებში, ისე ECHR-ში (მაგ., გამოხატვის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება და სხვ.), არამედ უნდა გაუძლოს ასევე თანაზომიერების პრინციპის მიხედვით ჩატარებულ ცალკე შეფასებას.

სარკისებურად, ეს ECHR-სთვის ნიშნავს, რომ სწორედ მას ევალება იმ „ცალკეული“ თანაზომიერების შემონახვის განხორციელება, რომელიც ეროვნულ საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის შესაძლოა პრეცედენტულად შეუძლებელი იყო.

## II. შედეგები ეროვნული სამართლისთვის

ზოგადად, თუ ქართული და გერმანული ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ არსებული ნორმები შესაბამისი უნდა იყოს კონვენციასთან.

თუ ეროვნული სამართლის გამოყენებისას გათვალისწინებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვა წარმოადგენს კონსტიტუციისადმი მტრულად განწყობილი პარტიების წინააღმდეგ მიმართული უმკაცრესი სამართლებრივი საშუალებას, და შესაბამისად, სამართლებრივი წინაპირობების არსებობის მიმართ, **საფრთხის პრევენციის** აუცილებლობის (პოტენციურობის პრინციპი) თვალსაზრისით, წამოყენებულია მაღალი მოთხოვნები, მაშინ, რომ პარტიის აკრძალვა თანაზომიერების პრინციპის დარღვევის ან სხვა საფუძვლით ვერ იქნება ECHR-ის მოთხოვნებს სანინააღმდეგო.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს:<sup>112</sup>

**პარაგრაფი N608:** იმის გამო, რომ ECHR-ში პოლიტიკური პარტიების უფლებების შესახებ სპეციალური რეგულაცია არ არსებობს,

---

<sup>112</sup> BVerfG, Urteil vom 17. Januar 2017 - 2 BvB 1/13 - BVerfGE 144, 20, Rn. 608 ff.

პოლიტიკური პარტიის აკრძალვის კონვენციასთან შესაბამისობის შეფასების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ECHR-ის 11-ე მუხლი.<sup>113</sup>

ამასთან, შეფასების პროცესში ECtHR დამატებით, დასაბუთების ეტაპზე, განიხილავს ECHR-ის 17-ე მუხლის გამოყენებადობის საკითხს, ანუ იმ გარემოებას, ხომ არ არის გამორიცხული კონვენციური უფლებებით სარგებლობა უფლებების ბოროტად გამოყენება.<sup>114</sup>

**პარაგრაფი N609:** a) ECtHR პირდაპირ აღიარებს, რომ დემოკრატიის დაცვის მიზნით პოლიტიკური პარტიის აკრძალვა პრინციპულად დასაშვებია. თუმცა, ასეთი აკრძალვა უნდა აკმაყოფილებდეს ECHR-ის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ: იგი უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>115</sup>

**პარაგრაფი N610:** b) პოლიტიკური პარტიის აკრძალვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, ECtHR-ის პრაქტიკის მიხედვით, პირველ რიგში გულისხმობს იმას, რომ აკრძალვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. ასეთი ლეგიტიმური მიზნები

---

<sup>113</sup> იხ. EGMR <GK>, United Communist Party of Turkey and Others v. Turkey, Urteil vom 30. Januar 1998, Nr. 133/1996/752/951, §§ 24 ff.; EGMR <GK>, Socialist Party and Others v. Turkey, Urteil vom 25. Mai 1998, Nr. 20/1997/804/1007, § 29; EGMR, Yazar and Others v. Turkey, Urteil vom 9. April 2002, Nr. 22723/93 u.a., §§ 30 ff.; EGMR, Parti de la Democratie <DEP> c. Turquie, Urteil vom 10. Dezember 2002, Nr. 25141/94, §§ 28 ff.

<sup>114</sup> იხ. EGMR <GK>, United Communist Party of Turkey and Others v. Turkey, Urteil vom 30. Januar 1998, Nr. 133/1996/752/951, § 60; EGMR <GK>, Socialist Party and Others v. Turkey, Urteil vom 25. Mai 1998, Nr. 20/1997/804/1007, §§ 29 und 53; EGMR <GK>, Freedom and Democracy Party <ÖZDEP> v. Turkey, Urteil vom 8. Dezember 1999, Nr. 23885/94, § 47.

<sup>115</sup> იხ. EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 103; EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., § 82.

ამომწურავად არის ჩამოთვლილი ECHR-ის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტში.<sup>116</sup>

**პარაგრაფი N611:** c) გარდა ამისა, ECtHR-ის განმარტებით, პარტიის აკრძალვისთვის უნდა არსებობდეს „აუცილებელი სოციალური საჭიროება“ (pressing social need), ანუ განსაკუთრებული სიმწვავის მქონე საზოგადოებრივი საჭიროება, რომელიც ამართლებს ასეთი მძიმე ჩარევის განხორციელებას.<sup>117</sup>

**პარაგრაფი 612:** წარმოადგენს თუ არა პოლიტიკური პარტიის აკრძალვა გამართლებულ ზომას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს. ზოგადად, იმ მკაცრი ჩარევის გათვალისწინებით, რომელსაც პარტიის აკრძალვა იწვევს როგორც თავად პარტიისთვის, ისე დემოკრატიისთვის, ასეთი აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ან პარტია ისახავს ისეთ მიზნებს, რომლებიც შეუთავსებელია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ პრინციპებთან, ან ის იყენებს არალეგიტიმურ და არადემოკრატიულ საშუალებებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი პირდაპირ მოუწოდებს ძალადობისკენ ან ამართლებს მის გამოყენებას.<sup>118</sup> ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პარტიას უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოს საკანონმდებლო ან თუნდაც კონსტიტუციური სტრუქტურების შეცვლა.

---

<sup>116</sup> იხ. EGMR <GK>, United Communist Party of Turkey and Others v. Turkey, Urteil vom 30. Januar 1998, Nr. 133/1996/752/951, §§ 40 f.; EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 67; EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., § 64; EGMR, HADEP and Demir v. Turkey, Urteil vom 14. Dezember 2010, Nr. 28003/03, § 44; EGMR, Eusko Abertzale Ekintza - Acción Nacionalista Vasca <EAE-ANV> c. Espagne, Urteil vom 15. Januar 2013, Nr. 40959/09, § 54.

<sup>117</sup> იხ. EGMR <GK>, Socialist Party and Others v. Turkey, Urteil vom 25. Mai 1998, Nr. 20/1997/804/1007, § 49; EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 104.

<sup>118</sup> იხ. Theuerkauf, Parteiverbote und die Europäische Menschenrechtskonvention, 2006, S. 260 ff. m.w.N.

თუმცა, ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია გამოიყენოს კანონიერი და დემოკრატიული საშუალებები, ხოლო შემოთავაზებული ცვლილებები თავად უნდა იყოს შეთავსებადი ძირითად დემოკრატიულ პრინციპებთან.<sup>119</sup>

### პარაგრაფი 613

bb) პარტიის აკრძალვის დროსთან დაკავშირებით ECtHR პირდაპირ აღიარებს პრევენციული ჩარევის დასაშვებობას. სახელმწიფოს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, დაელოდოს იმ მომენტს, როდესაც პოლიტიკური პარტია უკვე მოვა ხელისუფლებაში და დაიწყებს დემოკრატიის საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელებას, მაშინ როდესაც ამ პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხე საკმარისად დადასტურებულია და უშუალოა. შესაბამისად, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა, თავიდან აიცილოს ისეთი პოლიტიკური პროგრამის რეალიზაცია, რომელიც ECHR-თან შეუთავსებელია.(vgl. EGMR <GK>, *Refah Partisi and Others v. Turkey*, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., §§ 102 f.; EGMR, *Herri Batasuna and Batasuna v. Spain*, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., §§ 81 f.).

ამით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ გარკვეული შეფასებითი სივრცე იმასთან დაკავშირებით, თუ როდის დადგება პარტიის აკრძალვისთვის შესაფერისი.<sup>120</sup>

---

<sup>119</sup> იხ. EGMR, *Yazar and Others v. Turkey*, Urteil vom 9. April 2002, Nr. 22723/93 u.a., § 49; EGMR <GK>, *Refah Partisi and Others v. Turkey*, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 98; EGMR, *Parti de la Democratie <DEP> c. Turquie*, Urteil vom 10. Dezember 2002, Nr. 25141/94, § 46; EGMR, *Parti Socialiste de Turquie <STP> et autres c. Turquie*, Urteil vom 12. November 2003, Nr. 26482/95, § 38; EGMR, *Herri Batasuna and Batasuna v. Spain*, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., § 79; EGMR, *HADEP and Demir v. Turkey*, Urteil vom 14. Dezember 2010, Nr. 28003/03, § 61

<sup>120</sup> Pabel, *ZaöRV* 63 <2003>, S. 921 <932>

**პარაგრაფი 614: cc)** იმის დასადგენად, პასუხობს თუ არა პოლიტიკური პარტიის აკრძალვა „აუცილებელი სოციალური საჭიროების“ (pressing social need) მოთხოვნას, ECtHR ახორციელებს კონკრეტული საქმის გარემოებების ერთიან, ყოვლისმომცველ შეფასებას. ამ შეფასების ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე კონვენციის შესაბამის სახელმწიფოში არსებული ისტორიული გამოცდილება და პოლიტიკური განვითარება.<sup>121</sup> ვინაიდან სწორედ ეს კონტექსტი შეიძლება იყოს გადამწყვეტი იმის განსასაზღვრად, რამდენად აუცილებელია პარტიის აკრძალვა დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>122</sup>

**პარაგრაფი 615: d)** პოლიტიკური პარტიის აკრძალვა უნდა იყოს შესაბამის თანაფარდობაში იმ მიზნებთან, რომელთა მიღწევასაც აკრძალვა ისახავს. ამასთან, ECtHR „შესაბამისობის“ შემოწმებას ზღუდავს სამართლებრივი შედეგების დონით და ამონმებს, ხომ არ არის ეროვნული სამართლის მიხედვით პარტიის აკრძალვიდან გამომდინარე შედეგები არაპროპორციული იმ დემოკრატიისთვის არსებული საფრთხის სიმძიმესთან შედარებით, რომელიც დადგენილია „აუცილებელი სოციალური საჭიროების“ ეტაპზე. როგორც ნესი, ECtHR „აუცილებელი სოციალური საჭიროების“ არსებობიდანვე ასკვნის აკრძალვის შესაბამისობასაც.<sup>123</sup>

---

<sup>121</sup> იხ. EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., §§ 104 f.; EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., § 83).

<sup>122</sup> იხ. EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 124; EGMR, Partidul Comunistilor and Ungureanu v. Romania, Urteil vom 3. Februar 2005, Nr. 46626/99, § 58; EGMR, HADEP and Demir v. Turkey, Urteil vom 14. Dezember 2010, Nr. 28003/03, §§ 69 ff.; EGMR, Republican Party of Russia v. Russia, Urteil vom 12. April 2011, Nr. 12976/07, § 127

<sup>123</sup> იხ. EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., §§ 133 f.; EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., § 93; EGMR, Eusko Abertzale Ekintza - Acción Nacionalista Vasca <EAE-ANV> c. Espagne, Urteil vom 15. Januar 2013, Nr. 40959/09, § 81).

**პარაგრაფი N616:** მხოლოდ ორ შემთხვევაში, როდესაც ძალადობის მხარდაჭერა გამოვლინდა პარტიის ცალკეული წევრების მიერ ლოკალურად, სასამართლომ, აუცილებელი სოციალური საჭიროების არსებობის მიუხედავადაც კი დაასკვნა, რომ ასეთ ქცევაზე დაფუძნებული პარტიის აკრძალვა შეუსაბამო იყო.<sup>124</sup>

ამასთან, თურქული DTP-ის საქმეში ECtHR-მა პირდაპირ აღნიშნა, რომ ცალკეული წევრების ერთეული განცხადებებისგან განსხვავებით, პარტია როგორც მთლიანობა ერთგული იყო მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაწყვეტებისადმი და რომ არ არსებობდა საფუძველი ევარაუდა, თითქოს ამ განცხადებებს ჰქონოდა გავლენა ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობაზე.<sup>125</sup>

**პარაგრაფი N617:** მნიშვნელოვანია, რომ ECtHR-ის მიერ ECHR-ის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე დადგენილი ეს მოთხოვნები არ აღემატება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც ზემოთ იქნა წარმოდგენილი ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე პარტიის არაკონსტიტუციურობის დადგენისთვის.

**პარაგრაფი N618:** ა) კანონით არსებობის მოთხოვნას ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება სრულად აკმაყოფილებს. ამასთან, თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის და სახელმწიფოს არსებობის დაცვა წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზნებს ECHR-ის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

<sup>124</sup> იხ. EGMR, Parti de la Democratie <DEP> c. Turquie, Urteil vom 10. Dezember 2002, Nr. 25141/94, §§ 61 ff. u. 64 ff.; EGMR, Parti pour une société démocratique <DTP> et autres c. Turquie, Urteil vom 12. Januar 2016, Nr. 3840/10 u.a., §§ 101 ff.).

<sup>125</sup> იხ. EGMR, Parti pour une société démocratique <DTP> et autres c. Turquie, Urteil vom 12. Januar 2016, Nr. 3840/10 u.a., §§ 85 ff., § 98

ამ საკითხში ECtHR და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თანმხვედრად მიიჩნევენ, რომ პარტია უნდა უპირის-პირდებოდეს არა მხოლოდ კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებს, არამედ თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს, რათა დადგეს პარტიის აკრძალვის საკითხი.

**პარაგრაფი N619: b)** თუ შესრულებულია ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობები, უნდა ჩაითვალოს, რომ არსებობს პარტიის აკრძალვისთვის აუცილებელი „აუცილებელი სოციალური საჭიროება“. თუ პარტია მიზანმიმართულად მოქმედებს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შეზღუდვის ან გაუქმებისკენ მიმართული განზრახ მოსამზადებელი ქმედებების სახით და კონკრეტული და მნიშვნელოვანი ნიშნებიდან გამომდინარეობს ამ ქმედებების წარმატების შესაძლებლობა სახეზეა, ეს აკმაყოფილებს ECtHR-ის მოთხოვნებს დემოკრატიული საზოგადოების დასაცავად პარტიის აკრძალვის აუცილებლობის შესახებ ECHR-ის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.<sup>126</sup>

სხვა დასკვნა არ გამომდინარეობს არც ECtHR-ის მითითებიდან იმ მოთხოვნაზე, რომ საფრთხე იყოს საკმარისად დადასტურებული და უშუალო. აღნიშნული მითითება არ ნიშნავს, თითქოს ECtHR-ის თვალსაზრისით პარტიის აკრძალვა კონვენციასთან შესაბამისი იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე დამდგარია კონკრეტული საფრთხე თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგისთვის და პარტიის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მისწრაფებების წარმატება უშუალოდ გარდაუვალია.

**პარაგრაფი N620:** რადგან ასეთი გაგება უკვე ეწინააღმდეგება იმ გარემოებას, რომ ECtHR-მა ცალკეულ საქმეებში ტერორისტული აქტების მხარდაჭერა საკმარის საფუძვლად მიიჩნია პარტიის აკრ-

---

<sup>126</sup> იხ. EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 102).

ძალვისთვის, იმის მიუხედავად, თუ რამდენად დიდი ან მნიშვნელოვანი იყო აკრძალული რეგიონული პარტიები და წინსწრებითვე მოახდინა იდენტიფიცირება თუ რა მასშტაბის საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა მათგან კონსტიტუციურ წესრიგს.<sup>127</sup> გარდა ამისა, ECtHR მკაფიოდ აღიარებს პარტიის აკრძალვის პრევენციულ ხასიათს და სახელმწიფოებს უტოვებს გარკვეულ შეფასებით სივრცეს აკრძალვის შესაფერისი დროის განსაზღვრის საკითხში. ამასთან, იმ საქმეებში, სადაც სასამართლომ პარტიის აკრძალვა კონვენციის საწინააღმდეგოდ ცნო, დამატებით მიუთითა, რომ შესაბამის პარტიას არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა პოლიტიკური ცვლილებების მიღწევისა.<sup>128</sup> შესაბამისად, ECtHR-ის პოზიციიდან არ უნდა ჩაითვალოს, რომ დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოსთვის კონკრეტული საფრთხის არსებობა აუცილებელი წინაპირობაა პარტიის აკრძალვისთვის.

**პარაგრაფი N621:** როგორც ECtHR მკაფიოდ განმარტავს, პოლიტიკური პარტიის აკრძალვისთვის საჭიროა „აუცილებელი სოციალური საჭიროების“ არსებობა უნდა დადგინდეს კონკრეტული საქმის გარემოებათა მთლიანობითი შეფასების საფუძველზე და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის განმარტებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ამ ნორმას საფუძველად უდევს, უპირველესად, ვაიმარის რესპუბლიკაში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის აღმავლობის ისტორიული გამოცდილება და მიზანი, რომ ტოტალიტარული პარტიების მიმართ

<sup>127</sup> იხ. EGMR, Herri Batasuna and Batasuna v. Spain, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., §§ 85 ff.; EGMR, Eusko Abertzale Ekintza - Acción Nacionalista Vasca <EAE-ANV> c. Espagne, Urteil vom 15. Januar 2013, Nr. 40959/09, §§ 67 ff.

<sup>128</sup> იხ. EGMR, Yazar and Others v. Turkey, Urteil vom 9. April 2002, Nr. 22723/93 u.a., § 58; EGMR, Parti de la Democratie <DEP> c. Turquie, Urteil vom 10. Dezember 2002, Nr. 25141/94, § 55; EGMR, The United Macedonian Organisation Ilinden-Pirin and Others v. Bulgaria, Urteil vom 20. Oktober 2005, Nr. 59489/00, § 61.

დროული რეაგირებით თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი მოვლენების განმეორება.<sup>129</sup> ამ გაგებასთან შეუთავსებელია მოსაზრება, თითქოს პარტიის აკრძალვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც პარტია უკვე იმდენად გაძლიერებულია, რომ მოვლენათა შეუფერხებელი განვითარების შემთხვევაში თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შეზღუდვა ან გაუქმება არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ უკვე სავარაუდოა. ამიტომ, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ადრეული ჩარევის შესაძლებლობა წარმოადგენს სწორედ იმ სპეციფიკური ისტორიული გამოცდილების შედეგს, რომელიც უკავშირდება ნაციონალ-სოციალისტური ძალადობრივი და თვითნებური მმართველობის დამკვიდრებას. ამ კონტექსტში, ECtHR-ის პრაქტიკის მიხედვით, საკმარისია შესრულებული იყოს ის მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, კერძოდ, არსებობდეს კონკრეტული და მნიშვნელოვანი ნიშნები, რომლებიც პარტიის თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების წარმატებას მაინც შესაძლებლად წარმოაჩენს, რათა დადასტურდეს პარტიის აკრძალვისთვის საჭირო „აუცილებელი სოციალური საჭიროება“/

**პარაგრაფი N622: c)** არ არსებობს საფუძველი ეჭვისთვის, რომ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კრიტერიუმები ECHR-თან შეუსაბამოა, მათ შორის არც პარტიის აკრძალვის თანაზომიერების მოთხოვნის თვალსაზრისით.

---

<sup>129</sup> იხ. EGMR <GK>, United Communist Party of Turkey and Others v. Turkey, Urteil vom 30. Januar 1998, Nr. 133/1996/752/951, § 59; EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 124; EGMR, Partidul Comunistilor and Ungureanu v. Romania, Urteil vom 3. Februar 2005, Nr. 46626/99, § 58; EGMR, HADEP and Demir v. Turkey, Urteil vom 14. Dezember 2010, Nr. 28003/03, §§ 69 ff.; EGMR, Republican Party of Russia v. Russia, Urteil vom 12. April 2011, Nr. 12976/07, § 127.

**პარაგრაფი N623: aa)** ECtHR-ის მიხედვით, როგორც წესი, აუცილებელი სოციალური საჭიროების არსებობა საკმარისია, რათა პარტიის აკრძალვა ჩაითვალოს თანაზომიერ ღონისძიებად.<sup>130</sup> იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც სასამართლომ პარტიის აკრძალვა არათანაზომიერად მიიჩნია, საქმე ეხებოდა ცალკეული პარტიული ფუნქციონერების მიერ ძალადობის ერთჯერად ან ეპიზოდურ მონონებას. ასეთ ვითარებაში, ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების გამოყენებაც გამორიცხული იქნებოდა, ვინაიდან არ იარსებებდა პარტიისთვის მისაკუთვნიებული ზოგადი ტენდენცია, რომელიც ძალადობას პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად აღიარებს. გარდა ამისა, თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული ნევრების განცხადებები, როგორც წესი, არ ქმნის იმ პოტენციალს, რომელიც აუცილებელია პარტიის მიერ დასახული კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნების მიღწევის რეალური შესაძლებლობის დასადგენად.<sup>131</sup> შესაბამისად, ECtHR-ის მიერ თანაზომიერების მოთხოვნაზე დაყრდნობა არ იწვევს მოთხოვნების გამკაცრებას იმ კრიტერიუმებთან შედარებით, რომლებიც ისედაც გამოიყენება ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში პოლიტიკური პარტიის აკრძალვისას.

**პარაგრაფი 624 :bb)** იმ ნაწილში, სადაც ECtHR DTP-ის აკრძალვის საქმეში, თანაზომიერების შეფასებისას, მიუთითებს თურქეთის სამართლის მიხედვით არსებულ შესაძლებლობაზე, პარტიის აკრძალვის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო დაფინანსების

<sup>130</sup> იხ. EGMR <GK>, Refah Partisi and Others v. Turkey, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 133).

<sup>131</sup> იხ. EGMR, Parti de la Democratie <DEP> c. Turquie, Urteil vom 10. Dezember 2002, Nr. 25141/94, §§ 61 ff. u. 64 ff.; EGMR, Parti pour une société démocratique <DTP> et autres c. Turquie, Urteil vom 12. Januar 2016, Nr. 3840/10 u.a., §§ 101 ff.).

შემცირება<sup>132</sup>, ეს გარემოება არ აყენებს ეჭვქვეშ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების კონვენციასთან შესაბამისობას.

კონკრეტულად ეროვნული სამართლის გადასაწყვეტია, (თუმცა კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით) განსაზღვროს, არსებობს თუ არა და რა მოცულობით შეიძლება პოლიტიკური პარტიების მიმართ, რომლებიც კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნებს მისდევენ, სანქციების გამოყენება. ამასთან, ეროვნულ კანონმდებელზეა დამოკიდებული, საერთოდ უარი თქვას სანქცირებაზე, შემოიღოს დამოუკიდებლად დიფერენცირებული სანქციების სისტემა, ან შემოიფარგლოს მხოლოდ პარტიის აკრძალვით.

პარაგრაფი 626 (d): d) იმდენად, რამდენადაც მოპასუხე მხარე ეყრდნობა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის 1999 წლის 10–11 დეკემბრის „Guidelines on Prohibition and Dissolution of Political Parties and Analogous Measures“-ს<sup>133</sup> და აქედან ასკვნის, თითქოს პარტიის აკრძალვის კონვენციური წინაპირობა აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკური მიზნების ძალადობრივი გზით განხორციელება, და რომ ეს მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში, აღნიშნული პოზიცია არასწორია. ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს არასავალდებულო რეკომენდაციებს, რომლებიც ECtHR-ს არ მიუღია პარტიის აკრძალვის წინაპირობების დასადგენად. პირიქით, ECtHR პარტიის აკრძალვისთვის აუცილებელი სოციალური საჭიროების არსებობას აფასებს როგორც პარტიის მიერ გამოყენებული საშუალებების, ისე მისი მიზნების საფუძველზე.<sup>134</sup>

---

<sup>132</sup> იხ. ECtHR, *Parti pour une société démocratique (DTP) and Others v. Turkey*, 12 იანვარი 2016, № 3840/10 და სხვ., § 101 და შემდ.

<sup>133</sup> CDL-INF<2000>001; vgl. European Commission for Democracy through Law <Venice Commission>, *Compilation of Venice Commission Opinions and Reports concerning Political Parties*, CDL<2013>045, S. 38)

<sup>134</sup> იხ. EGMR, *Yazar and Others v. Turkey*, Urteil vom 9. April 2002, Nr. 22723/93

ამგვარად, ძალადობის გამოყენება ან მისი მოწონება შეიძლება ჩაითვალოს ECtHR-ის სტანდარტებით პარტიის აკრძალვისთვის საკმარის პირობად, თუმცა იგი არ წარმოადგენს აუცილებელ და შეუცვლელ წინაპირობას იმ ტიპის პარტიის აკრძალვისთვის, რომელიც ჯდება ECHR-ის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებით დათქმულ აკრძალვებში.

ეს პრინციპები და შესაბამისი მიდგომა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა და შემდგომაც განავითარა უფრო ახალ გადაწყვეტილებაში, რომელიც პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსებას ეხება.<sup>135</sup> აღნიშნული გადაწყვეტილების ამონარიდების წარმოდგენა აქ გამოტოვებულია, ვინაიდან მას განსხვავებული შინაარსობრივი აქცენტი აქვს (პარტიათა დაფინანსება) და პარტიის აკრძალვის საკითხთან დაკავშირებით არსებითად ახალ სამართლებრივ პოზიციებს არ შეიცავს.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა როგორც საქართველოს, ისე გერმანიის კონსტიტუციურ სამართალში წარმოადგენს უკიდურეს, საგამონაკლისო ინსტრუმენტს, რომლის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული მატერიალური და პროცედურული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. პარტიის აკრძალვა არ არის მიმართული პოლიტიკური შეხედულებების ან იდეოლოგიების სანქცირებისკენ, არამედ ემსახურება თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის დაცვას იმ შემთხვევებში, როდესაც პარტიის მიზნები ან ქმედებები ამ წესრიგს რეალურ საფრთხეს უქმნის.

---

u.a., § 51 ff.; EGMR <GK>, *Refah Partisi and Others v. Turkey*, Urteil vom 13. Februar 2003, Nr. 41340/98 u.a., § 98; EGMR, *Herri Batasuna and Batasuna v. Spain*, Urteil vom 30. Juni 2009, Nr. 25803/04 u.a., § 79; EGMR, *HADEP and Demir v. Turkey*, Urteil vom 14. Dezember 2010, Nr. 28003/03, § 61

<sup>135</sup> იხ. დეტალურად: BVerfG, Urteil vom 23. Januar 2024 - 2 BvB 1/19 - BVerfGE 168, 193, Rn. 302 ff.

შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ მიუხედავად განსხვავებული ნორმატიული ფორმულირებებისა, საქართველოსა და გერმანიის სამართლებრივი სისტემები ერთიან საფუძველს ეყრდნობა: პარტიის აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტია მიზანმიმართულად და აქტიური ქმედებებით გამოდის თავისუფალი და დემოკრატიული წესრიგის წინააღმდეგ და არსებობს მისი წარმატების რეალური და საკმარისი შესაძლებლობა („პოტენციურობა“). ამასთან, ორივე სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარტიის აკრძალვის ვიწრო განმარტებასა და მისი გამოყენების პრევენციულ, და არა რეპრესიულ ხასიათს.

კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრაქტიკის გათვალისწინება აუცილებელია როგორც საქართველოს, ისე გერმანიის კონსტიტუციური სამართლისთვის. ECtHR-ის სტანდარტების მიხედვით, პარტიის აკრძალვა კონვენციასთან თავსებადია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის პასუხობს აუცილებელ სოციალურ საჭიროებას, ეფუძნება კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს, საკმარის ფაქტობრივ საფუძველს, და არ სცდება თანაზომიერების ფარგლებს. ამასთანავე, პარტიის აკრძალვის მარეგულირებელი ნორმები ორივე სამართლებრივ სისტემაში შეზღუდვით უნდა იქნეს გამოყენებული; პარტიის აკრძალვა უნდა იქნეს გაგებული როგორც პრევენციული და არა როგორც რეპრესიული ინსტრუმენტი.

საბოლოოდ, ნაშრომი ასკვნის, რომ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ საშუალებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოიყენება უკიდურესი სიფრთხილით, მკაცრი სამართლებრივი კონტროლის პირობებში და ისე, რომ არ იქცეს პოლიტიკური კონკურენციის აღმოფხვრის ან პლურალიზმის შეზღუდვის იარაღად.